

9177229810950006

საზოგადოებრივ-ცოცხალთა უნივერსიტეტი

ქართული
ზოგადი

1134
2022

სტილი

ფასი 3 ლარი



2022
4 (304)

ანა კორძაია-სამბაშვილი
ყველა ჩემს ქალ პერსონაჟს
საუკეთესოდ ვიცნობ

სარჩევი



- პერსონა** 1 ანა კორძაია-სამადაშვილი, “ყველა ჩემს ქალ პერსონას კარგად ვიცნობ. საუკეთესოდ” | ესაუბრა მალხაზ ხარბედია
- 6 ანა კორძაია-სამადაშვილი | გემო და ავაზაკები
- 8 ნათია ლელეყვა | შემთხვევითი ოცნების კაფეები ანუ მოთხრობის მოკრძალებული ხიბლი
- პროზა** 11 ნათია როსტიაშვილი | ერთხელ კლინიკაში... | ზედმინუნთ ნამდვილი ამბავი
- პოეზია** 15 დიმა ბახუტაშვილი
- 19 ლელა სამნიაშვილი
- 22 ივა თადიაშვილი
- თარგმანი** 24 ანდრე ჟიდი | ოიდიპოსი | დრამა სამ მოქმედებად ფრანგულიდან თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა
- კრიტიკა** 36 დავით გაბუნია | “საბას” დრამები
- ესე** 40 ანდრეი პლატონოვი | ადამიანებთან შესახვედრად | ერნესტ ჰემინგუეის რომანებზე “მშვიდობით, იარაღო!” და “ქონა თუ არქონა”
რუსულიდან თარგმნა ნორიკ ბადოიანმა
- 45 მალხაზ ხარბედია | შეთხზული “მე” - მწერალი და ავტობიოგრაფია

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
“არილის” ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Ariili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მალღაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინფონიათა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდბარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ძართული ლიტერატურის მარილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge



გამოდის 1993 წლიდან

© ყურნაღში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
“არილის” რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ყურნაღი გამოდის
საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტროს ფინანსური
მხარდაჭერით



ანა კორძაია-სამადაშვილი, “ყველა ჩემს ქალ პერსონაჟს კარგად ვიცნობ. საუკეთესოდ”

ესაუბრა მალხაზ ხარბელია



ანა კორძაია-სამადაშვილი 1968 წელს დაიბადა, თბილისში. უნივერსიტეტში 1984-1991 წლებში სწავლობდა, რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. დისერტაცია 1995 წელს დაიცვა. მუშაობდა გამომცემლობაში “ბბტ”, შვედეთსა და ლიტვაში; საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლობაში; ტმს-ინვესტიში, კინოსტუდიაში; გოეთეს ინსტიტუტში; საქართველოს პარლამენტის კვლევით დეპარტამენტში; ბერლინის საერთაშორისო წიგნის სააგენტოში “შმიტ-ბრაული და პარტნიორები”; გაზეთში “24 საათი”; რადიო “მწვანე ტალღაში”; ყურნალ “ცხელ შოკოლადში”; ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. მისი ტექსტები თარგმნილია შვიდ ენაზე. 2017 წელს ანას კრებულის,

“მე, მარგარიტა”-ს ინგლისურენოვანი თარგმანი ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკამ ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი წიგნების სიაში შეიტანა სელმა ლაგერლოფის, ანა ახმატოვას, ჰანა არენდტის, მარგარეტ ეტგუდის, ემილი დიკინსონის და მრავალი სხვა კლასიკოსი ქალი ავტორების წიგნებთან ერთად. ანას მოთხრობები პირველად “24 საათის ლიტერატურულ დამატებასა” და “არილიში” გამოჩნდა 2002-2003 წლებში. პირველი კრებული, “ბერიკაობა”, 2003 წელს გამოსცა სულაკაურის გამომცემლობამ. მას შემდეგ გამოვიდა: “მე, მარგარიტა” (2005), “მუშანიკის შვილები” (2011), “ვინ მოკლა ჩაიკა” (2013), “ზინკა ადამიანი” (2019) (ყველა - სულაკაურის გამომცემლობა), “მარიეტას გზა”, გამომცემლობა “პალიტრა” (2013),

“ლოს ოჯახის კოლექცია”, ინდიგო (2020). თარგმნილი აქვს ჰერმან ჰესეს, ერის მარია რემარკის, ბერტოლტ ბრეხტის, ინგებორგ ბახმანის, ელფრიდ იელინეკის, რუდიგერ საფრანსკის, სეეს ნოოტეპუმის, ნინო ხარატიშვილის წიგნები. არის არაერთი პრემის ლურეატი, მათ შორის: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯილდო წლის საუკეთესო რომანიისთვის “ვინ მოკლა ჩაიკა?” (2014), 2002 ლიტერატურული პრემია “საბა” წლის საუკეთესო დებიუტისათვის, 1999 გოეთეს ინსტიტუტის ჯილდო ელფრიდ იელინეკის რომანის, “საყვარლების” თარგმანისთვის.

რა შეიცვალა შენს ნაწერში 2002 წლიდან, შენი პირველი პუბლიკაციებიდან - დღემდე? შე კარგად მახსოვს შენი პირველი მოთხრობები, შეგიძლია დაახასიათო ეს 20-წლიანი ისტორია? თუ ვინაა, სიუჟეტად აქციე.

“საბა 20 წლისაა”. ყურებს არ დავუფერე. გამოდის, რომ ოცი წელია, ვწერ. ოცდაერთი. არადა, 21 წლის წინ უკვე დიდი გოგო ვიყავი და აზრადაც არ მომსვლია, რომ ოდესმე ვინმე მწერალს მინოდებდა, არა თავმდაბლობის გამო, უბრალოდ, სხვა რაღაცები მინდოდა. წერას კითხვა მირჩევნია, ამბის მოყოლას - ამბის მოსმენა.

ამ ოცი წლის განმავლობაში ბევრი რამ შემომეწერა - ო, როგორ მიყვარს ეს გრამატიკული უპასუხისმგებლობის ფორმა! ყოველთვის ველადავი, როცა ვინმე ჩემს ნაწერს კითხულობდა - დაბეჭდვამდე. მერე - აღარა. ისე ველადავი, გული მეუღმებოდა, და ახლაც ასეა, და სულ ერთია, რას ვწერ და ვინაა ჩემი მკითხველი, ყოველ ჯერზე გული მისკდება.

ერთხელაც იყო და, დიდი ხნის უნახავმა მეგობარმა მითხრა: გახსოვს, ადრე, დიდი ხნის უნახავზე, ჯერ კაცებზე ვლაპარაკობდი და მერე - მომავალ მოგზაურობებზე, და ახლა რომ ჯერ ჯანმრთელობაზე ვილაპარაკეთ და ახლა გარდასულ დროთა ამბები გავისხენეთ, კარგია, ვითომ, ეს ამბავი? მას აქეთია, ერთი ფიქრი არ მაძლევს მოსვენებას: ახლა რასაც ვწერ, სულ სხვა ამბავია, და კარგია, ვითომ, ეს ამბავი? ჰოდა, ამ ფიქრის მოსაშორებლად ასე ვადავწყვიტე: ძალიანაც კარგი. უბრალოდ, გავიზარდე, და ცხოვრება იწყება თავიდან.

წლების მანძილზე ლიტერატურული ყურნა-ლისტიკით იყავი დაკავებული, სტატიები, ახალი ამბები, მიმოხილვები, ინტერვიუები. დღეს შე ეს ლიტერატურული საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მიიჩნია. თანამედროვე ლიტერატურული პროცესის გასაცნობად და გასააზრებლად, პირველ რიგში, სწორი ინფორმაციის მოწოდებაა საჭირო, რათა სოციალური მედიის ჩაკეტილი სივრცეებიდან, სადაც ქება-დიდება, თვითტყობობა ან სრული მიუღებლობა ბატონობს, მიუკერძოებლად შეფასებებზე გადაინაცვლო. შენი აზრი მაინტერესებს, რისი გაკეთებაა საჭირო ამ მიმართულებით და რამდენად შეუძლია ლიტერატურულ მედიას სრულად მოიცვას თანამედროვე ქართული და მსოფ-

ლიო ლიტერატურული მოვლენები.

- 90-იანებში, როცა ბერლინი ვცხოვრობდი, ტელევიზით გადაიღოდა გადაცემა “ლიტერატურული კვარტეტი”. ამ გადაცემის წყალობით აღმოვაჩინე მარსელ რაიხ-რანიცი. თან ვერ ავიტყობ, თან ალტაცებული ვიყავი. “კვარტეტი” თავადასავალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემ გარშემო ყოველთვის ლაპარაკობდნენ ლიტერატურაზე, ბევრს ვკითხულობდი და, საერთოდ, ფილოლოგი მერქვა, მსგავსი რამ არ მენახა და არ მომესმინა. “სეჩუანელი კეთილი ადამიანიდან” ციტატით ასრულებდნენ ხოლმე, “ფარად დაეშვა და ყველა კითხვა უშაპუხოდა დარჩა” - ბოდიში, რომ ასე უდიერად ვთარგმნი ბრეხტს. და მერე - ბეთჰოვენის რაზუმოსკის კვარტეტი! მერე ნაევიკითხე, რომ ესეც რაიხ-რანიციის იდეა იყო, ისევე, როგორც გადაცემის მიუღი კონცეფცია, სრულიად შესანიშნავი.

ფიქრობ, სწორედ ასეთი რამ გვჭირდება. არა ასეთი გადაცემა და რაიხ-რანიცი - სადაა კარგი ცხოვრება, - არამედ ნამდვილი, მართალი საუბარი ლიტერატურაზე, ზრდილობიანი და, ამავე დროს, რევერანსების გარეშე. ნამდვილად მახსოვს, რომ თხოუთიოდ წლის წინ ჯერ კიდევ ვლაპარაკობდი ლიტერატურაზე, ვკამათობდი, ედა ამბავში ვიყავით, და, შესაბამისად, ვწერდი კიდევ ლიტერატურაზე. სხვა თუ არაფერი, კვირაში ერთხელ “ლიტერატურული 24 საათი” და “წიგნები” გამოდიოდა, ყველა ყურნალს და გაზეთს ვერც ჩამოვთვლი. მუდამ იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები და ამის გამო არავის არავინ შეუჭამია. ლიტერატურული კრიტიკა ხომ პირადი შეურაცხყოფა არაა, და თუ ვინმე ჩემი ტექსტი წაიკითხა და მისი - და არა ჩემი - განხილვა მოუხდა, მაღლობის მეტი არ მექმნის, არა? ხოლო თუ არავინ არასოდეს არაფერი იტყვის, იმიტომ, რომ ავტორს ეწყინება, გამოცემელი გაჯავრდება, რედაქტორი ქოქოლას დააყრის და შეეჯარებულ მიატოვებს, და არავინ არასოდეს ახსნის, რა ხდება დღეს ქართული ლიტერატურის თავს, აღარც ლიტერატურა იარსებებს. იქნება ქართულად დანერგილი ამბები. საყარაუდ, ცუდი.

ბოლო წლებში, შეიძლება ითქვას, დოკუმენტურმა პროზამ ახალი ცხოვრება დაიწყო. უფრო კონკრეტულად, რასაც Nonfiction უწოდებენ. განა და ახალი თემები, პრიორიტეტები, პრობლემები და პასუხისმგებლობები. შენი დამოკიდებულება მაინტერესებს ამასთან. რომელ ავტორებს გაიხსენებდი.

არამახსტვრული ლიტერატურის კითხვა სულ ათიოდ წლის წინათ დავიწყე. მანამდე, თუ აუცილებელი არ იყო, არც გადავშლიდი, არ მაინტერესებდა. ახლა გატაცებით ვკითხულობ მეშუარესს, მოგონებებს, “საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის” ყოველ ახალ პუბლიკაციას მოუთმენლად ველოდები.

გიორგი ცოცანიძის “წელიწადი მეცხვარეებთან”, ჯიმიერ რეხვიავიშვილის “მტკვარი და მისი ორი ნაპირი”, ბიძინა მაყაშვილის “ბლუზი მტკვრის პირას” - რომელი ერთი ჩამოვთვალო. გადასარევი წიგნებია. და კიდევ სულხან სალაძის “უცნობი ძვე-

ლი აქარა”, და კიდევ ირაკლი მახარაძის “კანვიო” და კიდევ...
მე, სამუსხაროდ, ცუდად ვიცნობ ანა კორძაია-სამადაშვილს, როგორც მასწავლებელს, ლექტორს. რა სიახლე მოიტანა ამ საქმიანობაში შეს ცხოვრებაში?

როგორც მოგახსენე, მწერლობას არ ვაპირებდი. არც მთარგმნელობა ყოფილა ჩემი ოცნება. პედაგოგობა, საერთოდ, აზრადაც არ მომსვლია, დისერტაცია იმის გამო დავიცავი, რამ დედაჩემს უწოდდა: “ქორნდეს ხარისხავი, არ იყო, ჭამას ხომ არ გობხეს”.

თავგებობადცემულმა აღმოვაჩინე, რომ უკვე თორმეტი წელია, უნივერსიტეტში ვმუშაობ. თორმეტი! ძალიან კარგი საქმეა, მართლა საამაყო და საპატიო, ფრიად კმაყოფილი ვარ, რომ პროფესორი მიქია, და ძალიან მიყვარს უნივერსიტეტის იდეა, gaudeamus igitur და ა.შ. უბრალოდ, ეჭვი მაქვს, რომ ამდენხანს ერთი და იმავე საქმის კეთება მთლად სწორი არაა. თორმეტი წელია, წელიწადში ერთხელ ერთსა და იმავეს ვყვები. და მეტ-ნაკლებად ერთსა და იმავეს ვკითხულობ. ვაგაუფლება კაცია.

ხშირად შენი სტილი მკვეთრია, მოკლე-მოკლე ფრაზებით, ხანდახან კი მთაბეჭდებუდა მრჩევა, რომ ავტორი უბრალოდ გვესაუბრება, შენი ხმა მკაფიოდ მოისმის. ზოგადად, სტილზე რას იტყვი? სტილების მონაცვლეობაზე თხრობიას, საყვარელი მწერლები ამ თვალსაზრისით.

მე გგონია, სულ ვილაცას ვებაძე. ჩემს საყვარელ ავტორებს, ძალიანაც მოვიწონებო, ალბათ, ვე-რა, აბა, სად - მე და სად - სულმა ლაგეროფი. მაგრამ ნამდვილად ვებაძე ვილაცებს. შეგნებულად არ მიქნია, ალაღად, მაგრამ ეტყობა, ასეა.

პირველად ეს მრავალი წლის წინათ აღმოვაჩინე, პირველ შორეთში. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და მიმაჩნდა, რომ დედაჩინა ჩემთვის ტრიალებს, პრანჭვისგან ფეხზე ძლივს ვიდექი. ჰოდა, ერთხელაც, მეგობარმა წვეულებაზე დამაპატიჟა და იქ ერთი უცხო კაცი იყო, იდეა და თვალს არ მამორებდა, ოღონდ ისე კი არა, როგორც წესი და რიგია, არა, სულ სხვანაირად, აი, გაუგებარ მწერს რომ დააკვირებდა კაცი. მე ის, ცხადია, ვერ ავიტანე და იქვე ჩავთვალე, რომ არის შურიანი, იმით რომ მე ასეთი ლამაზი და ახალგაზრდა ვარ, ის კი - ბებერი და უშნო, კი არ იყო უშნო, მაგრამ მაინც, და შურს. მაგრამ მთერ მაინც ვერ მოვითმინე და ვკითხე, აი, რა არ მითხრა, რატომ მიყურებ-მეთქი ასე? მან მომიგო, რომ, წესით, ჩემიანია არსებები აბსოლუტურად არ მოსწონს, - გაგზარზდი, - რომ მეტსაც მომახსენებ, ჩემიანობი ნერვებს უშლიან, - კიდევ უფრო გაგზარზდი, - და რომ კიდევ უფრო იმის გამო ეტყობა ნერვები, რომ ჩემ შემყურეს ერთი კაცი ვახსენებდა, დიდებული კაცი, რომელსაც მე, უკვანია - ასე არ უთქვამს, მაგრამ იგულისხმებოდა, - იმ კაცს თეორიულადაც კი ვერსად ვადაყურებოდი, რამე ურთიერთობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, და მაინც სულ ის კაცი ავინდებ, თითქოს მისი სიტყვები მქონდეს პირში, - ასე თქვა, - თითქოს ჩემი პირით ის ლაპარაკობდეს. მან მითხრა, რომ ის კაცი ვაიმარში გაიცნო, დიდი ხნის წინათ, რომ ერ-

თხელ მთელი ღამე ისხდნენ და საუბრობდნენ, და ის იყო დიდებული კაცი, და ახლა რომ ჩემიანია - ეს “ჩემიანია” მაცოფებდა! - მისი სიტყვებით ლაპარაკობს, ეს სამინდოდ აბრაზებს.

ის “დიდებული კაცი” აღმოჩნდა მართლა დიდებული კაცი, და ის იყო ჩემი პროფესორი და დიდი მასწავლებელი, ბატონი ბუბა ყარაღაშვილი. ყოჩაღ მე, თუ უნებლიედ ვცდილობდი, მასავით მელაპარაკა!

იმ ამბის მერე მეფიქრება ხოლმე: ნეტა, ამჯერად ვისი სიტყვები ვთქვი? მე ხომ ერთნაირად ვწერ და ვლაპარაკობ, სხვანაირად არც ვიცი, როგორ ხდება, და ალბათ ხან მწერალს ვებაძე, ხან - ვინმეს, ვისი საუბარიც ძალიან მომეწონა და “ჩამრჩა”. თავს ვიმშვიდებ, რომ ეს არც ცუდია და არც კარგი, ასეა, უბრალოდ.

პატე სმიტის კონცერტზე ვიყავი და მან რაღაც ისე თქვა, როგორც არასდროს მსმენოდა: სადაც აშკარად “მაგრამ” უნდა ეთქვა, თქვა “და”, და ეს იყო შესანიშნავი. სულ სხვანაირად ვაგვიგონე და ვაგვიგონე მისი სათქმელი. აი, ამას კი შეგნებულად ვიმეცადინებ და ვეცდები, ასევე ვილაპარაკო და დავწერო.

გადარეულ თბილისში მოხვედრილი შეედი გოგონა, გარუჯული წინა და ბებერი მარინა, ტანცია-მარგარიტა... რა აერთიანებს შენს ქალ პერსონაჟებს? რომელ ერთ პერსონაჟს ქმნიან ისინი, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი რამ მიზნად გაქვს.

ყველა “ჩემი ქალს” კარგად ვიცნობ. საუკეთესოდ. საერთოდ, ქალებს კარგად ვიცნობ. აი, მამაკაცებისა კი რა მოგახსენოთ. ვიცნობ მამებს, პაპებს, მეგობარ კაცებს, მაგრამ ქალის კაცის როლში მყოფი მამაკაცი ნისლიანი შორიზონტია, წარმოდგენა არა მაქვს, იქ რა ხდება. მის ქალსაზე მხოლოდ ის ვიცი, რაც ქალებს ჰგონიათ. ძალიან სახალისოა: ამ ნისლიან ხან რა გამოხტება, ხარ - რა. სულ მოულოდნელობებია, ძირითადად, მარტვი და სამხიარულო. ალბათ, მამაკაცებიც ასე ფიქრობენ ქალებზე.

ყველა ჩემს გოგოს, ასაკის და მდგომარეობის მიუხედავად, ძალიან უნდა, რომ ვინმე უყვარდეს იმასაც უყვარდეს. მათ არა აქვთ დიდი და ამბიცოლირი მიზნები, არც დამარჯობები არიან და არც გამარჯვებულები, გოგოები არიან, რა. ქალები, ადამიანები. როგორც ამქვეყნად ყველა ადამიანი, ისინიც ბრიყული მიზეზების გამო დარდობენ და უშნოდ ტრიაან, უფარავ სისულელეს აკეთებენ და ძალიან ცდილობენ, იყვნენ ბედნიერები. ზოგჯერ ჰგონიათ, რომ უკვე დიდები და ბრძენები არიან, მაგრამ ეგ ტყუილია.

ასე ვადაწყვიტებ: რა ნამსაც ჩემი გოგოები აღარ იღარდებენ და აღარ იწერებენ, წერას მოვრჩები. მე ვერ ვიტან კორექტულ ტექსტებს, წიგნებს “ძლიერ ქალებზე”, და ვერც იმას დავუშვებ, რომ ჩემი პერსონაჟი ფატის ფრიალით მინარნარებდეს ამომავალი მზისკენ.

შენს თანამედროვე ქალ მწერლებს, ქართველებს, კარგად იცნობ? მათ ნაწერებს? რომლებს გამაოარჩევდი.

ჩემზე ბევრად ახალგაზრდა მწერალ ქალებს,

სამწესხაროდ, ნაკლებად ვიცნობ. მეტ-ნაკლებად ჩემხელბებთან კი საუკეთესო ურთიერთობა მაქვს, ვემგობრობ და ძალიან მიყვარს მათთან ერთად ყოფნა. სხვა თუ არაფერი, ქალი, რომელიც წერს, ამბებსაც გემჩროვლად ჰყვება, თან ქართული მწერალი ქალბები ლამაზები და ჭკვიანები არიან. ცხადია, მათ ტექსტებსაც ვკითხულობ, ზოგი მეტად მომწონს, ზოგი - ნაკლებად, მაგრამ ამ შემთხვევაში ავტორის სტიქს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მწერალ კაცებთანაც ზუსტად ასეა საქმე.

საერთოდ, კოლეგების ტექსტებზე ლაპარაკს ვერიდებ ხოლმე, თუ ალტაცებული არ ვარ და გულთან არ ვასხამ ხოტბას. მწერალი მგრძობიარე არსებაა, მისი წყენინება არ შეიძლება. მაგრამ როცა თამთა მელაშვილის ბოლო რომანს ვკითხულობდი, დავურეკე და დავეპირდი, თუ ამ გადასარეე ვთერის დამიზაგრავ, რამე სამინელბას გაგიკეთებ-მეთქი. სპოილერებს არ ვართ, ოღონდ თამთა დღესაც ჩემი საყვარელი მწერალი და ძვირფასი ადამიანია.

არის თუ არა "შუშანიკის შვილები" ქალაქური რომანი? მახსოვს, ერთხელ მივხარია, რომ ალასი აივაზიანის წიგნმა მოგვა გაოცებული ბიძგი ამ რომანის დასაწერად. ისიც აღნიშნე, რომ თბილისის ლეგენდები, მითოსი არ აქვს. ამაზე მითხარი ორი სიტყვით.

ყველა სხიერი მხარობი არსებობს კიდევ ერთი სამყარო, რომელსაც ხან ვხვდებით, ხან - ვერა, გააჩნია, როგორ გუნებაზე ვართ და რა გეჭირს, საერთოდ. საქართველოშიც ყოველი კუთხე ცოცხალია, ვინმე ოხერი მაინც გამოგისტება საიდანმე და ან გულს გაგიხეთქავს, ან გაგაბედნიერებს, ასე თუ ისე, მარტო არასოდეს დარჩები. თბილისი კი თითქოს ცარიელია, არადა, შეუძლებელია, ცარიელი იყოს, სხვა თუ არაფერი, ძველისძველი ქალაქია, ჩამარხული მდინარეებით და დიდი მიწისქვეშებით და ცუცხლთაყვანისმცემლების კოშკით, ბატონო, და რაც აქ ქაჯვენებს ჩაუვლიათ და სახანაიროზე ქვაკრივი ატეხილა - როგორ დავიჯერო, სულ ცარიელია, მხოლოდ ნაგავი ყრია და მეტი არაფერი? მე ფიქრობ - თავს ვიმშვიდებ, - რომ ამ ქალაქში ადამიანები სულ სხვადასხვა ენაზე ჰყვებოდნენ ამბებს, იმიტომ, რომ სულ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, და დღეს ზეპირი ისტორიების შერევა ამის გამო ვერ ხერხდება. თან 90-იანებში ხალხი ნაწიდა, ხოლო ისინი, ვინც მოვიდნენ, მეტწილად საბაზრო ეკონომიკის პირობებზე ფიქრობენ და სულ არ სცხვლათ აბანოებისთვის, ბაზრებისთვის და სასაფლაოებისთვის.

მე თბილისელი ვარ, თბილისურ ტექსტებს ვწერ, და კარგია ასე. უბრალოდ, ზოგჯერ მოვიწყენ ხოლმე, რომ მარტო ადამიანები და ქუჩის ძაღლები დავწინააღმდეგებ ამ კარგი ქალაქის ქუჩებში. ამიტომ ამბებს ვეძებ - და ვაგნებ, მიყვებიან, და მიყვარს საგნები, რომლებსაც ამბავი მოჰყვება, და ძალიან მიყვარს წიგნები, რომლებიც თბილისის გამოა დაწერილი. ანაზი აივაზიანიც სწორედ ამას წერდა, თბილისის ამბებს. ეგებ იგონებდა კიდევ რაღაცებს, კაცმა არ იცის, მაგრამ საუკუნე რომ გაივლის, ტყუილს და მართალს რაღა მნიშვნელობა აქვს. მთავარი,

რომ კარგია.

ანა, შენ არაერთი გერმანულენოვანი ავტორი თარგმნე. ორს გამოყოფიდი, ინგებორგ ბაჰმანს და ელფრედ იელინგს. როგორ ირჩევ ავტორს, როგორ მიიბნა მასთან?

სულ ერთი-ორი წიგნი მაქვს თარგმნილი, ასე ვთქვათ, ჩემი წებით. მაგალითად, რემარკის "სამი მეგობარი". თავდადებით მიყვარს, და როცა გამოცემულმა დამიხარა, რომ მთარგმნელს ეძებს, გული ამიჩქარდა. ძალიან მიწოდდა!

ძალიან მიწოდდა, რომ მეთარგმნა დანიელ გლაცაურის "ჩრდილოეთი ქარს უხდები", იმიტომ რომ თავის დროზე მართლა ერთ დღეში წავიკითხე, ნახევარი - ტრენაჟორზე, პედლების ტრიალით, და ისე ვიხალისე, მეტი რომ არ შეიძლება.

მინდოდა, მეთარგმნა რიუდიგერ საფრანსკის "ბოროტება ანუ თავისუფლების დრამა", იმიტომ რომ მიყვარს პატონი საფრანსკი და მისთვის თავის მოწონებას ვცდილობდი. თან, ეტყობა, თავი რაღაც მეგონა, და აღმოჩნდა, რომ არ ვარ, და ისე გავწვალდი, ისე წავეხდი, მსგავს ტუტუტურ საქციელს აღარასოდეს ჩავიდენ.

დანარჩენები მეტწილად შემთხვევითი ამბები იყო. ასე, "მალინას" თარგმნის პატივი მხოლოდ იმიტომ მხვდა წილად, რომ მაია ბადრიძეს არ ეცალა - გამომართა. დიდი გამოცდილება იყო, სრული სიგოე, სიკვდილის მრავალფეროვნებათაგანი, ისეთი, ბაზმანსაც რომ არ ალუნწავია.

იელინგს რაც შეეხება, რომ მცოდნოდა, რა მელიდა, არასოდეს მივეკარეოდი, საერთოდ. ახლახან ისევე გადავეყრე ამ ავტორს, ამჯერად - თეატრში: "ხმაური. ბრმა ხედავ. ბრმები ხედავენ!" - კარგი, რა. კასტორფის დადგმა იყო, თორემ იქ რა მიმიყვინდა... თუმცა, "საყვარლების" თარგმნისას ერთი დიდი სიხარული წამდევოდად მაქვს: პატონმა ვახუშტი კოტეტიშვილმა ითავა ჩემი მენტორობა და ის, რაც მაშინ მისგან ვისწავლე, არასოდეს არსად ამომიკითხავს, და საშვილიშვილოდ დამამახსოვრდა.

უცნაური რამაა, ეს წიგნების თარგმნა. სხედხართ ორნი, ის - შენზე მაგარი, შენ - ხმაჩამორთმეული, მხოლოდ თქვენ ორნი. თუ ცოცხალია ეს ავტორი, კიდევ რა უშავს, ჰკითხავ, რა წყალში ჩავარდე, რა გავაკეთო, მაგრამ თუ გარდაცვლილი კლასიკოსია, წასულია შენი საქმე. წესით, წვალებაა, და, ამავე დროს, უზარმაზარი სიამოვნება, ლამის ბედნიერება, იმიტომ რომ ის, შენზე მაგარი, ისეთი გეტყვის, ისეთი მოგიყვება, გაკვირვებულს დაგვიკვებს - თორემ, ლელიანი შეიძლება იყოს საშინელიც, ჰორორი. ლელიანი სიკვდილია, არ გიფიქრია ამაზე, ანა? აბა, იფიქრე, და ისე დაწერე, რომ ქართულად მკითხველი მიხვდეს, რომ ლელიანი, ბიჭო, ლელიანი... მეურე კი ის, მაგარი, წყალობას მოიღებს, აუცილებლად, და დაგანერიწებს, თან ისე, რომ ყველა მიხვდება: ლელიანი არის სიკვდილი.

არ ვციო, მართლა ასეა, თუ მე გამოვიგონე. საბოლოოდ, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ამ ზაფხულს ერთი შესანიშნავი წიგნის თარგმნას დავიწყებ და ისეთ კაცთან ერთად მომიწევს ჯდო-



მა, რომ უპ! მასთან ყოფნისთვის არასრულფასოვნების კომპლექსის აკიდებაც ღირს.

უცნაურად კი უღერს, მაგრამ ადრე მსუბუქი, ხალისიანი და ჭკუამხიარული მიზანთრობია და ვინახე შენში, როგორც ავტორის ან მთხრობლის ზოგიერთ პერსონაჟთან დამოკიდებულებაში. ხანდახან ცხოველებს, სხვა ცოცხალ არსებებს ან ნივთებს გაცილებით მკვეთრად გამოსახავ, ვიდრე ადამიანებს. ასეა თუ არა? მოყევი პერსონაჟებზე მუშაობის შესახებ, საიდან იბადებიან, როგორ ხედავ ხოლმე.

საგნები და ათასგვარი ცოცხალი არსებები სულ არიან. ზოგი მიხარია, ზოგი - არა, მაგრამ არიან, ვერაფერს ვიზამ. მათ გარეშე არაფერი გამოდის, და თუ რამის მოყოლისას არც კი ვახსენებ, მე მგონი, უბადრუკი ამბავი გამოვა.

აი, ნახე: სააბაზანოდან გამოვედი და დავინახე, რომ შემოსასვლელში იჯდა ხელიკი. კარგა მოზრდილი ბრძანდებოდა, არაფერი ეტკინოს. ცხადა, მანაც დამინახა და მკვდარი ვარ, არ ვარ, საერთოდ.

ხელიკების ნამდვილად არ მემშინია, უბრალოდ, მძინარეს რომ გადამიბრძინოს - რა ვიცი, ეგებ იმას უძილობა სჭირს და დღე და ღამე აერიო? - დილა არ გამითენდება, და, საერთოდ, ხელიკი გამიგია კლდეზე, გალავანზე, საფლავის ქვაზე, და ცენტრალურ ვაკეში, პარკეტზე ხელიკს რა უნდა? ვეს-

როლე პირსახოცი და საბოლოოდ გაეუბედურდი, იმიტომ რომ ჩემთვის არავის უსწავლებია, რა უნდა უქნა სველ პირსახოცში გახვეულ ხელიკს. ფანჯრიდან მოვიქინე, მე მხეცმა, და მივაყურადე: თუ კივილი ატყდებოდა, ჩუმად გადავხედავდი, ვის გაუსკდა გული, როცა ციდან ხელიკი დააფრინდა თავზე. არც მკვდარი კაცი დამხვედრია და არც მკვდარი ხელიკი, ალილუია.

აი, ნახე: ამ ხელიკზე გაუთავებლად შეიძლება ფიქრი! შემიძლია, დავაბრალო, რომ ფრთა შეისხა, კამარა შეკრა და ახლა ქალაქს დასტრიალებს, მარტოსული, იმის იმედად, რომ სხვა გადმოგდებული ხელიკანა შეხვდება; ან ვიფიქრებ, რაებს ატყუებს ჩემი ცითმოვლენილი ხელიკი გარაჟის გამოუსვლელ ხელიკებს, როგორ შეერკინა სველ და საზიზღარ ურჩხულს და დაამარცხა, რა თქმა უნდა; ან მოვეყვები, რომ ჰაერში გასხვიოსნდა და ახლა ქინქლებს და ქუნქლებსაც კი აღარ ერჩის, ვერის ხეობაში ჭინჭარს ეძალება და იქაურები მიღარეპას ეძახიან. რა ვიცი, უთვალავი ამბავია. ამ დროს, წარმოიდგინე, კაცი რომ გადააგდო - აი, რა? საიდანაც არ უნდა მოუარო, უმარტივესი სცენარია, ყოვლად მოსაწყენი: დაასკდა და მოკვდა; დაასკდა და გადაარჩა, ამოგივარდა და ფანჯრიდან გადააგადო; დაასკდა და გადაარჩა, ყურები ჩამოყარა და ახლა შფოთვითი აშლილობით დაბუტბუტებს სადმე, ბედიაში.

ანა კორძაია-სამადაშვილი

გემო და ავამაკები



არ მიყვარს ტურისტები. იმისთვის, რომ არავინ გამიბრაზდეს, დავაზუსტებ: საკუთარი საყვარელი თავიკი კი არ მიყვარს ტურისტის როლში. აი, აქლემზე ხუთ დოლარად რომ შემსვს და ჩამოსვლაში ორმოცდაათი რომ მომთხოვებს, როგორც სულელს და ტურისტს.

სეცს ნოტივებში აღწერს, გზამკვლელებით აღჭურვილი იაპონელი ტურისტების ჯგუფი როგორ ჩამომდგარიყო ტოლედოს საკათედრო ტაძარში, პატარა ფარასავით. ტურისტები ყურადღებით უსმენდნენ სერიოზულ გოგონას, გოგონა კი ხმათართოლებული აუნყებდა მათ უცნაურ ამბებს, რომლებიც დასავლეთის სასტიკი დემეტრის მაზოხისტ ვაჟს გადახდა.

აი, ასეთი სულიერია ტურისტი, და როცა ტურისტი ვარ, ზუსტად ასეთი ვარ მეც. ცული და ბოროტი კი არა, უბრალოდ, ტურისტი ვარ, და ეს, მე თუ შეკითხავთ, ბიოურული სტატუსია.

ისევე, როგორც ყველა მეტ-ნაკლებად დალაგებულ ადამიანს, მეც არ მომწონს, როცა რამე არ მომწონს, განსაკუთრებით, ისეთი რამ, რაც ობიექტურად არსებობს და ამას ვერაფერს მოეუხერხებ. ჩემთვის არასიმპათიური სტატუსის მქონე ადამიანებს, ანუ ტურისტებსაც ვერსად გავექცევი, და ამიტომ ვცდილობ, თუმც ამაოდ, მაგრამ მაინც, მათ მიმართ დამოკიდებულება შევიცვალო.

ჩემი გონიერ-პრაგმატული მხარე მახსენებს, რომ ტურისტს ქვეყანაში ფული შემოაქვს.

კი, - პასუხობს ავი ანა, - კორნავირუსიკი.

ტურიზმი ჩვენი ქვეყნის გაცნობის საუკეთესო საშუალებაა.

ავ ანას სულ არ ადარდებს, გაიცნობს დეიდა კუნთგუნდა საქართველოს თუ არა.

ავმა ანამ იცის, რომ ტურისტი არსებობს ყველგან, როგორც ტარაკანა. მისი, ანუ ტურისტის გამო ავი ანას სიცოცხლე გართულდა, გაძვირდა, მისი საარსებო არეალი შემცირდა, და ავ ანას ეს საერთოდ არ მოსწონს, და მაგრად იტანჯება, რომ ცნება "ტურისტის" არმონონების გამო სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ავად უტყერს. კი, იცის, რომ თვითონაც იგივე იყო ეგვიპტეში, მაგალითად, მაგრამ მაინც.

* * *

მე მიყვარს ჩემი სამშობლო.

იმის გამო, რომ ჩემს სამშობლოში სიტყვებს უმსგავსოდ ექცევიან და იმედი ტელევიზია ჰკონიათ, ოცნება - პარტია, ეროვნული კი - ფაშისტური, ამის განცხადება ცოტა უხერხული გახდა, მაგრამ ასეა, და ამ გრძნობის გამოსახატად მდიდარ და მოქნილ ქართულ ენაში სხვა სიტყვებს ვერ მივაგენი. მე არ მგონია, რომ ალავერიდი დედამიწაზე ყველაზე მაღალი ტაძარია, დანამდვილებით ვიცი, რომ სტუმართმოყვარეობა მხოლოდ ჩემს თანამემამულეებს არ ახასიათებთ და ქართლის ველებზე დიდი ველებიც მინახავს. მაგრამ მე ჩემს სამშობლოზე ვგიჟდები, და ასი წლის მერე - მანამდე არ მანჯობს - როცა მოვეკვდები, ყოველად იაზურად დავიბარებ, დამწვან და ჩემს მინაზე მომაბნინო, ნიკოფსიდიან დარუბანდამდე არა, მაგრამ სოხუმიდან ფლავამდე მაინც.

ზემოთ თქმულის გამო საშინლად გაგნობილი, როცა ერთი უმძვენიერესი, მაღალ მთაში დაკარგული ტყის პირას აღმოვაჩინე კაფე - კაფეებს საერთოდ არ ვერჩი, - და ამ კაფეს მაგტიდების თავზე გაშლილი ქოლგები წარწერით "კოკა-კოლა" - არც ენდი გორპოლს ვერჩი, ალაღად. მაგრამ ვიფიქრე, რომ ეს აშავია სა-

შინლად არ მომწონს და იქ აღარ წავალ.

რა მოხდა. მილოჩობით დაძვინი არ ყოფილა ამ ტების პირას და ეგებ ჩემზე ბედნიერიცაა, მე კი იქ უთვალავი ღამე გაითინებია. მეგობრის ბათინკაზე და-მაგრებული სანთელი პარასაღვდა, მწვერვალების გვირგვინს სასვე მთავრე დასაჩხაბებდა, და მაშინ მე-გობარმა უკვდავი სიტყვებით თქვა: "რომ გაგვიწყალეს გული ამ ქართველებს, რატომ არ აშენებთო - აშენებულია, ბატონო, აჰა!" ეს მაშინ იყო, უხსოვარ დროს, ახლა კი - კაფე.

ჰოდა, აღარ წავალ. არავის არაფერი დააკლდება და არც მე ვიქნები უბედური, რომ რაღაც არ მომიწონს.

ერთი ისაა, რომ სადმე ხომ უნდა წავიდე, სულ აქ ხომ არ ვიქნები, სადაც ახლა ვარ - ქალაქი თბილისი, უბანი ვიკი... კარგი, რა!

და ისევე მინის და წყლის ღმერთებმა ჩემი საწყალობელი გულისთქმა და გამახსენეს, რომ საქართველოში, იმ მხარეში, სადაც არ არიან ტურისტები, ერთი სახლი დგას, ჩემი სახლი, და ის სახლი დგას მიწაზე, რომელიც დაბადების უფლებით და კანონის ძალით ჩემია, და მერე? ახლა აქ რას უზიხარ, ქალბატონო?

* * *

მისამართი უადვილესია: მეორე მოსახვევი მარჯვნივ, მერე კი სულ პირდაპირ, დილაძე.

მართლა კი არა. ეს პიტერ პენის ამბავია. ვიცი, რომ იცანით. იმ უქმულზე ყველანი ვყოფილვარო. ჩემი სახლის, ჩემი სასახლის მისამართიც ცოტა ასეთია: ჯერ - მატარებელი, მერე - ავთოს მანქანა (სხვისა არ ვარგა, ვერ მიდის), და თუ ძალიან ნაწივიანია - ნაძებიდან, და თუ ოდნავ - მუხებიდან ცუნცუნ-ლოთი, ფეხით მიუყვები გზას. მერე გზის პირას ჭანჭირობია და ბაყაყების დიდი ფუნდი იოანე ოქრობრძოლის ლიტურგიას აგუგუნებს, მერე პირველი მოსახლე ჩნდება, მერე - კიდევ ორი სახლი, შვილობილი ძალი ნადირაც გამოხატეს და აღაღადვდეს, იმიტომ, რომ სხვა დროს საშინლად მოწყენილია და ადამიანის გამოჩენა გულწრფელად უხარია, მერე - აღმართი, მერე - გადასახვევი, მდელი, და მდელიდან რომ ჩაიხიდავთ, ის უკვე ჩანს. ჩემი პალაცო, ალტემული მიწა.

...და დაე, იყოს ჩვენი სახლი უღარდებით, ბალახსა და ხშირ ფოთლებში ჩაფლული, და რომ გავიგებ და ყველაფერს, რაც დაფარული იყო, დავედები და დავიცი-დი, როდის გაივლის ტკივილი... ამ სიმღერას შორს, ლიტვისა და პოლონეთის საზღვარზე, უხსოვარ დროს, როცა სხვა სახელი მერქვა, ერთი ლურჯფეხი გოგო მღეროდა ხოლმე. ახლა სადაა და მღერის თუ არა, არ ვიცი. კარგი გოგო კი იყო.

* * *

ჩემს სახლში დრო გაჩერებულია. საერთოდ. ირგველი ვინმე რომ ცხოვრობდეს კიდევ, სოხუმის დაცემასაც ვერ გაიგებდა - საიდან? მართალია, დენი მაქვს და ვიღაც, იდუმალი - ალბათ, ტყის სულია, თორემ აბა, ერთხელ მაინც როგორ ვერ ვნახ? - მრიცხველის ჩვენებას ამონებს და მერე მსი-იც მომიდის. ეს შეტყობინებები საშინლად მახარებს: არ მომჩვენებია, არ გამიფრენია, სახლი არსებობს! იქ სულ არის წყალი - წყარო, გაზაფხულზე ღარიმ ვერ ვტყვა, შემოდგომის მინერალს არც კი იხმის, და სულ არის დრო. დილიდან შუადღემდე დიდი დროა, შუადღიდან საღ-

მომდე - კიდევ მეტი, და საღამოები ძალიან გრძელია, უსასრულო. და ისეთი ტკბელი, რომ არაერთხელ მიფიქროს: თუ მარადისობა ასეთია, ახლავე, აქვე ვარ ყაბულს, სული განვუტყეო. ჩემს სახლს მაღალფარდოვებ უხედავ.

როცა იქ ვარ, დროის ზღვარი იშლება, და ისინი, ვინც ოდესღაც აქაურობის ბატონ-პატრონები იყვნენ, ძალიან ახლოს მოდიან. და ბევრს ვიციანთ, როცა ყვე-ბით, როგორ ეგონათ კომისრებს კენინა ქანა "ვარავიკა", გვიხარია, რომ ბაბუა დავითმა შეიდა არავის მო-უხარა, ბიძია მიტუმას მოყოლილ ანეკდოტებზე ვი-ცინით - მეთათსედ, მესათათსედ: სკოროსტებს მოუ-მატე, კენინა! - ჰა-ჰა-ჰა!

ახალი პერსონაჟი ცოტაა. მხოლოდ კატა გემო და მისი ყოფილად გაუზრდელი, ყოველნაირად სხვადას-ხვა მკვლელები შემოგვემატუნენ. უტიფარი საზოგადოე-ბაა, ჩვეულებრივი ავაზაკები. ისინი ყველგან არიან: ლოგინში, ქვაბში, ლუმელზე, ტანსაცმლის კარადში, ისინი ღამით კედელს მოუყვებიან და სხევიდან ჰა-მაკში ტკბილად მძინარეს თავზე ეცემიან: პირკატა! კატასტროფა! გემო, გააირეი აქედან შენი ოხერი ჯვა-ლები! გემო, შავი, როგორც ცოდვა და უდრტვინველი, როგორც ბუდა, მხოლოდ თვალზეს ჭუტავს, მან ზუს-ტად იცის, რომ მის მზეთუნახავ მკვლელებს არავინ აწყე-ნინებს. გემო, რამე რომ იყოს, ტურისტებს ხომ მოე-რევი? გემოს ეცინება. ტურისტი რა სახსენებელია, საერთოდ.

უხსოვარ დროს, საუკუნეების მიჯნაზე, აქ, ჩემს მიწაზე, ერთ დედოფალივით გამართულ ქალს გაუყე-ლია. ახლა ამ მიწაში წესს, საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს. ჰოდა, მის საფლავთან ვიღაც ქალმა - ალბათ, ტყის სული იყო, თორემ აი, აქ საიდან გარნდა? - ასე მითხრა, მივხვდი, ვინც ხარო, იმიტომ, რომ ძა-ლიან ჰგავხარო, და მას აქეთია, დაფეთებული ვარ: ევდოკია კორძაია 1902 წელს გარდაიცვალა, მისა არა-ნაირი გამოსახულება არა გვაქვს და ვაიძე?.. მაგარ ამ ქალმა მაიპო, ვისთან მეგობრობდა დღეკი, მეფის ნაცვლის სასახლეში, წარმოდგენაზე რა ეცვა...

მე მაგონ, გემო მაქცია. ხან დენის კაცად იქცევა ხოლმე, ხან ასეთ შემამფთოებელ ქალებად.

* * *

რაც სახლი აღმოვაჩინე, საზარელ სიზმრებს ვხე-დავ: აი, გავიღვიძე ჩემს აივანზე და დავინახე, რომ ღამეა, და იქით, გორაკებზე, ნუცუბიძის პლატო ბრჭყე-ალებს. ისიც მესიზმრა, რომ სახლში ტყეში ზამბარანი ლოგინების ნაცვლები უშველებლი, ჭყავის სამეული იდგა და კაცი, რომელიც მანამდე კარგი ადამიანი მე-გონა, არადა, მკვლელი ყოფილა, მუუზნებოდა, რომ აქ იქნება მოსტელი. ცივ ოლქში გამღვიძებია, იმიტომ რომ მიწახავს, რომ მდელიმდე მივედი, გადავიხედე და სახლი არ დამხვდა, არ იყო, და მიშველეთ, ხალხო, სადაა ჩემი სახლი?

მაგარ ამ სიზმრებია, სისულელე, ტყუილი. სახ-ლი დგას. და ერთ დღეცა იქნება - მალე, სულ მალე - შეეუხვევ მეორე მოსახვევიმ, მარჯვნივ, და მერე სულ პირდაპირ ვივლი, დილაძე, და მდელიდან ნიოთლ სახურავს რომ დავინახავ, დავიძახებ: "მოვედი, ჩემო სახლეოკი!" ძალიან ხმაშაღლა დავიძახებ, ვიღარიან-ცელებუ, ღამის დედოფლის არიას ვიმღერებ, ჯიგას ადგილი - არავინ შეწუნდება, ვერავინ გაიგონებს. იქ მხოლოდ ჩვენ ვარ: მე, სახლი, გემო და ავაზაკები.

ნათია დელევა

შემთხვევითი ოცნების კაფეები ანუ მოთხრობის მოკრძალებული ხიბლი

“World Literature Today-ს” 2004 წლის ნომერში რობერტო ბოლანიოს მიერ შედგენილი სქემა იბეჭდება - მასზე ის 12 რჩევაა განაწილებული, რომლებიც, წესით, მოთხრობის წერის ხელოვნების საიდუმლოებებს უნდა ცხადყოფდეს. თითოეული რჩევა დამცინავი, ხუმრობანარევი ტონითაა დაწერილი - დამწყებ ავტორებს თავიდან ზუან რულფოს, კამილო ხოსე სელას, კორტასარისა და უმბრალის არსებობას ასხენებს; მომდევნო რჩევაში კი მკაცრად ამბობს, რომ უმბრალსა და სელას ახლოს არავინ არაფრის დიდებით არ უნდა გაეკაროს. მოგვიანებით ბოლანიო იმ ავტორებს დასცინის, რომლებიც იოზეფ-პიერ (პეტრუს) ბორელს, დიდ ფრანკ პროზაიკს, სრული სერიოზულობით კითხულობენ და მისი დახვეწილი სტილის გაუაზრებელ იმიტაციაში ფლანგავენ დროს. სინამდვილეში, როგორც ბოლანიო წერს, დამწყებმა ავტორმა პეტრუს ბორელის არა სალიტერატურო, არამედ ჩაცმის სტილი უნდა გადაიღოს. წელში გამართული, მდიდრულ ფრაკში გამონყობილი ბორელი დახვეწილია, სასაცილოდ დახვეწილი, თანაც, ფრანგი და იმდენად მდიდური, რომ თითქოს დაგვცინის.

ანას ენობრივი სტილი, ამბებისა და შინაარსისგან დამოუკიდებლად არსებული, თვითმყოფადი თხრობის სტრუქტურა პეტრუს ბორელის ჩაცმის სტილისგან დიდად არ განსხვავდება. პირველად 2005 წელს გამოქვეყნებულ კრებულში “მე, მარგარიტა”, სამწერლობო ენის თავისებურებები და სტრუქტურა უჩვეულო სიმძაფრით იკვეთება და თითოეული მოთხრობის აგებულება იმდენადვე დახვეწილი, რამდენადაც ბორელის წელში გამოყვანილი ფრაკი თუ გაპრიალებული ფეხსაცმელი. თითოეული პერსონაჟიც თავისებურად, მდაბიურად მდიდურია, ეს მდიდრუბა კი, ბორელის ფრანგული სამოსისა არ იყოს, ავტორს სასაცილოდაც არ ჰყოფნის.

მტკიცედ მჯერა, რომ ანა თავის გიჟ ქალებზეც გულიანად იცინის, ამ ქალების გაგიჟებულ თავგზაბანულ კაცებზეც, გადარეულ თბილისში მოხვედრილ შედგ გოგონაზეც, რიხალსკის სახლის ბედზეც, გარუჯულ ნინაზეც და ბებერ მარინაზეც; თუმცა, რაც არ უნდა სასაცილო იყოს, თითოეულ მათგანს თავისი პაჭარა ტრაველი ამბობს, ტრაველია, რომელიც ყველაზე მსუბუქ ამბავშიც კი უეცრად არსაიდან ამოტყავივდება ხოლმე. დიდძალადიანი, ფიქიანა ტანცისა ტრაველია მაშინ დაიწყოს, რა ნაშაუც გოგონას დიდი თავადის ჩამობრძანების პატივსაცემად სადგურზე წარწერილი “სტანცია” ერგო სახელად. მუდმივი ძებნისა და ლოდინის დაუსრულებელი ციკლი ტანცისა ბედისწერა აღმოჩ-

ნდა. ეს ბედისწერა კი რუსი კაცის მორთმეული შავ-ქლიავის ჩაკეჩით წლების შემდეგ შვილებსა და შვილიშვილებსაც გადასწვდა. ტანცისა დიდად არ უმართლებს - მართალია, ძლივს გამოჩენილი მიხაილო ერთხელაც ტანცისა აღარ დაუბრუნდება; თუმცა, ანას შემთხვევითობები უყვარს, ეს უეცარი დამთხვევები კი იმდენად ჯადოსნურია, რომ ტრაველიის სიმძიმე შთანთქავს ხოლმე - ტექსტის ერთადერთი კაცის გადაკარგვამდე მკითხველი იმას იგებს, მიხაილოს სახლს “სტანცია მარგარიტა” რომ რქმევია. ამგვარი შემთხვევითობები ტანცია-მარგარიტას ტრაგიკულ ბედისწერასთან, ცხადია, ვერაფერს გახდენს, თუმცა, მიხაილოს სახლის სენზიაობა სტანცია-მარგარიტასთვის თითქოს ერთადერთია, რაც მიხაილოს გადაკარგვის შემდეგ აძლევინებს. ტანცია-მარგარიტა მალევე კვდება, თუმცა, ტექსტში სვედისმაგვარი არაფერი იგრძნობა, რადგან მშობიარობას გადაყოლობი ტანცისა ადგილს მარგარიტა, რიტა-მარგარიტა იკავებს; რიტა-მარგარიტა წაწლების შემდეგ კვლავ მორიგი მარგარიტა, მარგო, უერთდება. მათ არსებობაში მიხაილო ვერაფერი არსად მოჩნას. მალევე ვიგებთ, რიტა-მარგარიტა მატარებლის რელსებს რომ შევარდნა, ტექსტში კი მარგო მარტო რჩება. “მე, მარგარიტა”, სხვა ბევრ რამესთან ერთად, ყველაზე მეტად ბედისწერის ამბავი მგონია. სადგურზე წარწერილმა “სტანციამ” ტანციაც შეინარა, რიტაც მის რელსებზე აღმოჩნდა სულამომავალი, მარგოს, თავის მხრივ, სოხუმის სადგური არ ანებებს თავს და ის ტექსტში ერთადერთია, რომელიც საკუთარი არსებობის სიმძაფრეს სწორედაც სადგურზე ქროლისას შეიცრძნობს. სიკვდილ-სიცოცხლის ამ ირონიულ წრებრუნვას დასასრული არ უჩანს, რადგან ყოველთვის იარსებებს ვიღაც მარგარიტა, ვისაც, კაცმა არ იცის, რა ბედი ეწევა.

* * *

ქალების გარდა ანას სახლებზე წერა უყვარს - სახლებზე, სადაც ექვსკუთხა ოთახებია, ჭერი 5 მეტრამდეა აღმართული, ბუხარზე კი ჯვრები ალაგია; სადაც კედელზე კბილებდაკრეჭილი ციყვის ფიტული კიდაი, ონკანი ხრიალებს და შესასვლელში ჩუქურთმიანი ლათონის კარია; ბარნოვის სახლი, რომელიც თავის პატრონს, ალბათ, ისე უყვარს, როგორც დედა, მამა და სამშობლო, იასანისა და კვიპაროსის ბაღებიდან დაწყებული, რიხალსკის ქლეიქიანი ოჯახით დამთავრებული, უამრავი წყველას, ცრურწმენასა და რიტუალს იტყვის; რიხალსკის სახლის კედლებში ისეთი ქალების სული ტრიალებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ სადაცაა დაი-



ფოტოს ავტორი: ანა ამილჩიუვილი-პულონაიანი

ხოცებიან, ყოფას არ ეგუებიან, ვერცხლის კოვზს ხელიდან არ აგდებენ და ჩითის კაბას ახლოსაც არ იკარებენ. ვექილი ანას შეილიშვილს კი ძლიერ გაუმართლა, ძველებური ავეჯის გარნიტურს ბებიამისმა ამბებით გამოტყენილი სახლი რომ არჩია. მაღალი ჭერისა და სინათლის გარდა, ის ადამიანები აქცევენ სახლს სახლად, შინ მისულები თავიანთი ღრიალის გადასაფარად რადიოს ბოლო ხმაზე რომ აღმუქვლებენ და სამზარეულოში ტიტვლები დაიარებინან, საკუთარი თავი როგორმე რომ შეიყვარონ, სიცივეს კი არაფრით ეპუებინან.

მაღალჭერიან სახლებთან ერთად ანას ქალების ამბებს თბილისის აურზაური გასდევს ფონად; ქალაქის, სადაც ხალხით გადატენილ კაფეებში ყავაზე უსასრულო მკითხაობით იქცევენ თავს და ერთ ჭიქას ბარე ათ ღერს აყოლებენ.

ანა მწერლობასთან ერთად, საუკეთესო მთხრობელია; ალბათ, უფრო მეტადაც კია მთხრობელი, ვიდრე, უბრალოდ, გამოგონილ სტრიქონებს ამოფარებული ავტორი. ამიტომაცაა, მის ყველა

მოთხრობას უსასრულოდ გადაჭიმული თხრობის ძაფი რომ აქვს. მოთხრობებში ჩატყული ისტორიები ტექსტის აზნაცებს სცდება და მისივე პერსონაჟები მის მონათხრობ ყველა ამბავში ჩუმჩუმად დაძრწიან. თბილისიც ანას, ალბათ, ისევე უყვარს, როგორც დედა და მამა. თბილისის ქუჩები და ცალკეულ პერსონაჟებად გარდაქმნილი კაფეები კი ლენკა რაინეროვას "პრადელი ქალის ოცნების კაფეს" მოგვაგონებს; ლენკა რაინეროვასი არ იყოს, თბილისის ის ადგილია, სადაც ანა თავის პერსონაჟებთან ერთად სიზმრებში დააბიჯებს. უმახინჯესი კორპუსებით სავსე თბილისიც იმდენადვე მომწუსხველია, რამდენადაც პრალა თავისი კამკამა ცითა და ფერად-ფერადი სახურავებით - რადგან აქ "ვისაც რა უნდა ჰკითხო, იძახის, ყველაფერი კარგად იქნება, ყველა სურვილი ახდება, ძალიან ბედნიერები ვიქნებითო... ეტყობა, რალაც სხვანაირი სურვილები აქვთ, რომლებიც უხდებათ..." და მიუხედავად იმისა, რომ "სულ ომის სჭირთ...", ყოველთვის იარსებებს ოცნების კაფეები, სადაც სიგარეტის

კვამლში გახვეული ქალები ჩაუთქვამენ ნატკრებს პიანინოს თავზე შემომდგარ ჭიქა ყავას ("თბილისი. ნოემბერი. 2004 წელი").

თხრობის ეს ჯაღანსური ძაფი მოთხრობიდან მოთხრობაში იხლართება და ლენკა რაინეროვას აჩრდილს მატა ჰარის უერთდება; საოცარი მატა ჰარი, რომელიც ათნულელების წინ კიდევ უფრო საოცარი დამთხვევის შედეგად ლენკა რაინეროვას გვერდით აღმოჩნდა საკანში. "...ქუჩაში მანქანიდან მომძახოდა ხოლმე, თან ისეთი გაბრწყინებული, თითქოს მე კი არ დავენახე დამწვარი ბუმბულის ქურთუკში, არამედ მატა ჰარის ეცეკვა ამომავალი მზის საგალობელი." ანა თითქოს ამ შემთხვევითობების ხაზის გაგრძელება ცდილობს და მათი სტრიქონებში მოცხვეთი, ამ ჯაღანსური დამთხვევებს უსასრულობას უნარჩუნებს.

* * *

უსამართლობა იქნება, ანას გმირებს პერსონაჟები ვუნდოთ და გამოგონილი სამყაროს დარანებში გამოწყვედვა მიუხედავად; თითოეული გმირი იმდენადვე ნამდვილი ადამიანი, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მარგარიტაც იმდენადვე რეალური ადამიანი, რამდენადაც მატა ჰარი, რადგან ეს სახელი მატარებელი რაღაც ამოუცნობ ადგილას მიმავალი სანიდელიანი დედოფალი მარგოს ცხოვრების გამოძახილია, ანას ჩინელი პროფესორის, გუანგენ ლიუ-ყანდარელის, რომლის ნათლობის სახელიც მარგარიტაა და რომელიც, ჩვენი მარგარიტისი არ იყოს, საკუთარ ბედს სწორედაც მატარებელში გადაეყარა.

თუმცა, რთულია, მხოლოდ რეალურ ამბებზე დაუფიქრებელი გმირების ხარჯზე გამოიყვანო მოთხრობა სრულყოფილი. მოთხრობისთვის შინაარსი იმდენადვე ჩვეულებრივი ამბავია, რამდენადაც ცისფერი თვალი ადამიანისთვის, წერდა ერთი დიდი საშხრეთელი ქალი. ეს ქალი, ეულორა უელთი, იმასაც ამბობდა, რომ მოთხრობის მოკრძალებული ხიბლი ყველაზე უკეთ მაშინ ვლინდება, როცა სტრიქონებიდან შინაარსი უკვალედ ქრება, უკანასკნელ მოთხრობადაც კი უზრალო სიტყვებით შეკონინებული ფორმა რჩება. თხრობის მხოლოდ ის ძაფია უწინდესი, რომელიც სწორედ შინაარსგამოვლილი ფორმების ხარჯზე გამოიშვება. თხრობის ეს ძაფი ზოგ მოთხრობაში ბოლომდე გადაჭიმული, ზოგან კი ამბებით დახუნძლულ სტრიქონებს შორის მიიმალება ხოლმე. თხრობის ფორმების ოსტატური მონაცვლეობით მრავალპლანიან ტექსტებს ვერჩებით, სადაც მკითხველი ხან მსუბუქად დაფარფტავს, ხან კი გზაბნეული დაეხეტება. თხრობის ენა დაცლილია ყოველგვარი პომპეზურობისგან, ზოგან უკიდურესად ნატურალისტურ, ლიტერატურულ სიფრთხვეში დიდი ხნის დამკვიდრებულ "დეკემურ", საგაზეთო ენასაც ხსენებთ. ამგვარი კომპოზიციური სიმარტივე კი თითოეულ წინადადებას უკიდევანო სიფრთხილისა განცდიდა და დახვეწილობით ავსებს. რთულია, კრებულში მესულ 23 მოთხრობას რაიმე გამაერთიანებელი ნიშანი მოუ-

ძებნო, ყველა ამბავი თითქოს ერთმანეთისგან და მოუკიდებელია, მიუხედავად ამისა, მაინც ამოიკნობა ის რაღაც უხილავი მაგური ძალა, რომელიც ერთიანობის ილუზიას მთელი თავისი მონუმენტურობით გვახვევს თავს. ერთიანობის ამგვარი შეგრძნება კი უზარმაზარი თანაგრძნობით გაუღენთილი სტრიქონების ხარჯზეა შეკონინებული. "ადამიანის დედამიწისა და დედამიწის სამყაროების!" ანას მტკიცედ სჯერა. მსგავსი მასშტაბი კი თითოეული ისტორიის უჩვეულო სევდასა და სიმსუბუქეში იკითხება.

* * *

2008 წლისთვის ანას თარგმნილი "საყვარლები" გამოიცა. წლების შემდეგ იელინეკის ამ საზოგადოებრივ ინტერვიუზე ბახმანის "მალინა" მოჰყვა. ეს ორი რომანი სავსეა მდაბიო ქალებით, რომლებსაც მდაბიო ადამიანები უყვარდებოდათ, უსასრულოდ ათევენ ღამეებს ტელეფონის ზარის მოლოდინსა და უადრესათო წერილების წერაში; რომლებიც საკუთარ არსებობის მიღმა დარჩენილან და სასონარკვეთილი ცდილობენ, როგორმე არსებობის შეგრძნება კვლავ დაიბრუნონ - ამ ქალებიდან თითქმის ყველა იბოჯა საკუთარი ადგილი ანას ტექსტებს შორის, თითქოს სათითაოდ ყველა მთავარ საკუთარ შესაფერის პერსონაჟს, ვის აჩრდილადაც გარდაიქმნება და შიგადაშიგ ამოყოფს ხოლმე ამბები თავს.

ის უსახელო, არსებობაწარმეული ქალი, რომელიც სასონარკვეთილი ცდილობს, დაუდევრად არ მოიქცეს, სახით ქურაზე არ დაცეს და კინაღამ არ დაიწვას, მასთან ერთად კი თავად ინტერვიუ ბახმანის, რომელიც თავის საწოლში მონჯავს, საბოლოოდ, ფერფლად აქცია - ეს ორი ქალი არაფერია, თუ არა მძებნი რინას აჩრდილი; რინას, რომელიც ლოგინზე დაგორებული ენსოდა, მისი შიშველი მკერდი კი სივარეტის ფერფლად სულ ამოენჯა ("წვიმ").

ცეცხლი, როგორც ანა წერს, ყველაფერს წმენდს - რისხლისკი სახლში ჩასახლებული ავბორცი ბუბუკები და ოჯოჯოლებიც ხომ სწორედ ავიზიზებულმა ცეცხლმა შთანთქა. სხეულს რაც შეეხება მისი წვით გამოწვეული ტკივილი, ერთგვარად, თავისუფლების ძიებაა. "ვისურვებდი, თავისუფალი იყო, უსაშველოდ თავისუფალი. თავისუფალი, როგორც მკვდრადშობილი" (ემილ ზოლანი, "ქვეყნად მოვლენის უსამომენებაზე"). ანას თითოეული ქალიც, ბახმანისა და იელინეკის პერსონაჟებისა არ იყოს, უსაშველო თავისუფლებისკენ სწრაფვის მანკიერ წრეში ებმებიან. თუმცა კი ანას გმირები ამ ჩაკეტილობის მარნუხებისგან თავის დაღწევას ახერხებენ, ზოგი გვერდით მოლოთარე კაცს სექსის მერე ლოგინის ქვეშ დამალული ქვით უჩრჩქავს თავს, ზოგი ბროლენიანი ქვევით გატენილ ზურგჩანთას მიათრევს იმ იმედით, რომ მდინარის ზედაპირზე არ ამოტივტივდება და ზოგიც საბანში გახვეული ელის, შიშვილი როდის მოკლავს, კაცი როდის გაუგებდება ან თვითონ როდის ამოყოფს თავს საეყიეთში.

ნათია როსტიაშვილი

ერთხელ კლინიკაში...

მედმინვენით ნამდვილი ამბავი



ამბავი გააფებელი ფეხისა

ფეხმძიმედ ვარ. ფეხმძიმედ - კი, ორსულად - არა. ეგრეა. ფეხში მაქვს სიმძიმის შეგრძნება. ტკივილისა. ტკივილის - უფრო. ფეხს კიდევ უფრო ამძიმებს, ხოლო ტკივილს - ამსუბუქებს თბილი წინდა ტერფზე (ავგისტროში), დედაჩემის ნაქსოვი შალი-წვივზე არცთუ ნატიფად შემოგრაგნილი და კოჭზე კიდევ - ჩემი შვილის პლუმის დათუნია ბუბუს კაშნი - ბაფთად გამონასკეული.

ვნეგარ ეგრე აჯაჯულ-დაჯაჯული და მკენესავი. ფეხსბუქის პროფილის ფოტოზე კიდე, წითელ-პომადიანი გახლავართ და ანცად ვიციკრები დატუშული ნაწამებებიდან. ვილაც უცნობი რალაც უცნაურს მწერს : "ძალიან ლამაზი სახე გაქვთ, ელეგანტური მანდილოსანი ბრძანდებით".

"შენ ფეხი უნდა ნახო!" - ლამაზთან ერთად თამამიც ვიყო - მიგნერდი და ზეიდანაც, ამ ჩემი მეორადების დახლივით "ელეგანტურად" აჩონჩხილი ფეხის ფოტოს (კოვხსაც-ნაცარში) ჩავუგდებდი. ისედაც ყელამდე ტყუილში ვცხოვრობთ, ჯეკ და ჩემიც რალატომ დაემატოს? მაგრამ მანდილოსანს არ შემეგნის ასე უცებ ჩამოაპერტყოს მინაზე უცხო, გულუბრყვილო და, რაც მთავარია, უდანაშაულო

ადამიანი. საერთოდაც, მანდილოსანს მანდილი თავზე შეგნის. თეძოდან ვისსნი და ატკიებულ შუბლზე ვიკრავ.

ჩემმა ქრონიკულმა ნუნუნმა, რომ ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს, რომ სიახლე მსურს და მწადიან, ნაყოფი გამოიღო. სამი კვირაა, ახალი ცხოვრებით ვცხოვრობ, ახალი რუტინა მაქვს: დღისით ნემსებს ვირჭობ, ღამე ნაირ-ნაირ მალამოებს ვიზელ ამ ჩემს გააფებულ ფეხზე და ვერაფერი, ისევ იკბინება. დროდადრო გამაყუჩებელ აბებსაც ვსვამ, დროის გასაყვანად, მრავალფეროვნებისთვის. ოღონდ, ვსვამ არა ვილაც უნუგევი ბენავივით სანყლად, არამედ - გაზულუქებული, თვითმარქვია ღმერთივით ამაყად, ძველ ფილმებში ნანახი ბოსსების მანერულობით. იმეებზე ვამბობ, ხვეერდის სარჩულიან ყუთს, ბექდიანი თითით, საკეტს რომ უტკაცუნებენ და იქიდან გაურკვეველი წარმოშავლობის ოთხკუთხა (ჩემი, ვაგლახ, მრგვალია) აბს შენელებული მოძრაობით დააპრობენ...

ჰოდა, ამაყად შევიგდებ ხოლმე ამ ჩემს ბანალურად მრგვალ აბს ყბაში (ყბა მაინც მქონოდა ოთხკუთხა!), შზერა მაქვს უძრავი, ჰორიზონტზე ჩარჭობილი, ხოლო ყბას მრავამნიშნელოვნად და დაგემოვნებით ვქაჩავ მარჯვენა მხარეს (მარცხნივ

არ გამომდის, რატომღაც). ეგრე ყბამოქცეული ვირინდები. მერე ცრუ ბროლის ჭიქიდან წყლის მოზრდილ ყლუბს ვაყოლებ და თვალებს მომენტალურად ვხუჭავ. როგორც კი - ეგრევე. თან ვცდილობ, მეტი ფეხტისთვის "გამაჟრილოს" და "გამაბარძვალოს." მოკლედ, მთელი შოუა, მაგრამ რად გინდა? არ მშველის.

სხვა გზა არაა, გავიკითხ-გამოვიკითხე კარგი ექიმი და მივედი. ერთადერთი რამის მუშინია, ტომოგრაფიის მიღში არ მიკრას თავი. პირველად, ათი წლის წინ, შემთხვევით მოვხვდი ერთ პირტიტველა ყმაწვილ ექიმთან და იმან გამგზავნა ტომოგრაფიაზე. "ამან რა უნდა იცოდეს? პირზე რძე არ შეშრობია!" ვთქვი და არ ნავედი. ვთქვი და ამ ფრაზაში ჩემი ფეხივით შეფეფეთე წამდვილი მიზეზი - შიში დახურულ, ვინრო, უკარ-ფანჯრო მილში თავის ღურთნისა.

მივედი და სად გამგზავნა ამ ჩემმა გავიკითხულ-გამოკითხულმა ექიმმა? ჯანდაბაში? წნუ. ნეტა მანდ გავგზავნენ და არა იქ, რისი სახელიც არ იქმის. რომელიც ტ-ზე იწყება (საბუნდეროდ ი-ზე არ მთავრდება) და ომოგრაფიაზე მთავრდება.

დილით განვიძარცვე ფეხი ჩემი ყოველივე შალეულისგან, მატყლისგან, "ნასკისგან" და მხოლოდ ჯინსით დავფარე. ნაწვლახუნდი ტომოგრაფიაზე, რამეთუ არავითარი სხვა ხეურხემალი, ამაზე მეტი, არ გამაჩნია (მაგის ოინები ყოფილა საბრალო ფეხის ესოდენი დაძაბუნება), უნდა მივხედო. ხოლო მიხედვისთვის, ტ-ით რომ იწყება და ომოგრაფიაზე მთავრდება, მაგის გარდა არავითარი სხვა გზა, სხვა სხნა არ გამაჩნია - თურმე.

ჰს. ამ ექიმისგან სხვა ექიმთან წასაღებ ფურცელზე, გამოკვეთილად წერია სამი (სხვა) ასო: მრტ. ცრომნიც, თურმე, მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიად იმიფრება, რატომღაც და არა ამაღ: მიხედვით როსტიაშვილის ტკივილს!

თეთრი მილია თეთრ მილთან თრთის

ტომოგრაფიის ოთახი იყო უცაბედი, როგორიცაა სიტყვა "მორჩა!" თეთრი მილი, თეთრი გვირაბი, იქვე - თეთრი მაღალი ქალი თეთრ, გრძელ ხალათში. თეთრ ფერ-ხორციანი ქალი უფერული, მილეული სახელით - მილია. ცისფერთვალა, წელში გამართული. მე თუ მკითხავ, საბრალო ჩემნარი, მოკაკეული პაციენტების დაცინვაა ასეთ ადგილას ასეთი წელგამართული ქალის მუშაობა. ცოტა მოიხარე, დალოცვილო, ცოტა ნუგემ მყავ, ცოტა თავი გამიტოლე. მეც განა სულ ასეთი მოკაკეული ვიყავ? ქრო იყო, პოდიოშზე ვიდექ. ახლა რომ ამოგ-ცევი ქრომოდან, ეგრე ამომცქერილიდნ დარბაზიდან სხვები და აპა! ცხოვრება კიბეა, კროშკა, მოიხარე, თორემ "არც შენ შეგარჩება, მეფეო!"

ამეგბს, რა თქმა უნდა, მხოლოდ გულში გამბობ და ისე კი უტყვი ვარ, ვითარცა თევზი. თევზი სევდიანი და ხმელეთზე ამოვადებული. ეგაა, პირს არ ვაღებ უშნეოდ, რამეთუ კრიჭა ჩემი არს შეკრულ.

- დახეკით. - ქალი მემუზნება, გაგიკვირდებათ და - სრულიად უდარდელად.

ვითომც არაფერი! თითქოს "საგარძელზე ჩამოჯექით, დაისვენეთ" ეთქვას. მშვიდად ემზადება, რომ ამ ჯოჯოხეთური ხმების გამომშუშავებულ გვირაბში, ღილაკზე თითის ერთი დაჭერით შემაგდოს და ნაივდეს, კოფე დალოს არჩენიან, მაგრამ წურას უკაცრავად, არც მე ვარ ჯაბანი!

- არა! - ვთქვი. უფრო კი - გამოცეკრი შეკრულ კრიტის ღრქავდა - ჯერ მზად არა ვარ!

კვლავ დადევშიდა და დავინყვი თავის დამშვიდება. დუმილი ხომ ოქროა, მაგრამ ბევრი ოქროც გბეზრდება, თურმე ადამიანს, ჩურჩულზე გადავედი. მერე ხმას უნებურად ავუწიე და ბოლოს, აზარტში შესულმა, დაცხქექე:

- შენ ახლა აქ მსხვალ, ნათი და იქიდან გამომხვალ ძლიერი! მე შენი მჯერა!

ქალს ის თავის ვაშტორკინებული ხერხემალი ეგრევე მოემჩვარა, ცოტა ოფლმაც დაასხა საყვარლად, კურნოსა ცხვირზე და ლამის ის თავის ლამაზი ცისფერი ფერიც გასცივივს თვალმიდან. შიში ოხერია. მაგისიც და ჩემიც. მაგრამ მე მეტი რაღა უნდა დამემართოს? ცისფერი თვალეები ისედაც არ მქონდა, გაჯგვიმილი ვერც აქამდე ვიყავ და ცხვირიც, აუზრუნავი მომეცა ზარმაცი განცებისგან და, თანაც, ბოროტული ხელგაშლილობით - არამოკლუ.

ბოლოს, შემეცოდა ის ლამაზად დაფეთებული ქალი. მე დააშავა ამანაც... დავნეკი მორჩილად, ხელეები გულზე დავიკრიფე (ეგრევე ჩამომხვინა, არ ვემეტები სამაგისოდ, ოხერს) და ნავედი იქით, მერე მეგონა შეცდით, მაგრამ თურმე რომ არ შემცდარხართ - ჯანდაბაში.

ჯოჯოხეთის საკონცერტო მილში თავის ღურთნის ამბავი

დააჭირა მილიამ თავის გრძელი თითი მილის მრგვალ ღილაკს. შევდივარ თავით მილის ვინრო ხახში თვალგზაფართობული. ვანა უტყებ, ერთ ლუკმად შევაღებდენ ეს მწვალბლები? არა! ნეულა, დაგემოვნებით მივეცურავ სიღრმისკენ და გზაში ყველა რჩევის გასხენება ვასწრებ, რაც რომ ახლობლებმა ჩემს დასამძებლად გამოიმეტეს:

1. წარმოიდგინე, რომ დისკოთეკაზე ხარ და ეგ ხმები მუსიკებია.
2. 45 წუთი უტყე გაიფრენს.
3. შანსი არაა, რო შიგ მოკვედი!

შევიფარ თეთრ გვირაბში და ვფიქრობ, ღმერთო, ისეც ვეელი დრო დააბრუნე, ძველი რუტინა, ტკივილმდელი მონყენილობა, ვფიცავ, აღარ ვინუნუნებ.

ღმერთი სიტყვაზე და ფიცი-მტკიცზე არ მენდობა, ძველ დროს არ აბრუნებს. შევიფარ მილში და ვირინდები. იწყებს ეს მისნების მუსქანა თავის საქმეს - ღრიალს. უცხოდ ახრიალებულ ხმებს ტენის და ტენის ამ ისედაც ვინრო ალაგას. ზუსტად ვიცი, ნებისმიერ ტომოგრაფიაგამოვიღოს, რომელიც ჯოჯოხეთში (ასი წლის მერეო, კი დავაყოლებდი, მაგრამ დიდი ვერაფერი ნუგებია), კონცერტზე ხვდება, დუფაუო აქვს და ვერ კი ოხენენებს, საიდან. ამასობაში, სანუგეშოდ მომარაგებული რჩევის ბის ჩემს სამეულს ხელი ეცარება:

1. "დისკოთეკა" სულაც არ ჰგავს 90-იანებში, ჩატექსილი ელემენტებით დაძუბულ მაგნიტოფონში ჩართულ, მანიკურით გადაბმულ და ფანქრით გადახვეული კასეტის ტიპილ "ისთ სევენთის" და "ლასკივი მაის".

2. 45 წუთი უფროთ გამოდგა და არათუ ვერ ფრენს, მუცელზე ძლივს ხობავს, ზანტი რამ ქვეწარმავალივით.

3. ხოლო მესამე, ნაბოლარა რჩევა: "შანსი არაა, რო შიგ მოკვდე!" შიგ კაკალ გულში მიზის და იმის ხავსს მთელი ძალით ვებლაუჭები. განა არსიკედლის გარანტია (თუნდაც ამ მიმდინარე ვინოო პოეზიით) ყველაზე უზენაესი რამე არაა, ოხერი? ჰოდა, მორჩა, მშვიდად ვარ. აპა, თითქოსდა ყველაზე არაკორექტული დამშვიდება, ყველაზე მუშა გამოდგა. აქედან შეგონება: ნურც ვარეგნობით იმსჯელებ ადამიანზე და ნურც, ისა, რა კვია... როგორცაა.

განაჩენი (ან - გადარჩენა)

ხალხური ზეპირსიტყვიერებასავით ამბავი და-მემართა (რიტმი, რითმა, კონვენცია არ მომთხო-მეთ, აქა. ერთი საბრალო, თიქარიანი ქალი ვარ): ხერხემალმა მომცა ფეხის ტკივილი, ტკივილმა მო-მიყვანა ექიმთან, ექიმმა გამიშვა მილიასთან, მილი-ამ შემომცა მილში, მილმა მომცა პასუხი, პასუხი მი-ვიტანე ექიმთან. თხას ვენახი არ შეუჭამია.

გავუნოდე ექიმს შავ-გამჭვირვალე, რენდგენუ-ლი "ფოტო" სახედ და ხატად ხერხემლის ჩემისა. ექიმმა, უნაო, ისაო, შენი დიდი ხათრი მააქვსო, მაგ-რამ სასწრაფოდ, ოპერაციაო! თიქარი გაზის ხერ-ხემალზე აი ამსი-განე, აი ამსი-მალლეო. მერე კი-დედ ვილაპარაკეთ, ძალიან მეცნობარა, ჩავეცი და ვინ გამოდგა? დიას, სწორედ ის "პირტიტველა ექი-მი", რომელსაც ვართობის მოყვარული ბედისწე-რის წყალობით, ათი წლის დაგვიანებით მივუტანე შეპირებული ტომოგრაფია (ეს ამბავი ზედმიწევ-ნით ნამდვილი რომ არ იყოს, ასეუ დამთხვევის არაფრის დიდებით არ გამოვიგონებდი, რომ ბრა-ზილიური სერიალის ხორმასკ არ დაებერა ამ იდეა-ლური კლიმატის მქონე ტექსტივინ).

- უიი! - ვუუბნები, - თქვენთან ვიყავი ადრე და რალაცნაირად, პატარა ბიჭი იყავით, ნდობით ვერ გავეხეყე.

იმის განსაზღვრა, ხად "თქმა სჯობს" და ხად "დაშავების", ჩემი ძლიერი მხარე არაა, მაგრამ მა-ინც ყოჩად, შემძლო "პირტიტველა" მეთქვა, მაგ-რამ არ ვიკადრე.

პირველი შთაბეჭდილება ოხერია და ოპერაცი-ის გაკეთება მაინც სხვა ექიმთან გადავწყვიტი, ამა-ზე უფროსთან, დარბაისკლთან.

ოპერაციის წინ ვერაფერზე ვფიქრობდი, ვარ-და ამისა: "ნათია თიქარიანი" უსვედონიმად ივარ-გებს? ჰა, როგორია? ნა-თია თიქარიანი. ასოები რომ გადავათავილოთ - ეტეც მაგარი გამოდის, აპა, ნახე: ნათია თიქარიანი. კიდევ შეიძლება რამის მოფიქრება, მაგრამ ნარკოზმა შემანყვეტინა.

სულ მაინტერესებდა, მართალი იყო თუ არა, თითქოს ნარკოზიდან გამოსვლისას "სადაც სხვა-გან იყენებ" და "რამეებს ხედავენენ".

ჰოდა, აპა, გამოვიდვარ სააქაოს და დახუჭული თვალეზის შიგნიდან ვხედავ: ზამთრის მთებია, მთებ-ზე - დათოვლილი ნაძვები (რეალობაში ზაფხულის მინურული გვაქვს), მიფერინავ ამათ ზემოთ, ისე მსუბუქად და კობტად, მოხდენილად, თითქოს ის არ ვიყო, ვინც ბოლო დროს სწორ მიზნზეც ძლივს დადის. მიფერინავ ვერე გემრეულად და უტეც კადრს ხმა ედება, ხვერდოვანი ბარიტონი ამბობს ფრა-ზას იმ მაგარი სერიალიდან: "Winter is coming!" ეგ იყო და ეგ, "ვიხედები და მოვიდვარ!" შო, მოვი-დვარზე - ბოდიში, ვერც ვინძრევი, ხოლო ვიხედები-ზე - მადლობა უფალ ანესთეზიოლოგს!

ამბავი ექნის ტყავში გახვეული მრისხანე დედოფლისა

რაც რომ ამის შემდეგ პალატაში მოხდა, იმის მსუბუქად მოყოლა, მეც კი - მხიარული ამბების შავ ხუმრობად შექცევს, ხოლო შავი ამბების იუმორით მოყოლის მსურველს და, იმედია, - შემძლესაც, - ვინძლო გამიჭირდეს.

ამ კლინიკაში ზრუნვის არითმეტიკა მარტივი ჰქონდათ და დამამიდედებელი: ერთ მოფაფაღლე-ბულ პაციენტზე, ორი სად-სალაშინი ექთანს ჰყავ-დათ მიმაგრებული. ჩემს წილ ორში ერთს, რომე-ლიც შინაგანი დედოფლური ცხვირანულობით, თვალს ერთნაირად არიდებდა თვალს პაციენტსა და ღამის ქოთანს, იგივე ორივეს სუდნოს, თავის მოვა-ლეობად ესდა გაესადა: უსიტყვოდ, მაგრამ ხელის მეტყველი მოძრაობით ანიშნავდა თანადგობობი-ვად მის ტლო-სწორ, ხოლო ასაკით (საყარულოდ, გამოცდილებითაც) უმცროს მენყვილეს: "აბა, აილი! ნავიდა!" ის მეორეც, ვგრევე, ვგრე ხმის ამოუღებ-ლად ასრულებდა ყველა ბრძანებას. ჰიტერ პენის წივივებზე ამოკესილი ჩრდილივით გვერდიდან არ სცილდებოდა და თან ორი კაცის საქმეს მარტო აკე-თებდა, დაუყვედრებლად.

ექთნის ტყავში გახვეული მრისხანე დედოფალს, მთელი დღის განმავლობაში, სულ ორიოდეჯერ მოე-კარი თვალი. დღის ნათელს ჩემი ჩამქრალი თვალე-ზის ცქერით რატომ ვაღავევდა, მაგისიც მესმის... ძი-ლის წინ კი, როგორცა, პატივი დამდო, შემომიბა-რა, ზემოდან გადმოხვდა მწოლარეს და მეჩაგვს. ხოლო მე, როგორც ფხეთა მტვერმა მისმა, ამოე-კნავლე მშვიდე ღამის სურვილი, მაღლობა, ბოდი-ში, კომპლიმენტი ვარცხნილობაზე და წაკვსავა-ლეკვის მადლიერი მზერაც ვაგაყოლო კარისკენ მი-მავალს. კარიც ვგრე, დედოფლურად მრისხანედ გა-იჯახუნა, ხოლო მანამდე, პალატაში შუქის ჩაქრო-ბა მოინადინა (ეკონომიურია, ოხერი) და შეველა-დე, ნუ იზამთ, ჩემო ხელმწიფე-მეთქი! სიკეთეს ვერ დავეუკარგავ - დამინდო უკუნში ჩანთქისგან.

გავიდა ხანი. უფრო კი - გამოსდა. დამჭირდა ექთნის დახმარება. ისე ძალიან დამჭირდა, რომ უჰ! ვრეკავ ზარს ხუთწუთიანი შუალედით, მერე, სამ-წუთიანით, ორინათ... ბოლოს - ჩემი პულსოვით აჩ-ქარებულად, თითქმის უპასუზოდ (დღისით მეორე ექთანს შევამონებინე და კი, ნამდვილად მუშაობ-და). შენც არ მომიკვდე! ვფიქრობ, ნათიავემო, ჩემ-თავო, დამშვიდე. შეიძლება ამ ექთნის ტყავში გახ-

ვეულმა არ იკადროს, მაგრამ განა სამგლეთი დაიქცა?! ვილაც სხვა მაინც შემოვა.

არც ვილაც სხვა შემოვიდა.

დავინყე ყვირილი ხმის ჩახლქვამდე:

- უუკაცრეააააააა!... არის აქ ვინმე? უუკაცრეაააააა!.. დახმარება მჭირ... - და ჩამეხლიჩა კიდეც.

არც ვინმე შემოვიდა.

ორსათნახევრიანი განწირული ყვირილის, თავთან მიმაგრებული ზარის რეკვის, თავ ზარის, წყლის ბოთლის კარისთვის დამიზნების და აცდენის შემდეგ მეგობარს დავურეკე. მეგობარმა დანნა თოკი, ბანარი და კლინიკის ნაცნობ მენეჯერს გადაურეკა, უშველ ჩემს ძმობილ ნათიასო. გაიბა უხილავი სატელეფონო ჯაჭვი: მე - მეგობარმა, მეგობარმა - მენეჯერმა, მენეჯერმა - მტრვალ დედოფალს დაურეკა. მან კი, ბოლომ, უფრო კი - უკანასკნელმა, დედოფლური ზღაზვნით ასნია საბატიო ნაწილი ტანისა თვისისა, რომელიც რომ ტ-თი იწყება და ი-ზე მთავრდება, პალატის კარს "სიმ-სიმ, გაიღე!" უბრძანა და დამადგა თავზე მრისხანედ. ხოლო მე უკვე აღარ ვიყავ ნკაენკავა ლეკვი, არამედ პანიკაში ჩავარდნილი, აკანკალებული რომელიმე მითურ არსება, ვთქვით, სანოლს მიჯაჭვული ნათიარინი.

ჩემი აღზრდისა რა ვთქვი! განა ვჩუხუბობ და ვლანძღავ? განა "შეხვდეთ და შეუუკურთხეთ გამჩენინ?" მხოლოდ ვდარდობ და თვალებს ცრემლით ვიოსლებ.

- დამაინურად, იმის გაგებაც შემიძლია, რომ ვთქვით, ჩაგეძინათ, - ვეუბნები, - მაგრამ წარმოდგენაც არ მინდა, ჩემს ადგილას ცოტა უფრო მძიმე პაციენტი რომ ყოფილიყო, რა დღე დაადგებოდა. აქ რომ პაციენტს პერსონალის უყურადღებობის გამო რამე მოუვიდეს, თქვენ ხართ პასუხისმგებელი, ხომ ასეა? ზუსტად ორსათ-ნახევარი, ზარს ვრეკავ, ვყვირი... ფიზიკურადაც ცუდად ვიყავი, ჩაეკრტილი სთერცის ფობიაც გამიჩნდა და შიშიც, რომ ახლა გული რომ გამისკდეს, მშველელი არავინაა. ასე, უბრალოდ, არ შეიძლება...

ხოლო მან სთქვა არა "აჰ, ძალიან ვწუხვარ", არამედ:

- და რა მოხდა მერე?!

- ცუდად ვიყავი, დახმარება მჭირდებოდა, ახალნაოპერაციები ვარ, ადგომა არ შემიძლია, ორსათ-ნახევარი ზარს ვრეკავ, ვყვირი და რეაქცია - ნული!

საკუთარი ხმას ვეღარ ვაკონტროლებ, ინევს და ინევს ზემოთ, რამისაა, ამ დაბალი ექთნის აშხვართულ თვითშეფასებას დაენიოს სიმაღლეში.

ნამით სიჩუმი. ვუყურებთ ერთმანეთს, მე - ტირილისგან ილაჯანყეტილი, ის - დედოფლურ შუბლზე გამრვანყეტილი. ველოდები, რომ ახლა მაინც იტყვის: "წუხვარ, რომ ასე მოხდა", ხოლო ის ამბობს:

- არანაირი ორსათ-ნახევარი არ გასულა!

- რა- ა?! - ჩემი ხმა იმოდენა სიმაღლიდან ძირს ეპერტყება და დანარცხებულზე ხრიალი უფრო ეთქმის, ვიდრე ხმა.

ხელაკანკალებული ვიდე მობოლურს, ვაჩვენებ

ფაქტს, ამ ამბის მეგობრისთვის მინერისას მესხეჯერი დაფიქსირებულ დროს და ამასობაში იმ მეორემ, ამ დედოფლის მორჩილმა ერთკაციაანმა ნაზირ-ვეზირმა მორიდებით შეიძვადრა:

- კარი როგორ გამოიხსურე, გოგო, არ შეიძლება ეგრე, არანაშულია!..

- აკანაირი კარი არ მიმიხურავს!

- რა-ა?! შუქსაც აქრობდით, მე რომ არ მეტოხვა დატოვება! - ისე ეკანკალებს, სიტყვები, თქმამდე, შუაში მიწყდება და ენის წვერით, ფაზლივით ვაკონინებ.

ხოლო მან, შილაქიანი თითების მეკეთრი მოძრაობით, ის ჩემგან შექცეული ვარცხნილობა შეისწორა, ნიკაპი სადამდეც შეეძლო, ზემოთ აქაჩა და თქვა:

- არანაირი შუქს არ ვაქრობდი!

გასრულდა ესე ამბავი...

ღამე, ჭეშმარიტად, "იყო უფრო გრძელი ნუთისოფელზე" და იმით გასრულდა, რომ ამან ისევე უსიტყვოდ, მაგრამ მეტყველი ხელის აქნევით ანიშნა რაღაც, იმან კიდე, საიდნლაც მსწრაფლ მოაცუნცულა შპრიცად და ამშულად მოჯადოებული ხელეჩო და ნალდგა. დამკრა იქ, სადაც ჯერ არს და ჩაძინებამდე ვფიქრობ არა იმაზე, რომ რა კარგია, ხელხმალზე ნაბარტყი თიაქარი ნამასხივს, მოვიგორე! ან იმაზე, რომ აი, დადგა ის ცნობილი ნამი, ნათიარჩემო, როცა საკუთარი თავი ყველამ კოსტად და მშვენივრად ვიცით, არამედ ამას:

აფსუს, ფსევდონიმად "ნათია თიაქრიანი" უკვე აღარ შემეფერება, არადა ამ ორი სიტყვიდან პირველის ბოლო და მეორის თავი რა შეხმატკბილებულად წყვილდებოდა, ამ ორი ექთანეით.

თორიქიანობა კი არათუ შემეფერება, დამხატვად კიდეც ამხელა ომის გადატანის შემდეგ, მაგრამ აქაც კვლავ - აფსუს!

ერთი დღე-ღამეც არ გასულა, რაც ამ კლინიკაში ვარ, ჩემივე ნებით და უკვე მეორედ მივდივარ ძალად ძილში. ოღონდ, ზუსტად ვიცი, ამჯერად იქიდან ის ხავერდ-ფარჩა-ატლასის ბარიტონი აღარ გამოიმსახვს თავის: **Winter is coming!** -ით. მაგ ფრზით ხომ სანეფენ კარის შეუბრალებელი თამაშები იწყება (ნუთუ გულგაყინულ ექთანთან გარდაუვალი ომის მინიშნება იყო, ზევსო მალალო და ძეო მისილია?!), ხოლო მე, ჩემი ნილი ბრძოლა უკვე მოხდა არა მასქ. ჩემი ნილი ლანცეტე ზურგზე - გასმულია, ჩემი ნერვების ჯარი - დ(გ)ანყეტილი და ფანჯრიდან მონაბერ ნიაფ თეთრი დრომასავით ფრიალებს ჩემი ზუნრის კალთა.

დანებეული მიყვები ძილს (ოღონდაც ამ პალატის რეალობიდან სადმე გამაღწევინა!), ყურში ექთნის ნათქვამი სიტყვების და ტომოგრაფიის მიღებით მოსწონილი ხმაურის ექო ჩამესმის ნანყეტიანყეტი. ვეღარც ვარჩევ, რომელი რომელია. ერთმანეთშია გადახელოლ-გამომხმარი, უგემოვნო მელოდიის უგემოლო ხმიადებვიით. დახუჭული ქუთუთოს ქვეშ გაქცეული ტიტრებიდან კიდე - ამის ამოკითხვასლა ვასრნებ გათიშვამდე:

თრექი: ნათია უთრიაქო-უთიაქროსი.

დიმა ბახუტაშვილი




ორი სული მაქვს, ორთავე
 შენთვის მაქვს, შენთვის მიმღერს,
 ორ ერთმანეთთან მოდავე
 გულს მიხრავს შენი სიღრმე.
 ორი სახე მაქვს, ორსავე
 ერთი შუქი წვავს მიწყვი.
 მოთამაშე და მოზარე
 მოფიქრალი და ფიცხი,
 ღვარძლიანი და დამთმობი,
 რქით გამტანი და ბავშვი -
 შენი საყურით მითბება
 შენი ყაბაჩა-თავშლით.
 ორი სული მაქვს, არც ერთი,
 აღარ მეცნობა ხშირად,
 მაინც ყველაფერს გავცემდი,
 შენთვის რომ მომესმინა,
 სულდაკარგული ნისლიდან,
 უტყვი რომ ვარ და ცივი,
 მხოლოდ შენა ხარ ვინც მინდა,
 ვისკენაც იმდენს ვივლი,
 გავლევ სამშობლოს ნახანძრალს,
 ათას ზღუდეს და ჯვებრს,
 ყინულის ლოდებს გადავძრავ,
 ორივე ჩაგეკვრები.
 მინა რომ მომინარიკლებს,
 როცა დავცხრები ბოლოს,
 მინდა ორივე გაგიქრე,
 სული არ ჩამაყოლო.



მაგარი ბიჭია მამაჩემი
 ქვის კაცია
 სიცოცხლეში წარბი არ შეუხრია
 ცისთვის არ აუხედავს
 მამაჩემი მამაჩემის ქანდაკებაა.
 შემოპკრა ცხოვრებამ სიღარიბე
 ვერაფერი აატკეჭა
 შემოპკრა ბედმა 19 წლისას ოჯახის თავობა
 ვერაფერი დააკლო
 შემოპკრა სამშობლომ მძიმე სამუშაო
 ვერც შეატოკა
 შემოპკრა სიმსივნემ ცოლის სიკვდილი
 ვერც შეაზანზარა
 შემოპკრა ძმამ ლალატი
 მხოლოდ მტვერი ჩაბოყარა,
 შემოპკრა დრომ სიბერე და სისუსტე
 ვერაფერი მოაფხვნა.
 ისევ ისე დგას, ისევ ისე იყურება, -
 ვერ ვამტეხავთ, ვერა, მაგარი ბიჭი ვარო.
 მეც მაგისი გენისა ვარ,
 არცა მტკივა, არცა მცივა, არც მეშინია
 მამაჩემის ქანდაკების დასაფლავების.

თავის უცნაური ბინიდან
 თავის უცნაური ამბით,
 რომელ სამოთხემდე მივიდეს,
 რა ლმერთს მიუტანოს დარდი,
 თავის მოგონილი ღლინი,
 თავის მორღვეული რიტმი,
 რომელი მიწვერიდან მიღიმის,
 ჩემს რომელ ნაბიჯებს ითვლის.
 სული სივრცესავით ბნელია,
 უმწეოდ აცქერის სივრცეს.
 რომელ ვარსკვლავებზე მღეროინ,
 რომელ პლანეტებზე იქცნენ.
 ვთამაშობ გარდასვლის იმედებს,
 ვთამაშობ დათმენის სურვილს,
 მინისტვის რომელი მიმეტებს,
 რომელმა შთამბერა სული,
 გამოდი სამყაროს ლოგიკავ
 სასტიკი ბაუშვივით მვენე,
 თორემ შენს თოჯინებს მოგიკლავ,
 შენს ფერად კომპოტებს დავლევ,
 გამოდი სიბნელის არსიდან
 ვინც უსრულ ამბებსაც იცნობ,
 თორემ შენს კანფეტებს გავზიდავ,
 გემრიელი იყოს ვინძლო.
 ისეთი არარა მერგება
 ისეთი მწარეა ნისლი
 გამოდი, რა იცი ეგება,
 სიყვარულს რა ენით გიხსნი.
 მიყვები შორეულ მნათობებს,
 მოგვებს მივაგენი მხოლოდ,
 სახლი და სამშობლო დავტოვე
 სახელიც დავკარგე ბოლოს.
 ჩემს სულს უღურჯესი თვალი აქვს
 მაგრამ უშავესი უპე,
 ვინ მოდის, რამოაქვს, რამიაქვს,
 ვინ უცდის, არ სუფევს, სუფევს.

ენის ურემით გაგირბი,
 ენის ხომალდით გელტვი,
 ხარ უცხო ვინმე ღარიბი,
 არ გირევი ფეტვი.
 ენის წყალივით მოხდენილს
 ენის ბადავით გათრობ,
 ენის ცით გარდამოვხდები
 ენის თვალვით სანდო.
 ენის გულივით მძიმდება
 მინა, რომელსაც ეცსავ,
 ბგერა ჩიტვით ფრინდება,
 ხან - ჩიტზე უკეთესად.
 ენის ქარიშხლებს გარიდებ,
 ენის კოშკიდან გიხსნი,
 რომ ენის სულში ჩავიდნე
 ჩემი ნამდვილი სისხლით.
 შენს სიწმემეში ჩამღვარე,
 ამავესებინე სახლი,
 შენს მონკრიალეს საყვარელს,
 შენს მოგუგუნეს სახმოს.
 შენს ბაგებთან მამღერე,
 ენის ტკბილი და მწარე,
 ნუ დამილაგებ საღერდელს,
 წესრიგს ნუ დამაძალებ.
 ენის ქალაქში ვეთრევი,
 ენის ნაპრალს ვაგნებ,
 მიიღე ჩემი ბეთლემი,
 ჩემი რწმენა და საქმე.



ჩემი სამშობლო შენი გულია
 ჩემი სამშობლო შენი გულია
 შენი მოშავო სისხლი მწყურია
 მწყურია, შენი მოშავო სისხლი.
 შენი მთები და შენი ხევები
 შეირხევიან რომ შევეხები,
 რომ შემეხები, რომ გამოგისხნი.
 აი მე აქ ვარ, აქ ვარ და აქ ვარ,
 ამ ქარს უთხარი, უთხარი ავქარს,
 რომ დაეტიოს ამ გულის გარეთ,
 რომ დავაოკებ,
 ქაზეზე გავაკარავ
 და შენს ყვავილებს არ მოვაკარებ.
 ჩემი სამშობლო შენი გულია
 ჩემი სამშობლო შენი გულია
 რასაცა ნახვალ დაეკარგულია,
 სულ აქ იყავი.
 შენი თვალებით ჩემი ხელები
 შეირხევიან, რომ შევეხები,
 აშენდებიან სასახლები
 და გამიყავი.
 ჩემი სამშობლო შენი გულია,
 ჩემი სამშობლო შენი გულია
 მოტირალი და ყოვლის მხედვარი,
 ასი ვარსკვლავით შენიღბულია
 ასი მომავლით შენიღბულია,
 ჩემი მინაა შენი ცხედარი.

გვამისმჭამელი

ნისლის ქალაქში გავიზარდე, მახსოვს, არ მახსოვს,
 როგორი ჰქონდა კონტურები, გული, მოტივი,
 მერე იმ ნისლის ქალაქიდან გამომასახლეს,
 ცეცხლის ქალაქში ვეთრეოდი იდიოტივით.
 ჩემი ფანჯრიდან არასოდეს შეცვლილა ხედი,
 ფერი და რიტმი შეიცვალა, ფორმას მინებდა,
 თითქოს ქალაქი, მაგრამ აბა რას გავამხელდი,
 რომ ეჭვის თვალით ვუყურებდი მე ამ ცვლილებას.
 მარტოობაში გავიზარდე და როცა ცნობილ
 გვამებს გვამები მიათრევდნენ ბარიკადებთან,
 მე ვიციროდი და ვხდებოდი თანდათან სნობი,
 რომელიც ასეთ სიმაღლეებს არ იკადრებდა.
 მე გავიზარდე ირონიით, შიმშილით, უბნით,
 ხმაურით, ცუდი მომღერლების ყალბი ფალცეტით
 და საუბარი ვის გავუბი, ვის არ გავუბი,
 არავინ მახსოვს, არ მიყვარდა თითქმის არც ერთი.
 დიდი რომ გავხდი და ექიმი რომ გამოვედი,
 ჩემი თავი რომ შევიყვარე, მუშტი შეეკარი,
 თანგამიზრდილი სიძულვილი ცოტა განელდა,
 ცეცხლის და ნისლის ქალაქისკენ შევაედი კარი.

მო, "ჯვარსა შენსა" დამამღერე,
 სანამ მესმის და მეტირება,
 სანამ ჯერ სძინავთ ქალაქელებს,
 ფანჯრების მრავალნერტილებთან,
 მითხარი რამე წასვლამდელი
 ვოდვილური ორლესული,
 თოვლი მითხარი შარშანდელი,
 დედოფლური და პომპეზური,
 სიკვდილობანა მეთამაშე,
 მე განა მართლა ჩაგაკვდები,
 ასი შიმშილით ვერ დამამშვე,
 ათას ხევში ვარ ჩანადგები.
 მოგისმენ გულში ჩაყოლამდე,
 შენი ქარისგან ვიდრიკები,
 ჩემი დარდები ამოლამბე,
 გატყუპნე ჩემი ბილიკები.
 ლიმილი ჩვენი ცრემლებია,
 მიცქერ კოცნით და დაფინებით,
 ნითლდება, ისე ცხედლებიან
 შენი თვალების ნახშირები.



...
სალამი ჩემო იგივეგზავი, იგივეხალხო,
ჩემო ქალაქო, შებურულო განათებებით,
ვისი ნახვაც მსურს სამყაროში, იგი ვერ ვნახო,
თუ გატყუებდე, მიყვარს შენი ღამის მთევლები.
სალამი ჩემო ლუკმა-პურის მაძიებლებო,
ჩემო ბოროტო მეგობრებო, ჩემო მშვიერებო,
სისხლისმძებნელო კეთილებო, ჩემზე ბავშვებო,
ჩემზე უარეს სიძულელიში გამოზრდილებო.
გვამისმჭამელო მეზობლებო, მეც მიწილადეთ,
მე რით გადავრჩი, რა გგონიათ, განა ვინა ვარ,
მეც ყველა თქვენგანს ჩაველაპავდი და გავნირავდი,
თუ შემმატებდა ძალას შორი გზისკენ მიმავალს.
რა სიყვარული გვაკავშირებს, ჩვენი ფესვები
ღრმად ერთდებიან საქართველოს გამშრალ ფესვებთან,
მე თქვენ მიყვარხართ, არც ვიცინი, არც ვიგესლები,
მეც სისხლი მომდის, თვალები რომ სისხლით გვესებათ.
ბარეკადებზე როცა დგებით, ორივე მხარეს,
ყველა მტყუანი, ცრუ, ლაჩარი, ორპირი მიყვარს,
მეც მაპატიეთ, რომ ვერაფრით ვერ მოგეხმარეთ,
რომ ეს გზა გაწყდა, ეს გზა არსად აღარ მიგვიყვანს.
ქალაქი იწვის და ნისლია, ქალაქი იწვის,
ნუ ვყვირით, მოდი ჩუმად მოკვდეთ, ჩუმად დაგვემარხონ,
ყვირილი უფრო სირცხვილია, და ჩვენს ეს ვიცით,
არ გვეკადრება ჩვენ ყვირილი, თანაც სახალხოდ.
ჩემო დაღლილო მკვლელებო და ავაზაკებო,
გულგატეხილო მსხვერპლებო, ვინც ჰგავხართ მწამებლებს,
მე ქარი მარხევს, ტკივილისგან არ ვიკლავნები,
თქვენ არ იდარდოთ, სხვა ქალაქში ნაგვარძანებენ
სულით კეთილი და ფრთიანი ანგელოსები,
ნისლი და ცეცხლი გაიყოფა, რომ ჩაქაღლდებით,
მე თქვენ გპირდებით, ეს არ არის ფუჭი ოცნება,
ჩვენი ფერფლისგან აიგება ჩვენი სახლები.

...
მჭირდება ტონის შერბილება,
რომ ამ ბაგირზე გავიარო
თვალზე ბურუსი მეფინება,
საზარელი და საზიარო,
მომინევს სისხლის დამშვიდება,
აღელვებისგან გადაწურვა,
თორემ თუ ერთი გაშვიდდება -
დარდი - ზღვას ველარ გადავცურავ.
ქალაქი ჩემი ქალაქია
და აქვს ნათელი მხარეებიც,
მაგრამ არ მინდა ბარაქიან
ოდებს ვუთენო ღამეები.
სივრცეს სითეთრე ემატება,
ვბერდები, სხვებიც ბერდებიან,
ერთხელ მთავრდება შემართება,
მერე კი სულ სხვა გვერდებია.
დაუმრეტელი ცრემლი მომდის,
მცვივა ღვინო და ვენახები,
დღეს თქვენთან ყოფნას ვზეიმობდი,
სხვა ზეიმებზეც გვახლებით.



ღელა სამნიაშვილი

მარიუპოლი

გორილას მკერდზე მუშტების ცემა - ძველი გონგია,
 ძველი ტამტამი -
 დღესაც კაცები კვლავ საკუთარ დემაგოგიას
 გემოს ატანენ
 და დაეძებენ გამალეებით ღრმა რუპორებს,
 მაღალ ტრიბუნებს
 გრძელი სიტყვისთვის, ვიდრე მრევლი
 უფრო მქუხარე გონგისაკენ
 ზურგს არ იბრუნებს.
 დაზურეთ თქვენი მოედნები,
 საკონცერტო დარბაზები,
 მთელი პლეადა
 ვარსკვლავების და ჩინოსნების -
 კონცერტებს და ოლიმპიადებს
 რომ გვიმართავენ
 ომის გასწვით -
 განირვავა მათი თაობის -
 ვისაც ვუამბობთ გმირობაზე,
 თუმცა შუბლი უკვე მიადეს
 სასტიკ სამყაროს,
 სადაც ომი -
 პირდაპირი ეთერიდან
 შიშველი მოჩანს -
 ჩამონგრეული კორპუსების ძვლებს დაუთვლი -
 გიგანტურ ჩონჩხად
 მოეჩვენებათ ალბათ ბავშვებს ამაღამაც
 და კოშმარის ტრანსლაციიდან
 გამოიღვიძებს ზოგი,
 ზოგიც - ვერც სუნთქვას, ვერც
 ძვლებს ვერ მიიტანს
 სასაზღვრო პუნქტთან.
 ჩაუმუქდა
 დღეს თვალები.
 "ხვალ და ხვალ და ხვალ"
 სადმე გავაღწევთ ეს ცოცხლებიც
 მკვდრების მხარდამხარ.
 ცვივა ფანტელად ფერფლი
 პურის ვრცელი ყანების.
 ვერც მკვდრებს, ვერც ცოცხლებს
 ვერასოდეს შეგვიყვარებენ
 თუ ვინმე დარჩა მომავალში -
 თუკი ვინმე მაინც უპოვის
 ამ სარდაფს სადმე - გამოსავალს
 და დახვდება მარიუპოლი.



მარხვა

სულის ვის სჯერა მშვიდობის დროს?
 დღე და ღამე
 ჩართულია რუტინის ნრედად.
 ომის დროს სული ვის სჭირდება?
 ნამიერად ცემენ მხოლოდ ნაღმის გულები.
 ონკანებიდან წარღვნის წყლები გადმოდის, წვეთავს.
 ვყლურნავთ და გვესმის - კიდობანზე აკაკუნებენ -
 ვინც გარეთ დარჩა.
 კიდობანში ვერ ეტევა ჩვილი - სიკეთე.
 ჯოჯოხეთსა და სამოთხესაც მორღვევია ყველა საზღვარი.
 დაუმარხავი სირცხვილია
 და მხეცები დაძრწიან და სულებს იფლეთენ.
 დიდმარხვის დროა. მარხვის დროა. დროც აღარ არის.

ზაპოროჟიეს სადგური

თვალს ვერ ვუსწორებ კადრს -
 შვილიშვილის ძილს დარაჯობს მოხუცი კაცი -
 ჩამომჯდარა ზაპოროჟიეს სადგურში და
 ელოდება მატარებელს,
 რომელიც ალბათ ოდესმე მივა.
 არ ჩანს დედა, არც მამა, არც მოხუცი ქალი.
 მინდა იყვნენ სადმე, კადრს მიღმა,
 გასულები ჭიქა წყალზე, სანოვარაზე.
 ამ კადრში არ ჩანს ნანგრევები,
 არ გაისმის აფეთქების ხმა,
 ყველაფერი თითქოს რიგზეა,
 მაგრამ ღმერთო, კაცის თვალებში
 რანაირი ფიქრი მოჩანს - მიპყრობილი
 გაურკვეველი მომავლისაკენ -
 შვილიშვილით ხელში ამ წამს რომ მიაქანებს.
 მისი დამჭკნარი ხელები ჯერაც მტკიცე და სანდო
 ამ მომავალს როგორ არწევს,
 როგორ ცდილობს არ გააღვიძოს
 ბნელ სიმართლეში,
 რომ არ დაფრთხეს, გამოიზარდოს,
 დარჩეს ბავშვად, ადამიანად.


თვალს ვერ ვუსწორებ.
 მკვლელები კი თვალს არასოდეს ახამხამებენ,
 შედიან ყველა ქალაქში, კარში,
 ყველას ცხოვრება შეუძლიათ შეანგრიონ,
 დაცხრილიონ და დასახიჩრონ,
 ზურგჩანთებში ჩაჩურთონ რასაც მოახერხებენ,
 ჯოჯოხეთის ყველა შრეში გატომონ მარშით
 და გასწიონ საკუთარი ხუხულებისკენ.

მოხუცი კაცი - ასეთი მშვიდი და დაკარგული,
 მძინარე ჩვილით ხელში ელის მატარებელს,
 რომელიც ალბათ ოდესმე მივა.
 სად არის დედა, მამა, ან მისი მოხუცი ქალი?
 წყალზე გავიდნენ? სანოვარაზე?
 თუ არიან ცოცხლებს შორის,
 ვინც ბოლომდე დაიცავს ქალაქს,
 რომ მან შეძლოს შინ დაბრუნება?
 ან მკვდრებს შორის -
 საკუთარ მინას არასოდეს რომ არ ტოვებენ,
 თუნდაც ქვაზე ქვა აღარ დარჩეს.



ზღაპრის კითხვა

მთელი წარსული პომპეია -
 დროის ლავამ გადაუარა -
 სიმღერით ძველი ოპერიდან -
 გააღწევენ ძვლები თუ არა,
 თუ გააღწევენ - საით - ყველგან
 ჩაბნეულა ძვლების ღილები -
 სულ აღმა-დაღმა ჩაცვენილა -
 გვაფრთხილებდნენ ძმები გრიმები -
 კეთილ გმირებსაც აფრენიათ
 ურჩხულების შავი ბუზები
 სიკვდილისა და დამარცხების.
 ნაიკითხავ, აიბუზები -
 ძილის საზღვართან. ძილმა მაინც
 გახსნას კარი თავისუფლების -
 დედაქალაქით სიზმარეთის
 და ჩახჩახა ლამის უბნებით.
 მაგრამ იქითაც კომპარია -
 ვერც ტირი და ვერც ილიმები.
 ეს ყველაფერი შარი როა
 გვაფრთხილებდნენ ძმები გრიმები.



აპრილი

დრო მაინც იყოს საკმარისი -
 ის მოიძკა, რაც დათესე.
 დრო მაინც იყოს.
 მხოლოდ ქარია - რაც თესავს და იმკის
 ზუსტი გარანტიით - შემთხვევითობის.
 არაფერს ყოფნის ასავსებად
 ნიაღვრები ნიაგარასი -
 თან მიაქვს წყალი, მტვერი, მიწა,
 მიაქვს ალმასი.
 ხარბი თვალები გამოისხა ყველა ნაყოფმა,
 გამოაჩინა ბრჭყალები და ბასრი კბილები
 და გვერდით მყოფის სიცოცხლესაც გაკრა.
 არყოფნას
 ხორცილად და სისხლით გადამტკბარნი შევენწყვილებით.
 მხოლოდ ყველაზე კეთილები დარჩნენ ხეებად -
 სუფთა სინდისით გააღწიეს ყველა ომიდან,
 სუფთა ხელებით წამოიღეს აპრილებიდან
 ძველი სამყარო -
 ერთი კურკით რომ ამოვიდა.

ივა თადიაშვილი

გენიოსი კომპოზიტორი
და მწიგნობარი



აქ ვაშაკტუნში

აქ ვაშაკტუნში დიდი ხანია მოურეველი ქაოსი დაოკეს.
 აქ ვაშაკტუნში დიდი ხანია ბრმებმა ისწავლეს
 ტაძრის კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა.
 აქ ვაშაკტუნში დიდი ხანია აღარ თელავენ მდუმარე ბალახებს.
 აქ არასოდეს ქირობდნენ კალიგრაფებს,
 ღმერთების სიტყვის გასაშიფრად.
 აქ არასოდეს ყოფილა მხეცებისთვის სამხეცეები
 და არც მხეცები ყოფილან აქ არასოდეს.
 აქ ტბებში მხოლოდ ოცნებები ბუყბუყებენ.
 აქ მოდიან და მიდიან სხვამინელები სანამ ლერწმის კონები ჩაიწვებოდეს.
 აქ დილით ვაშაკტუნელებს აღვიძებთ მაიმუნთა ფუსფუსი.
 აქ დემონური სიცარიელიდან დიდი ხანია გაიყვანეს სულის არხები.
 აქ ვაშაკტუნში არავინ იცის ყველაფერი როგორ დაიწყო,
 ვაშაკტუნში გონიათ ყველაფერი ყოველთვის იყო.

“ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: დედაკაცთაგან ნაშობთა შორის
 არ აღმდგარა იოანე ნათლისმცემელზე დიდი,
 მაგრამ ცათა სასუფეველში უმცირესი მასზე დიდია.”
 იოანეს შეფასება იესოს მიერ
 მათე 11:11

როგორც ამბობენ, მას შავი თმა აქვს და შავი წვერი,
 როგორც ამბობენ, მას შეეძლო გამხდარიყო საჭურისთა ბელადი.
 ასე ამბობენ, მას ჰქონია ნათელი გონება.
 ზოგი ამბობს, რომ პოეტია,

ზოკი კი ამბობს, გიჟიაო, შემლილიაო,
ზოგს ის სძულს.
ალბათ, უნდათ მისი ჯვარზე გაკვრაც.
როგორც ამბობენ, წყალზე სიარულსაც შეძლებს,
თუ იმარხულებს 40 დღეს.
როგორც ამბობენ, ის ჭამს მხოლოდ კალიებს.
ამბობენ, ბევრს ლაპარაკობსო და მხოლოდ სიბრძნეს.
როგორც ამბობენ, მას ღვინო უყვარს.
ხალხი ამბობს, რომ არც ისე ბევრს სვამს,
მე კი ის უბრალო ლოთი მგონია.
ამბობენ, მისთვის აღმართესო
დამარცხების ობელისკები.
ამბობენ, რომ ის არსად წასვლას არ აპირებს
და თუ წავა, ის ისევ მოვა.
ამბობენ, ღმერთიაო,
მაგრამ მითხარით, ვინ არ არის?
ხალხი ამბობს და ამბობს
ისიც ამბობს და მასაც ესმის
და ისიც ლაპარაკობს და ხალხიც უსმენს.

რას შერები?

როცა ქუჩაში მხვდები
და კითხულობ
- რას შერები?
მე გასაუხობ
- რავი, არაფერს...
მაგრამ ვშერები ყველაფერს,
რაც მგონია, რომ შენთვის არ არის საინტერესო:
ენახულობ სიზმრებს
ესწავლობ ახალ რეცეპტებს
გვითხულობ ჰემინგუეის მოთხრობებს
და ფიგაროს ქორწინებას ერთდროულად.
ენაწაღებ ქუჩებში და ვუსმენ ჯაზს ან ჰიპ-ჰოპს
ვუსმენ ქალაქსაც
ვარღვევ წესებს და კანონებს
და ვწერ უამრავ ლექსს,
მაგრამ განა შენ ამის მოსმენა გინდა,
როცა მეკითხები
- რას შერები?

რატომ გინდა იყო აქილევსი?


რატომ გინდა იყო აქილევსი?
რატომ გინდა იყო ჰერაკლე?
რატომ გგონია შენზე ვწერ?
ან დავწერდი რამე ლექსს?
რატომ გგონია თავი ელეკტრა?
რატომ გგონია თავი ელენე?
რატომ გინდა ნათელმხილველი კასანდრა იყო?
რატომ ვერ უნდა ვწერდი ბლოკნოტში ლექსებს,
როცა მომინდებოდა,
როცა სული ველარ ითმენს?
ხომ ხედავ?
არაფერს აღარ ვწერ
შენ შენ თავზე რომ არ მიიღო.
რატომ გინდა შენზე პოემებს თხზავდინე?
რატომ გინდა იყო პერსონაჟი?
შენ რა, აღარასდროს გინდა
აქილევსზე და კასანდრაზე აღარავინ წეროს?

ანდრე ჟიდი

ოიდიპოსი

დრამა სამ მოქმედებად

ფრანგულიდან თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა



მოქმედი პირები:

ოიდიპოსი
ტირესიასი
კრეონი
ანტიგონე
ოკეასტე

პირველი მოქმედება

*მრავალი რამაა საოცარი, მაგრამ
ადამიანზე უფრო საოცარი არაფერია.
სოფოკლე, ანტიგონე, პირველი სტასიმონი*

ოიდიპოსი. აი, თქვენ წინაშე ვარ მე მთლიანად, მარადიული ყოფიერების ამ ნაშში, მსგავსად კაცი-სა, რომელიც გამოვა თეატრის ავანსცენაზე და იტყვის:

მე ვარ ოიდიპოსი. ორმოცი წლისა, ოცი წელია ვმეფობ. საკუთარი ძალებით მივალნიე ბედნიერების მწვერვალს. დაკარგული და ნაპოვნი ბავშვი, სამოქალაქო სტატუსისა და საბუთების გარეშე, მაინც ბედნიერი ვარ, რომ, საკუთარი თავის გარდა, არავის ვალი არ გამაჩნია. ბედნიერება არ მომეცა; მე იგი მოვიპოვე. შეიძლებოდა, დიდი წარმოდგენა მქონოდა საკუთარ თავზე და ამისთვის თავი რომ დამეღწია, თავიდან თავს ვკითხე, ხომ არ არის წინასწარი განსაზღვრულობა ჩემს შემთხვევაში. მე-შინოდა, სიამაყისგან თავბრუ არ დამხვეოდა, რა-

საც მრავალი, არც მთლად უსახელო მხედართმთავარი, დაუღუპავს... ყურადღება, ყურადღება! ოიდიპოს, არ ჩაჯდე მეტისმეტად გრძელი ფრაზების ნაგში, რომლებიდანაც შეიძლება თავი ვერ დაიძვრი-ნო. თქვი უბრალოდ ის, რაც სათქმელი გაქვს და ნუ შეიტან შენს სიტყვებში კუდაბზიკობას, რომელსაც ისედაც ცდილობ, გაეცტე ცხოვრებაში. ყველაფერი უბრალოა და ყველაფერი მოდის საჭირო მდგომარეობაში. თავად იყავი უბრალო და ისარვიით პირ-დაპირი. პირდაპირ მიზანში... ამას იქ მივყავარ, რაც ახლახან ვთქვი: დიახ, თუ ხანდახან მიხერხდება დავიჯერო, რომ ღმერთები მმართავენ, უფრო მოკრძალებული ვხდები და მათ მივანერ ჩემს ბედნიერებას. რადგან სწორედ ჩემს შემთხვევაში სწორედ-დაც ძნელი არ არის, ოდნავ გაიბღინძო. მე ვაღწევ და ჩემ ზემოთ ვქმნი წმინდა ძალაუფლებას, რომელსაც, მინდა თუ არ მინდა, ვემორჩილები. ვინ არ აღიარებს ხალისით ასეთ წმინდა ძალაუფლებას, თუ იქ მიჰყავებარ, სადაც მე მიმიყვანა? ღმერთი მიგიძღვის წინ, ოიდიპოს; და მეორე შენაირი არ არსებობს. ამას ვუფუნები თავს კვირაობით და სადღესასწაულო დღეებში. კვირის დანარჩენ დღეებში ამაზე ფიქრის თავი არ მაქვს. და რა საჭიროა? მსჯელობა მიჭირს; ლოგიკა ჩემი ძლიერი მხარე არაა; ვმოქმედებ ინტუიციით. არსებობს ხალხი, რომელიც ყველა სიტუაციაში თავს ეკითხება: უნდა და-უუთმო ვა თუ არა? მაქვს თუ არა უფლება, გადავ-ცდე საზღვარს? მე სულ იე ვმოქმედებ, თითქოს ღმერთი მთამაგონებდეს.

ავანსცენაზე ორ ჯგუფად გაყოფილი გუნდია, ოიდიპოსის მარჯვნივ და მარცხნივ.

გუნდი, ორივე ჯგუფი ერთად. ჩვენ, გუნდს, გვაქისრია განსაკუთრებული მისია, ამ ადგილას წარმოვადგინოთ უმრავლესობის მოსაზრებას, ჩვენ გაკვირებული და განაზვიანებული ვართ ასეთი უფრო პრობლემების აღსარებით. გრძობები, რომლებიც ოიდიპოსმა გამოხატა, მხოლოდ გადაცემულ ვინმეს უნატიტოა.

რა თქმა უნდა, კარგია ღმერთები შენს მხარეს გაყავდეს; მაგრამ უფრო ნაღდი საშუალებაა, ქურუმის მივსი იყო. ოიდიპოსისთვის კარგი იქნებოდა, რჩევა მიეღო ტირესიასისგან, რადგან ღმერთებთან მას აქვს ურთიერთობა. ოიდიპოსი ჩვენი სამსახურის საბაბით საფრთხეს ქმნის, ღმერთები ჩვენ წინააღმდეგ განწყობილი და უეჭველად მისი ბრალია, რა განსაცდელშიც ახლა ვიმყოფებით. ჩვენ შევეცდებით, არც ისე ძვირფასი მსხვერპლშენიერით და მარჯვედ წარმართული ლოცვით მათი შემწყნარებლობა დავიგმობთ, გავითხოვთ ჩვენს მეფეს და მართო მისკენ მივმართოთ სასჯელი, რომელსაც მისი ქედმაღლობა იმსახურებს.

მარჯვენა გუნდი, ოიდიპოსი. შენ რომ ბედნიერი ხარ, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე მეტი სიმეტად ბევრს ლაპარაკობ, ეჭვი არავის ეპარება; მაგრამ ჩვენ არ ვართ ბედნიერი, ჩვენ, შენი ხალხი, ოიდიპოსი; მაგრამ ჩვენ, შენი ხალხი, აჰ, არა, არ ვართ ბედნიერი. უნდათ, ეს დაგიმალონ; მაგრამ ამ დრამის მიქმედება ვერ დაიწყებოდა, ჩვენ რომ შენთვის არ მოგვეტანა მეტი სიმეტად მძიმე ამბავი. შავი ჭირი, რადგან მას თავისი სახელი უნდა დაერქვას,¹ ისევე ამწუხრებს ქალაქს. შენს ოჯახს იგი აქამდე არ შეუბოძა; მაგრამ მეუფე უნდა თანაუგრძნობლად თავისი ხალხის გასაჭირს, თუნდაც მას ეს პირდაპირ არ ეხებოდეს.

მარცხენა გუნდი. თუმცა, ჩვენ გვგონია, რომ შენი ბედნიერება და ჩვენი უბედურება, რაღაც მისტიკური სახით, ერთმანეთს უკავშირდება; ყოველ შემთხვევაში, ეს შეიძლება ვივარაუდოთ ტირესიასის ქადაგების მიხედვით. საჭიროა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ვიცოდეთ, სად ვიმყოფებით. აპოლონმა უნდა გაგვარკვიოს. შენ თვითონ ისურვე და ღვთის ტაძარში სასწრაფოდ გაგზავნე კეთილი კრეონი, შენი ცოლისძმა და მან მალე უნდა ჩამოიტანოს სამისნოს დიდხანს ნანატრი პასუხი.

ოიდიპოსი. აი, სწორედ კრეონი ბრუნდება.

შემოდის კრეონი.

ოიდიპოსი, კრეონს. აბა?

კრეონი. უკეთესი ხომ არ იქნება, ერთი ერთზე დაგაუბარააკო?

ოიდიპოსი. რატომ? ხომ იცი, როგორ მეზიზღებდა ნიღბები და ფარული ამბები. ამრიგად, ყველაფერს რიყვი ყველას წინაშე. მოგიწოდებ. გიბრძანებ ამას. რასაც შეუძლია წამალი მოუტანოს ხალხის უბედურებას, ხალხმაც უნდა იცოდეს და არა მხოლოდ მე. მხოლოდ ასე შეიძლება დამემხაროს და განკურნოს. რა თქვა ორაკულმა?

კრეონი. სწორედ ის, რასაც წინასწარ გგრძობდა: რაღაც დაღლა სამეფოში.²

ოიდიპოსი. შეჩერდი. არასაკმარისი ხალხია. აქ უხშირ შენს და იოკასტეს და ჩვენს ოთხ შვილს.

კრეონი. მომისმინე; გაქვთ, იოკასტეს რომ უხმო. შენ იცი, როგორ ძლიერი გრძობა მაქვს ოჯახის მიმართ. გარდა ამისა, მას შეუძლია კარგად გვირჩიოს; მაგრამ ბავშვები პატარები მგონია ასეთ საუბარში მონაწილეობისთვის.

ოიდიპოსი. ანტიგონე უკვე ბავშვი აღარაა. ეტეოკლესი და პოლინიკესი ისეთები არიან, როგორც მე ვიყავი მათს ასაკში: არა უჭკუო, დაუფიქრებელი, თავისნათქვამა. კარგია, თუ თავში რამე საფიქრალს შეუშვებენ. რაც შეეხება ისმენეს, ის ვერაფერს ვერ გაიტებს.

შემოდის იოკასტე და ოიდიპოსის ოთხი შვილი.

ოიდიპოსი, იოკასტეს. შენი ძმა ჩამოვიდა პითოდან.³ მე მინდოდა, ყველანი ჩემთან ერთად ყოფილიყავით, რომ მოგვესმინა ღმერთის პასუხი. აბა, კრეონ, რა ბრძანა ორაკულმა?

კრეონი. რომ ღმერთი თავის რისხვას თებეს არ აარიდებს, სანამ შურს არ იძიებენ ლაიოსის გამო.

ოიდიპოსი. შურისძიება? რაზე?

კრეონი. ნუთუ არ იცი, რომ ის კაცი, რომლის ადგილი დაიკავებ შენ ჩემი დის, იოკასტეს სარეცელზე და სამეფო ტახტზე, მოკლეს?

ოიდიპოსი. მე ეს ვიცოდი, მაგრამ დამნაშავე არ დასჯილა?

კრეონი. პოლიციამ იგი ვერ დაიჭირა და, უნდა ითქვას, დიდად თავი არც შეუნუხებია.

ოიდიპოსი, იოკასტე. შენ ჩემთვის არ გითქვამს...

იოკასტე. ყოველ ჯერზე, როცა მინდოდა მეთქვა, შენ მანყვეტინებდი. "არა, არ მინდა წარსულზე ლაპარაკი", - ყვიროდი, "არაფრის ცოდნა არ მინდა. ოქროს ხანა დაიწყო, ყველაფერი ხელახლა გაკეთდა."⁴


კრეონი. სიტყვა "სამართლიანობა" შენს ენაში ხდებოდა "ამნისტია."

ოიდიპოსი. მე რომ მცოდნოდა ეს ღორი, რომელმაც...

იოკასტე. დამშვიდდი, ჩემო მეგობარი. ძველი ამბავია. წარსულს ნუ გაიხსენებ.

ოიდიპოსი. არა, მე ვერ დავმშვიდდები... სანყე-

1 ლ ფონტინის იგავში "შავი ჭირით დასწრებული ცხოველები" ვკითხულობთ: "შავი ჭირი (რადგან საჭიროა, მას თავისი სახელი უწოდოთ)..."
2 შდრ. შექსპირი, ჰამლეტი, I, v. 1, 90: "რაღაც დაღლა დანიის სამეფოში".
3 პითო - დელფოსი, სადაც იყო აპოლონის ტაძარი, რომლის ქურუმი, პითია, წარმოთქვამდა უფლის შეუმცდარ ორაკულებს.
4 ყველაფერი ხელახლა გაკეთდა - აპოკალიფსიდან ნასესხები ფრაზა, შდრ. გამოცხადება, 21:5 "თქუა მჯდომარემან მან საყდრისა ზედა: ამა ესერა ყოველსავე ახალ-ცყოფი."



ნია, ადრე რომ არ ვიცოდი ეს. ჯოჯოხეთის ვიციცავ, მოვჩრევე, არ მოვისვენებ, სანამ არ ვიპოვი დამნაშავეს! სადაც უნდა დამიშლოს, ვიპოვი და გპირდებით - ხელოდან ვერ დამიძვრება. რა დრო გავიდა მას შემდეგ?

იოკასტე. მე ექვსი თვის ქვრივი ვიყავი, შენ რომ ლაიოსის ადგილი დაიკავე. ოცი წელია.

ოიდიპოსი. ბედნიერების ოცი წელი...

ტირესიასი. რაც ღვთის თვალში ერთი დღეა.

ტირესიასი, ბრმა, ჩაცმული ბერივით, შეუძრავად აღმოდის ანტიკონესა და ისმენესთან ერთად.

ოიდიპოსი. ღმერთო! როგორ მომბაებზრა ამ კაცმა თავი! სულ სხვის ამბებში ეჩრება! ვინ გთხოვა მოსვლა?

იოკასტე, ოიდიპოსს. ასე არ უნდა ილაპარაკო ბავშვების თანდასწრებით. საშოშია იმ კაცის ავტორიტეტის დაცინება, რომელსაც ბავშვები მივაბარეთ, როგორც მასწავლებელს და რომელიც მუდმივად მათთან უნდა იყოს. (მოუბრუნდება ტირესიასს). თქვენი ამბობდით...

ტირესიასი. არ მინდა, მეფე გავანწყევლო.

ოიდიპოსი. ჩემი განაწყენება შეუძლებელია იმიტომ, რასაც ამბობენ, შესაძლებელია იმიტომ, რასაც ფიქრობენ და არ მეუბნებიან. ილაპარაკე.

ტირესიასი. პირისპირ, ოიდიპოს, ვილაპარაკებთ შენს ბედნიერებაზე, რასაც შენ ბედნიერებას უწოდებ; მაგრამ ამჟამად ლაპარაკია ხალხის უბედურებაზე. ოიდიპოს, ხალხი იტანჯება და მისმა მეფემ არ შეიძლება, ეს არ იცოდეს. ერთეულების სიმდიდრეა და უმრავლესობის სიღარიბეა შორის ღმერთი ქსოვს იდუმალ კავშირს. უფლის სახელი, ოიდიპოს, სწორად გაქვს ბაგეებზე. ამის გამო მე შენ არ გავკიცხავ, მაგრამ იმისთვის კი გავკიცხავ, რომ ღმერთში უფრო მომსონებელს ეძებ, ვიდრე მსაჯულს და მის წინაშე არ ცახცახებ.

ოიდიპოსი. მე არასოდეს არ ვყოფილვარ ის, ვისაც ღმერთს უწოდებენ.

ტირესიასი. რაც უფრო მამაცია რომელიმე მეთაური კაცთა წინაშე, მით უფრო მოსწონს მისი ცახცახი უფალს.

ოიდიპოსი. მე რომ სფინქსის წინაშე მეცახცახა, ვერ შევძლებდი, მისთვის პასუხი გამეცა და მეფე ვერ ვიქნებოდი.

ორივე გუნდი. ოიდიპოს! ოიდიპოს! ყველაფერი ეს უსარგებლოა. შენ კარგად იცი, რომ ტირესიასთან ლაპარაკში მეფესაც კი არ ეკუთვნის უკანასკნელი სიტყვა.

მარჯვენა გუნდი. უეჭველია, შენ სფინქსი დაამარცხე; მაგრამ გაიხსენე, გამოცანა რომ ამოხსენი, შენ ამტკიცებდი, რომ ფრინველებით მისწობის გარეშეც შეძლებდი ცხოვრებას.

მარცხენა გუნდი. და რაკ ისინი ძილს გივრთობდნენ, შენ ჩვენც გავგვრიე საქმეში და ნება დავკეთე, ისინი გავკეცივებინა, მიუხედავად ტირესიასის კრძალვისა.

ორივე გუნდი. ფრინველის რაგუ კარგი იყო; მაგრამ ჩვენ გავივით, რომ შვეცოდეთ, რადგან განრისხებულმა ღმერთმა ჩვენი მოსავალი მუხლუხებით გაავსო.

მარჯვენა გუნდი. და თუ იმ წელს ვიშომიღეთ, ეს, ალბათ, სასჯელი იყო.

მარცხენა გუნდი. ...მაგრამ ასევე იმიტომ, რომ საქმეში არაფერი არ გვექონდა.

ორივე გუნდი. ამჟამად ჩვენ მზად ვართ მორჩილებისთვის და შენაც მოგონოდებთ, დემორჩილო ტირესიასს.

ოიდიპოსი, თავის ორ ვაჟს. ხალხი ყოველთვის ამჯობინებს ბუნებრივ ახსნას მისტიკურ ინტერპრეტაციას, აქ ვერაფერს ვერ გააწყობ! (ტირესიასს). აბა, მიდი!

ტირესიასი. მეფის პოლიციას შეუძლია ეძებოს დამნაშავე. მაგრამ მისი პოვნის მოლოდინში მე ვაკისრებთ თითოეულ თქვენგანს ეპიტიმიას; რადგან ღვთის წინაშე ყველა თქვენგანი დამნაშავეა და ჩვენ არ ვიცით არც ერთი ადამიანი ცოდვის გარეშე. ამრიგად, დაე ყოველი თქვენგანი ჩაუღრმავდეს თავის თავს, შეამოწმოს თავი და მოინანიოს. და მაინც, მე ვფიქრობ, ზოგიერთ შესანიშნავს შეუძლია დააშოშინოს ის, ვისი მრისხანებაც ასე მკაცრად აწამებს ქალაქს. მკვდრებს უკვე თვლა აღარ აქვთ. პოლინიქესი, რომელთან ერთადაც დავდიოდით ახლანა და რომელიც ხედავდა იმას, რასაც მე ვერ ვხედავდი, გეტყვის...

პოლინიქესი. დიახ, მამა, ჩვენ სასახლის მახლობლად გადაწყვედით ჭირანების ჯგუფს. განხვალთა და ნარწყვეით დასვრილები საზარლად იქონწხებოდნენ და თითქოსდა ერთმანეთს ეხმარებოდნენ სიკვდილში. მთელი ჰაერი არგველი სავსე იყო მათი ოხვრით და გლოვით, მზერთა და სლოკინით.

კრეონი. საკმარისია! საკმარისი!..

ისმენეს გული მისდის.

ოიდიპოსი. აჰა! პატარას გული წაუვიდა ახლა.

ეტეოკლესი, პოლინიქესს. ის არ უნდა მოგეყოლა დის თანდასწრებით.

ოიდიპოსი, იოკასტეს. გევედრები, ნაიყვანე ბავშვები. (ტირესიასი გადის მათთან ერთად). ხალხიც წავიდეს. მე უნდა ვცადო, გავიპარო. (ოიდიპოსი მარტო რჩება კრეონთან).

კრეონი. არათანმიმდევრული ხარ, როგორც ყველა იმპულსური ადამიანი. რას ნიშნავს ეს საზეიმო დაპირება, ახლახან რომ გამოაცხადე?

ოიდიპოსი. რომელი დაპირება?

კრეონი. ხედავ, უკვე ალარვს გასოვს. მაგრამ ხალხი, მაგრამ შენს შვილები აქ არიან, რომ ახსოვდით და ტირესიასიც, რომ შეგახსენოს: დაპირება, რომ მეფის სიკვდილისთვის შურს იძიებ.

ოიდიპოსი. ეს მართალია. რატომ არ სცადეს დამნაშავის დაჭრა?

კრეონი. საქმე მიაფუჩქეს.

ოიდიპოსი. ვინ?

კრეონი. უპირველეს ყოვლისა, მე, რომელიც მაშინ მეფის მოვალეობას ვასრულებდი. ჩათვალე, რომ არ იყო გონიერული ამ საქმეზე ხალხის ყურადღების მიპყრობა, რათა დაენახათ, რომ მეფეც შეიძლება მოკლან, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი.

ოიდიპოსი. დიახ, მაგრამ ახლა ხალხმა იცის.

კრონი. იოკასტემაც არ ისურვა გამოძიება, შე-
აჯას რა თავისი დიდი სიბრძნით, რომ შენი მეფო-
ბის დასაწყისი არ ჩამწარებულყო.

ოიდიპოსი. იოკასტე მუდამ ზრუნავდა, რომ და-
ეცვა ჩემი ბედნიერება. იგი სრულყოფილია, იოკას-
ტე. რა მეუღლე! რა დედა! მე, საკუთარი რომ არა-
სოდეს მცოდნია, მიყვარს იგი შვილური და ქმრული
სიყვარულით ერთდროულად. ერთი მითხარია... პირ-
ველი ქმარი უყვარა?

კრონი. რა თქმა უნდა, ბევრად ნაკლებად, ვიდ-
რე მე.

ოიდიპოსი. ესეც მითხარია... ბავშვები არ ჰყო-
ლიათ?

კრონი. ეს მთელი ისტორიაა. არ ვიცი, უნდა
ვილაპარაკო თუ არა...

ოიდიპოსი. მაშინ არაფერი არ უნდა გეთქვა ჩემ-
თვის; მაგრამ ახლა მე მინდა ვიცოდე.

კრონი. კი ბატონო, აი: მათ არ სურდათ, შვი-
ლები ჰყოლიოდათ, რადგან ორაკულმა...

ოიდიპოსი. ისევ ორაკული!

კრონი. ... იწინასწარმეტყველა, რომ ლაიოსი
მოკვდებოდა შვილის ხელით განგმირული; მაგრამ
ერთხელ, ერთ მხიარულ საღამოს, გაუფრთხილებ-
ლობით...

ოიდიპოსი. გავიგე. თრობის შვილი... რა ბედი
ენია მას?

კრონი. ეს ბჭი იყო. იგი მაშინვე გადასცეს ვინ-
მე მწყემსს, რომელსაც უნდა გვესრულებინა სევდი-
ანი ბრძანება და დაეტყუებინა მთაში, სადაც მზე-
ცები მას მალე დაგლეჯდნენ.

ოიდიპოსი. ეს მწყემსი კიდეც ცოცხალია?

კრონი. მეტისმეტად ბევრს მთხოვ. გინდა ჩემი
რჩევი? თავს ტყუილად ნუ იწვალებ. მშვიდად იცხოვ-
რე.

ოიდიპოსი. ასეთი ხიჭვით ყურში ვშობო, ძილს
ვეღარ შეძლებ. სხვათა შორის, ეს ხომ გაიგონე,
ღმერთი ითხოვს მკვლელის დასჯას.

კრონი. ჩემი ძვირფასო იოდიპოს, ორაკულები
კარგია ხალხისთვის, თუმცა ჩვენს პატივისცემას
ვერ იმსახურებს. ჩვენ, მბრძანებლები, მათ ხელი-
სუფლების გასამყარებლად ვიყენებთ და ჩვენს ჭკუ-
აზე მოვატყვევებ. ლაიოსი, გვეუბნებიან ისინი, შვილს
უნდა მოეკლაო; შვილი თავიდან მოიცილეს. ლაიოსი
მანაც მოკლესო, შემეწინააღმდეგებო. ცოცხალი
რომ ყოფილიყო, მის ტახტს ვერ დაეუფლებოდი. მამ
რას დასტირი დღეს მის დაკარგვას და რად იძიებ
გარაკვიო, როგორ მოკვდა? თუ ვინმე მოკლა, შენ-
თვის მოკლა; შენ გაძლევდა ეს ხელს; შენ მისი დას-
ჯა კი არა, პირიქით, მისი დაჯილდოება გმართებს.
ოიდიპოსი. და რას იტყვიდა ტირესიასი?

კრონი. მისი გეშინია?

ოიდიპოსი. კაცმა რომ თქვას, არა; მაგრამ ხალ-
ხი უსმენს მას. მე ხანდახან მისი ხმა მაშფოთებს; გე-
გონება, საიქიოდან ამოდისო. აი ისიც, ისეც. მუდამ
ისე მოგიახლოვდება, ვერ გაიგონებ ხმას. რა გენ-
ბავს ჩვენგან, ტირესიას?

შემოდის ტირესიასი.

ტირესიასი. ოიდიპოს, დეოფოლს შენთან ლა-
პარაკი სურს. სასახლეში გელოდება. (ოიდიპოსი გა-

დის. *კრონი.*) მინდოდა, მარტონი დაეტოვებინეთ.
მესმოდა ყველაფერი, რაც ილაპარაკეთ.

კრონი. გესმოდა?

ტირესიასი. სენა არ მჭირდება, რომ გავიგო-
ნო. სანამ ხმებს ვავიგონებ, ფიქრები უკვე მესმის.

კრონი. არ იყო კარგი ოიდიპოსის დამშვიდება.

კრონი. რისი თქმა გინდა?

ტირესიასი. რომ ის ისტრაც მეტისმეტად მშვი-
დაა. მისი ხელი დაეშალა ჭურჭლეფიეთა; ვერანაი-
რი შიში ვერ შეაღწევს. უფლოს შიშშია ჩემი ძალა-
უფლება. მისი მშვიდი ბედნიერება ბიზიერია. შენ
ოდნავ უნდა გაუბზარო ეს ბედნიერება.

კრონი. რატომ?

ტირესიასი. ამ მოუსვენარი ბზარით ღმერთი შე-
აღწევს მის გულში. ეტეოკლესი და პოლინიკესი გა-
მირბიან; ყოველდღე სულ უფრო და უფრო ვგრძნობ
ამას. იოკასტე გეტყვის ამას: იღებენ რა მამისგან
მაგალითს, ცდილობენ განთავისუფლდნენ ძალა-
უფლებისგან, რომელსაც ყველა უნდა ემორჩილე-
ბოდეს. არ გელაპარაკები ჩემი სახელით, არამედ სა-
ხელითა ღვთისა, რომელსაც წარმოვადგენ; შემდეგ
სახელითა იოკასტესი და ღვთისიერი ანტიგონესი;
ბოლოს და ბოლოს, სახელთა ხალხისა, რომელიც
შეძრწუნებულია და ხედავს უბედურებაში, რომე-
ლიც თავს დაატყდა, მათი მეფის დანაშაულისთვის
სასჯელს. გარდა ამისა, როგორ შეუძლია ანტიგო-
ნეს, პატივი სცეს მამას, იოკასტეს უყვარდეს ქმარი,
რომლის გულმა ზურგი შეაქცია ღმერთს, რომელ-
საც ორივე პატივს სცემს? შენ თვითონ, კრონი, უნ-
და გაიგო, რომ ყველა ინტერესშია, მეფემ უხელი
მოიყაროს უზუნაესი ხელისუფლების წინაშე, რო-
მელშიც მეფის წინააღმდეგ ყველას შეუძლია მოი-
პოვოს მხარდაჭერა.

შემოდის იოკასტე.

იოკასტე. ოიდიპოსი გაოგნებულია ახალი ამ-
ბით, რომელიც ახლახან გაიგო: ანტიგონეს სურს,
ტაძარში აღიკვეცოს.

კრონი. ვესტავს მველად!

ტირესიასი. არაფერია გასაკვირი. ძვირფას
ბავშვს სურს გამოისყიდოს მამამისის ბიზიერება.

იოკასტე. მან ეს ამბავი გამანდო, რაც არ იცინა
მისმა ძმებმა, ეს საიდუმლოა.

კრონი. აჰ, საბრალო ბავშვი!

ტირესიასი. რატომ საბრალო? იგი შეძლებს იპო-
ვოს ღმერთთა ოიდიპოსისაზე უფრო მყარი ბედნიე-
რება, ნათელი ნეტარება, მოპოვებული თვინიერე-
ბით და არა სიამყით.


კრონი. ასევე მგონია, რომ ხალხის უბედურე-
ბამ ააღელვა იგი.

იოკასტე. იგი მთხოვდა, ნება მიმეცა, ავადმყო-
ფებს დახმარებოდა. მე უარს ვეუბნებოდი, რადგან
ეს არ არის მეფის ასულის საქმე. "მაშინ ლოცვა მათ-
თვის, თხოვნა მათთვის", - მითხრა და დაამატა უფ-
რო ხმადაბლა, "ან იქნებ მისთვის...", მაგრამ ცრემ-
ლმა არ დაამთავრებინა.

ტირესიასი. მისთვის, ვინც კიდევ უფრო ავა-
დაა.

კრონი. მამას გულისხმობდა?

ტირესიასი. უჭეკვლად. როგორ მიიღო ეს ოიდი-



პოსმა?

იოკასტე. თავიდან აღშფოთდა და განანყენდა. შემდეგ აღმოხდა, ტირისიასის ნამუშევარს ცვნიობო.

ტირესიასი. მე მხოლოდ უფლის იარაღი ვარ; მაგრამ რაკი იგი ჩემი მემკვიდრეობით მოქმედებს, მისი შრომა აქ არ დამთავრდება.

იოკასტე. საყვარელი მუულის მოთმინება, ღირსება და სიამაღაცე... მათი ლეთისადმი მიმართვა, მე ვგრძნობ, ტირესიას, რომ ესაა ჩვენი ყველაზე უფრო ძვირფასი მოვალეობა.

ტირესიასი. კრეონი უნდა დამეხმაროს. მან უნდა შეარყიოს მეფის რწმენა, რომ ჩემი სიტყვა უკეთ გააგონოს.

კრეონი. მე ცდცი; მაგრამ თავს ვერ დავდეძ, რომ წარმატებას მივაღწე. ოიდიპოსი ხალხით არ უსმენს იმას, რაც თავს აბეზრებს.

ტირესიასი. ღმერთი შთაგაგონებს შენც, როგორც მე, როგორ შეეხო კარგად.

კრეონი. ღმერთი ვერასოდეს შთაგაგონებს ხოლმე.

ტირესიასი. საუკეთესოდ ბრმებს შთაგონებს.

იოკასტე. მე შენ გენდობი, ტირესიას, ვისგანაც ვიგებთ უზენაესის გადაწყვეტილებებს.

მეორე მოქმედება

ოიდიპოსმა სიმთვრალეში სიამოვნებას დაუთმო და შვილი ჩამოსახა. ეკრიპიდე, "ფინიკიელი ქალბი", იოკასტე; სტრ. 21-22.

ოიდიპოსი და **კრეონი** გამოდიან ავანსცენაზე, აგრძელებენ წამოწყებულ საუბარს.

კრეონი. ერთმანეთისგან ასე რომ არ განცხვავდებოდეთ, ერთმანეთის გაგება ასე დიდ სიამოვნებას არ მოგიტანდა. თუკი შეთან საუბარი მიყვარს, ძვირფასო სიძვე, ეს იმიტომ, რომ შენ მისნი პორიონტს, რომელსაც მარტო ვერ დავინახავდი. შენთანაა ინიციატივა და სიახლე. რაც შემეხება მე, მე დაკავშირებული ვარ წარსულთან. პატივს ცეცმ ტრადიციებს, ჩვეულებას, დამკვიდრებულ კანონს; მაგრამ არ ფიქრობ, რომ კარგია, სახელმწიფოში ყველაფერი იყოს წარმოდგენილი და მე რომ ვიყო შენი კარგი საპირწინა, რომელიც ანულებს შენს სიქქარეს და ლაგამს ამოსდებს შენს სამამ წამოწყებებს. არაერთგზის ავდებდნენ ისინი საფრთხეში სახელმწიფოს, მაგრამ მე ვაუზბურუტებდი ინერციის ძალითა და წარსულს ჩაჭიდებოდი...

ოიდიპოსი, დაბნეულად. უსძაძლებელია.

კრეონი. ოჯახური სული ჩემში განსაკუთრებულადაა განვითარებული; ბოლოს და ბოლოს, შენ ჩემი ოჯახის ნაწილი ხარ და შენი შვილები ბედი მე არანაკლებად მალეღეებს, ვიდრე საკუთარი შვილები; ნება მიბოძე, შევწვდე ისმენცა ჯანმრთელობის მდგომარეობით: იგი ნერვულია და მისი გუშინდელი გულისნასვლა, მისი მძის მონათხრობის დროს...
ოიდიპოსი. მალე მოვიდა ვინ.

კრეონი. და მინც, მას მეტი ყურადღება სჭირდება, რომ მეტი ივარდიოს... იოკასტეც ვერ გამოიყურება კარგად ბოლო ხანებში. ხალხის უბედურე-

ბა აღეღეებს მას. შენ უნდა ეცადო, რომ გართო.
ოიდიპოსი. კარგი, კარგი.

კრეონი. როცა ნაკლებად დაკავებული ვიქნებით, შენს ორ ბიჭვე დაგელაპარაკები. ტირესიასი, უეჭველად კარგი მასწავლებელია, მაგრამ მათ არ ეტყობათ, რომ კარგად უსმენდენ. არ ვიცი სიჯოტის რას სული, ამკარად შემწიერი, ამბოხებულა მათში. წაუკითხავს ეტიოკლეს შენთვის თავისი მოსაზრებები ჩვენი საუკუნის მანიკერებათა შესახებ?
ოიდიპოსი. შავ ჭირზე?

კრეონი. არა... საუკუნის მანიკერებებზე, ქვესათაური: ჩვენი მუშვოთებანი. ო, ეს ჩნომიგნია, ეს ბიჭი. პოლინიეც, სხვათა შორის, არ ჩამორჩება მას არც სილამაზით, არც ძალითა და არც ინტელექტით. უეჭველია, ისინი თავგანან შენ, როგორც იყავი მათს ასაკში. შენს თავს ცნობ, ალბათ, მათში.
ოიდიპოსი. ხანდახან.

კრეონი. მოუსვენრები; მაგრამ მათ, ყოველ შემთხვევაში, თვალისი შენი მაგალითი ჰქონდათ. მაშინ როცა შენ პოლიბოსთან თავი უცხოოდ იგრძენი... სხვათა შორის, რატომ დატოვე მისი სამეფო კარი? ცუდად გრწმობდი იქ თავს?

ოიდიპოსი. მე? მე იქ უადრდელად ცვსოვობდი; მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, არ მიყვარს, თავზე რომ მეყვებიან. მაშინ თავი პოლიბოსის შვილი მეგონა. და ერთხელაც გამოჩნდა ვიღაც ჯადოქარი და ყველას თავის ბედისწერას ეუბნებოდა. ყველას უნდოდა, გამოეკითხა. ჩემი როგიც დღდა. ისიც გაფითრდა, სხვების თანდასწრებით ლაპარაკი არ ისურვა, ცალკე გამიყვანა და ჩურჩულით მითხრა, რომ მაშის მოკვლა მიწერილა. თავიდან ეს წინასწარმეტყველება სასაცილოდაც არ მეყო; მაგრამ ჯადოქარი იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ გარკვეული სიფრთხილედ მიმცემი ვიქნე; უპირველეს ყოვლისა, ეს ამბავი პოლიბოსს გავუშხილე, ვუთხარი, რომ უბედურებისთვის რომ თავი დამეღწია, ყველაზე გონივრული იყო, იქაურბობას საშუალოდ მოგშორებოდა, რაც ოლიო არ იყო, რადგან მიყვარდა იგი. მაშინ მან გამაგებინა, ჩემს დასამშვიდებლად, რომ მე მისი შვილი არ ვიყავი, რომ აყვანილი ვიყავი და ამ თვალსაზრისით საშოში არაფერი იყო. ხოლო იმაზე, თუ ვინ იყო ჩემი ნამდვილი მამა, მას არაფერი შეეძლო ეთქვა. ვიღაც მწყემსი ფარას მწყემსავდა და მე მიბოძე მათში, ფეხით ჩამოკიდებული, ხილივით, ბუჩქის ქვედა ტოტზე (ამიტომბა, ოდნავ მისი ვკოჭლობ), შიშველი, ქარსა და წვიმაში გამოიფენილი, როგორც საიდუმლო სიყვარული წაყოფი, არასასურველი, თავისმოჭრელი ბავშვი.

კრეონი. უკანონო შვილი. მესმის, ეს ძალიან მტკივნეული უნდა ყოფილიყო.

ოიდიპოსი. ოჰ, ღმერთო, არა! არაფერი მომივა, თუ გავიგე, რომ უკანონო ვარ. როცა მეგონა, რომ პოლიბოსისა ვარ, ცედილობდი მისი თვისებებისთვის მიმებაძა. რა არის ჩემში, რაც უკვე არ ყოფილა ჩემს წინაპრებში? - ვეკითხებოდი საკუთარ თავს. წარსულის გაკვეთილს ვუსმენდი და ველოდი, რომ გუშინდელი ქვედა განსაზღვრავდა ჩემს "დღე იყოს ასეს", სამოქმედოს. შემდეგ, უეცრად, ძაფე განწყდა. უცნობმა ამოხეთქა; არა წარსული, არა მაგალითი, არაფერი, რასაც შეიძლება დაეყრდნო; ყველაფერი შესაძენელია, სამშობლო, წინაპრები... გამოსაგონე-

ბელია, აღმოსაჩენია. ველარავის შეედრები, საყო-
 თარი თავის გარდა. თან რაღა საქმე მაქვს, ბერძენი
 ვარ თუ ლოტარინგიელი? ო, კრეონ! შენ იმდენად
 მორჩილი და წარსულის თანახმა ხარ, შენ როგორ
 გაგებხ და მოთხოვნის სიღამაზე? ეს ხომ ვაუკაცო-
 ხისკენ მონოდებაა, არც დედას და არც მამას არ იც-
 ნობდე.

კრეონი. მაგრამ პოლიბოსისგან რატომ წამოხ-
 ვედი, თუკი მან დაგამშვიდა? უშვილო ყოფილა და
 შენ შეგედლო ტახტი მემკვიდრეობით მიგედლო.

ოიდიპოსი. უფლების გადაცემა არ მიყვარს და
 ვერც ვისარგებლებ იმით, რაც არ დამიმსახურებია.
 ჩემში თვლემდა თვისებები, რომლებიც უქმობას ვერ
 იტანენ. ვგრძნობდი, რომ პოლიბოსის კარზე, სინყნა-
 რესა და კომფორტში, ჩემს დანიშნულებას ავცდე-
 ბოდი.

კრეონი. სრულიად ბუნებრივია, რომ ჩემი შეხე-
 დულება განსხვავებულია. მე რომ უკანონო შვილი
 ვყოფილიყავი, შეიძლება მეც შენსავით მომნდომე-
 ბოდა ისეთი სიკეთე და თვისებები, რომლებიც კა-
 ნონიონი და მემკვიდრეობით არ მერგებოდა. მაგრამ
 მითის ძესა და მეფის ძმას არ შემიძლია, კონსერვა-
 ტორი არ ვიყო. ასე რომ, თვითონ მევე არ ვარ, მე
 ვტკბებოდი ლაიოსის კარზე, ვტკბები შენს კარზე,
 ვსარგებლობ გვირგვინის უპირატესობით, სიმძიმის-
 და საზრუნავის გარეშე.

ოიდიპოსი. ღმერთმა შეგარგოს, ღმერთმა შე-
 გარგოს, კრეონ. უტყველია, კარგია, რომ ჩემი ტემ-
 პერამენტის ბაღში იშვიათია. მაგრამ ვხედავ, ბავ-
 შუები მოდიან. ყური დაეუფადით, არ დავენახვით.

ოიდიპოსი და კრეონი სცენის სიღრმეში გადა-
 დიან. **შემოდან ანტიგონე და პოლინიკესი.**

პოლინიკესი. თავისუფლად ვერ იაზროვნებ, სა-
 ნამ არ წაშლი იმ ნაკვალევს, რასაც ტოვებს გონება-
 ზე რელიგიური პრაქტიკა.

ანტიგონე. ვნებები, როგორც კი მათ მიეცემი,
 მას კიდევ უფრო საზარლად ანაოჭებს და ხრის. დი-
 ახ, ჩემს გონებას უკვე აქვს ეს ნაკვალევი და აზ-
 როვნება მხოლოდ პირდაპირ შემიძლია. მართლაც,
 მთელი ჩემი არსების ყველა მოძრაობა მიმართუ-
 ლია...

პოლინიკესი. დაასრულე.
ანტიგონე. ...ყველა მოძრაობა მიმართულია
 ღმერთისაკენ.

პოლინიკესი. რატომ შეფერხდი თავიდან?
ანტიგონე. იმიტომ, რომ ვიცი, ღმერთი არ განამს.
პოლინიკესი. ღმერთი ესაა ის, რისკენაც მიმარ-
 თავ შენი ფიქრის მისწრაფებას. შენ მისი მართლა
 გვერა?

ანტიგონე. მთელი ჩემი გულითა და მთელი ჩემი
 გონებით. შენ რომ არ გელაპარაკებოდე, ვიტყვი:
 მთელი ჩემი სულით; მაგრამ შენ სულისაც არ გვე-
 რა.

პოლინიკესი. ო, შეიძლება იმით დაამთავრო,
 რომ შენი ვინაშენ... მაგრამ ის ღმერთი, შენ რომ
 ამბობ, არის შენ გარეთ?

ანტიგონე. დიახ, რადგან სწორედ ის მიზიდავს.
პოლინიკესი. შენი სათნოების უბრალო ასახ-
 ვაა.

ანტიგონე. არა, პირიქით, ეს მე ავსახავ. არ არ-
 სებობს სათნოება, ის რომ არ ასახავდეს.

პოლინიკესი. მისმინე, ანტიგონე... ნუ წითლდე-
 ბი, რადაც მინდა გკითხო.

ანტიგონე. მე წინასწარ ვწითლდები. შენ მაინც
 მკითხე.

პოლინიკესი. დის ცოლად მოყვანა აკრძალუ-
 ლია?

ანტიგონე. დიახ, რა თქმა უნდა; აკრძალულია
 ადამიანებისგან და ღმერთისგან. რატომ მკითხებთ
 ამას?

პოლინიკესი. იმიტომ, რომ მე რომ შემძლებო-
 და ცოლად მომეყვანე სრულად, მგონი, ნებას დაგ-
 რთავდი, ნავეყვანე შენს ღმერთთან.

ანტიგონე. სიავის კეთებით როგორ უნდა გქონ-
 დეს სიკეთესთან ზიარების იმედი?

პოლინიკე. სიკეთე, სიავე... პირზე სულ ეს გაკე-
 რია.

ანტიგონე. ყოველ სიტყვას, რომელიც ბაგეზე
 მომადგება, მანამდე ჩემი გული აქვს გამოვლილი.

*კრეონი და ოიდიპოსი მთელი ამ სცენის გან-
 მავლობაში შემჩნეველი რჩებიან და ასევე შე-
 უმჩნეველი დარჩებიან შემდეგი სცენების განმავ-
 ლობაში.*

კრეონი, ოიდიპოსს. არა, ინცესტის დაშვება მე
 არ შემიძლია.

ოიდიპოსი. გაჩუმიდი.

პოლინიკესი და ანტიგონე გადიან. **შემოდან**
ეტეოკლესი და ისმენე.

ისმენე. იშვიათია შენი მარტო ხილვა. სულ მძას-
 თან ერთად ხარ. როგორ ახერხებთ ასე მეგობრო-
 ბას?

ეტეოკლესი. განა ბუნებრივი არაა, რომ ძმა უკეთ
 გაგიგებს, ვიდრე უცხო მეგობარი?

ისმენე. ანტიგონესა და მე, ჩვენ ისეთი განსხვა-
 ვებული გემოვნება გვაქვს, რომ მე მას გაუთავებ-
 ლად ვეკამათები. თუ რამე მიყვარს, ყველაფერს
 ინუნებს და მეუბნება, არ შეიძლება. მის წინაშე
 სიცოცხლას და თამაშის მეშინია. ვიცი, ჩემზე ბევრად
 უფროსი რომაა, მაგრამ ისე მგონია, რომ ახალგაზ-
 რდა არასოდეს ყოფილა.

ეტეოკლესი. პოლინიკესი და მე ერთად დავიბა-
 დეთ, ერთად გავიზარდეთ, ყველაფერი საერთო
 გვექონდა. მე არ მიხარია და არც ფიქრად მომივა
 რამ, რაც მას არ ახარებს ან საფიქრალში არ მოს-
 ვლია.

ისმენე. არ ვიცი, მომეწონებოდა თუ არა, ორე-
 ული რომ მყოლოდა, შეიძლებოდა შემძულვებოდა
 კიდევ. სხვათა შორის, არის რამეები, რისი გაყო-
 ფაც შეუძლებელია.

ეტეოკლესი. აქამდე ჩვენ მათ არ შეხვებდრი-
 ვართ.

ისმენე. ნუ ჩქარობ და რომელიმე თქვენგანი
 შეყვარებული რომ გახდეს...

ეტეოკლესი. ჩვენ შეგვიყვარდება ტყუპი გოგო-
 ნები.

ისმენე. საქმე რომ მეფობას შეეხება?

ეტეოკლესი. ჩვენ უკვე შეთანხმებული ვართ, რომ ტახტს რიგრიგობით დავიკავებთ.

ისმენე. და... ტყუებებს თუ ვერ იპოვით?

ორივენი იცინიან.

ეტეოკლესი. გტოვებ, რჩევას ვკითხავ.

ეტეოკლესი გადის. *შემოდის ანტიგონე.*

ანტიგონე. როცა ხალხი გლოვობს, შენ რა გაცინებს?

ისმენე. შენ კი, როცა ყველა ბედნიერია ირგველი, მაინც არ იცინი.

ანტიგონე. ამ მიზანზე, ვაი რომ, მწუხარება მეტია, ვიდრე სიხარული.

ისმენე. თვით ჩემშია სიხარული და მე მესმის, რომ იგი გულში მღერის. უბედურთა დატირებით მათი განსაცდელი არ მცირდება. შენ კი მხოლოდ იმით თანაუგრძნობ, ვინც იტანჯება, ხოლო სხვისი ბედნიერება გამწუხრებს.

ანტიგონე. ზოგის ბედნიერება მაშფოთებს, ისმენე.

ისმენე. ზოგის?

ანტიგონე. მაშჩემის; რაც უფრო მიყვარს, მით უფრო მაშინებს მისი ბედნიერება. ღმერთი დაივიწყა; მაგრამ მყარი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რაც ღმერთს ეყრდნობა.

ისმენე. ჩემი სიხარული კი ფრთიანია.

გადიან.

კრეონი, ოიდიპოსს. არა! ნახე, როგორ მეტყველებენ ეს ბავშვები? "ჩემი სიხარული ფრთიანია..." დასამახსოვრებელია. რაც შეეხება ანტიგონეს, თითქოს არაფერია და ძალიან ღრმია, რაც თქვა. სწორედ ეგ უნდა მეთქვა შენთვის, თუმცა არ ვიცოდი, როგორ უნდა მივდგომოდი.

ოიდიპოსი. მაინც რა?

კრეონი. აი ეს! რომ შენს ბედნიერებას მყარი იერი არ გააჩნია. ახლა შენს ვაჟებს მოვუსმინოთ.

შემოდან ეტეოკლესი და პოლინიკესი.

ეტეოკლესი. არსებითად, რას ვეძებთ წიგნებში? ყოველთვის, მეტ-ნაკლებად, ნებართვებს. ისიც კი, ვისაც წესრიგი უყვარს, პატივს სცემს დადგენილ რამეებს, რომელთაც ტირენისაი უწოდებს "მართლმორაზროვნეთ", ისინიც მანდ ეძებენ ნებართვას შევანროვნ, დაჩაგრონ, დაზაფრონ თავიანთი მეზობლები. რასაც ისინი ეძებენ, ესაა აპოფთეგმები⁵, თეორიები, რომლებიც სინდისს დაუმშვიდებს და საპართალს მათ მხარეს გადაიყვანს.

პოლინიკესი. ხოლო ჩვენ, "ცრუმორაზროვნენი" მათში ვეძებთ იმის ნებართვას, რასაც ჩვეულება, წესიერება, შემაშინებელი კანონი გვასწავლის, რომ არ ჩავიდინოთ.

ეტეოკლესი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაუშვებლის ნებართვას.

პოლინიკესი. დიახ... რაღაც ამგვარად.

ეტეოკლესი. როგორც, მაგალითად, მე ვეძებ ფრაზას, რომელიც ნებას დამრთავს, ისმენესთან დავნევე.

კრეონი, ნახევარი ხმით, ოიდიპოსს. ონავარი!

პოლინიკესი. შენს დასთან?

ეტეოკლესი. ჩვენს დასთან... და რაო?

პოლინიკესი. თუ იპოვი... მითხარი.

კრეონი. ორი ონავარი.

ოიდიპოსი, კრეონს. ნადი.

კრეონი გადის.

ეტეოკლესი. თუ ვიპოვი რას?

პოლინიკესი. მაგ ნებართვას. თუმცა არის სხვა, ნაკლებად კერძო, რომელიც შეგიძლია იოლად იპოვო. გვერდი აუარო ნებართვას.

ეტეოკლესი. ო, ეს, მე არც ველოდი, რომ წიგნებში ვიპოვიდი, რომ...

პოლინიკესი. ...მას დაუფლებოდი?

ეტეოკლესი. დიახაც! და თუ ახლა რამეს ვეძებ, ეს უფრო მისთვისაა...

პოლინიკესი. ისმენესათვის?

ეტეოკლესი. დიახ, ისმენესათვის; პირადად მე არ მაღარდება.

პოლინიკესი. და თუ მე მუშტს გხედექვ ყბაში, პირადად, გადარდებს?

ეტეოკლესი. ერთი მოსინჯე... ეჭვიანო შენ! აქამდე თითქოს ყველაფერს ვიყოფდით!.. მაშ, ტყუილად გელაპარაკე?. თანაც, არა! სულელი; ტყუილია. ეს შენს გასაბრაზებლად ვთქვი.

პოლინიკესი. დაიფიცე, რომ შენსა და ისმენეს შორის არაფერია.

ეტეოკლესი. ჯერჯერობით, არა; თავს ვიკავებ.

პოლინიკესი. ჩემზე ნაკლებად.

ეტეოკლესი. მე რომ არ მელაპარაკა, შენ აზრადც არ მოგივიდოდა.

პოლინიკესი. ესე იგი, არ მეცოდინებოდა, რომ ვფიქრობდი. ძალიან ბევრ რამეზე ვფიქრობთ ისე, რომ არ ვიცით.

ეტეოკლესი. ამისგან შედეგება ჩვენი სიზმრები.

პოლინიკესი. შენი თავისთვის არასოდეს გიკითხავს, სანამდე შეიძლება მივიდეს ფიქრი? ჩემს უკანასკნელ ოღამში მე იგი შევადარე დრაკონს, ხშირად ჩვენ მის მხოლოდ ტანსა და კუდას ვხედავთ, რქაც წარსულთანაა დაკავშირებული; რომელიღაც სფინქსი ჩემში მოძრაობს უხილავი სიფაით, ყველაფერს ყნოსავს, ყველაფერს ჩაისუნთქავს, ყველაფერზე მიმართავს თავის ცნობისმოყვარეობას. დანარჩენი მას მიჰყვება, როგორც შუშქლია.

ეტეოკლესი. ამ დრაკონს მე ვუსწოდებ საუკუნის ბოროტებას. ჩემში ვგრძნობ მის უსასწულო დაკითხვას. იგი მკენს და მნთქავს მე თავისი შეკითხვებით.

პოლინიკესი. მე ვისხნებ დრაკონს, რომელიც კადმოსმა დაეპირცხა. ამბობენ, რომ ჩვენ მისი კბილებიდან ვიპოვებ.

ეტეოკლესი. ამისი გჯერა, პოლინიკეს? კიდევ ჰყვებიან, რომ სემელე, კადმოსის ასული და მოკვდავი, მუცლით ატარებდა ღმერთ ბაკქოსს. ცივი-

5 აპოფთეგმა (ბერძ. ἀποφθεγμα) - სხარტი გამონათქვამი.



ლოზაციის დღევანდელ, განვითარებულ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც ჩვენმა მამამ მოკლა უკანასკნელი სვინქსი, ურჩხულები და ღმერთები აღარ არიან ჰაერსა და სოფლებში; ისინი ჩვენშია.

პოლინიკსი. კადმოსი, ლოკოსი, ამფიონი, რომელთაც ვუმადლით დამინერლობას, რამაც დააფიქსირა აზრი... აჰ! რა ბებრად მეჩვენება კაცობრიობა და რა შორსაა ეს ყველაფერი ჩვენგან! ვფიქრობ იმ დროზე, როდესაც თვით სიტყვაც არ იყო ჯერ აღმოჩენილი.

ეტეოკლესი. ტირესიას გვასწავლის, რომ სიტყვა ადამიანებს ღმერთებისგან მიეცა.

პოლინიკსი. მე უფრო გვირებზე ვფიქრობ, ვიდრე ღმერთებზე.

ოიდიპოსი გამოდის შვილებთან.

ოიდიპოსი. სწორია! თქვენში ჩემს შვილებს ცნობ. თქვენ რომ გისმენდით (ღიას, ყურის გიგდებდით), თავს ვუსაყვედურებდი, რომ ნაკლებ ურთიერთობა მქონდა თქვენთან; მაგრამ მანამდე მინდა გითხრა... ჩემო პატარებო, პატივი ეცით თქვენს დებს. რაც მეტისმეტად ახლოსაა, არასოდეს არაა სასარგებლო დასაყრბი. რომ გაიზარდო, მზერა უფრო შორს უნდა მიმართო. და კიდევ, მეტისმეტად ბევრს ნუ გაიხივებე უკან. თავი დაირწმუნეთ, რომ კაცობრიობა უქვეყნელად უფრო შორსაა მიზნისაგან, ვიდრე ჩვენ ამის წარმოდგენა შეგვიძლია, რაც შეეხება საწყის წერტილს, მას ჩვენ უკვე ვეღარც ვარჩევთ.

ეტეოკლესი. მიზანი... რა შეიძლება იყოს მიზანი?

ოიდიპოსი. რაც უნდა იყოს, ჩვენ წინაა. მე წარმოვიდგენ უფრო გვიანდელ დედამიწას, საესეს განთავისუფლებულ კაცობრიობით, რომელიც ჩვენს ცივილიზაციას ისევე უყურებს, როგორც ჩვენ ვუყურებთ კაცობრიობას მისი ნელი გზის დასაწყისში.

მე დავამარცხე სვინქსი, მაგრამ არა იმიტომ, რომ თქვენ დაისვენით. დრაკონი, რომელზედაც შენ ლაპარაკობ, ეტეოკლეს, ჰვავს დრაკონს, რომელიც თებეს კარიბჭესთან მელოდა, რომელზედაც გამარჯვებულს უნდა შემედგა ფეხი. ტირესიასმა თავი მოგვაბეზრა თავისი მისტიციზმითა და მორალით. მე ამას ყველაფერს პოლიბოსთან მასწავლიდნენ... ტირესიასს არასოდეს არაფერი არ გამოუგონებია და არ ესმის იმათ, ვინც ეძებს და იგონებს. რაც უნდა შთაგონებული იყოს ღმერთით, გამოცხადებითა და მისი ფრინველებით, მას არ გაუცია პასუხი გამოცანისათვის. მე მივხვდი, ერთადერთი მე მივხვდი, რომ საიდუმლო სიტყვა, რომელიც სვინქსისგან გვიცავდა, იყო: ადამიანი. რა თქმა უნდა, საჭირო აღმოჩნდა მცირეოდენი ვაჟკაცობა, რომ წარმოეთქვა ეს სიტყვა; მაგრამ მე იგი მომზადებული მქონდა მანამ, სანამ გავიგონებდი გამოცანას და ჩემი ძალა ის იყო, რომ მე არ დავუშვებდი სხვა პასუხს, როგორიც უნდა ყოფილიყო კითხვა.

რადგან, გამიგეთ, ჩემო პატარებო, ყველა ჩვენგანი, სიყმნაზელებში, თავისი გზის დასაწყისში ხვდება ურჩხულს, რომელიც უსვამს გამოცანას, რამაც იგი უნდა შეაფერხოს. ყველა ჩვენგანს, ჩემო შვილებო, ჰვავს თავისი სვინქსი, რომელიც სვამს განსხვავებულ კითხვებს, მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ პასუხი ყოველთვის არის ერთი და იგივე განსხვავებულ შეკითხვებზე; და პასუხი არის უნიკალური, ესაა: ადამიანი; და ეს ადამიანი ყველა ჩვენგანისთვის არის: მე.

შემოდის ტირესიასი.

ტირესიასი. ესაა შენი სიბრძნის ბოლო სიტყვა, იოდიპოს? აქ მოგიყვანა შენმა ცოდნამ?

ოიდიპოსი. არა, აქედან იწყება, პირიქით. ეს მისი პირველი სიტყვაა.

ტირესიასი. შემდეგი სიტყვები?

ოიდიპოსი. ჩემი ვაჟები მოძებნიან მათ.

ტირესიასი. ისინი მათ ვერ იპოვიან, როგორც შენ ვერ იპოვე.

ოიდიპოსი, გვერდზე. ეს კიდევ უფრო დამძლეულია, ვიდრე სფინქსი. (თავის ვაჟებს). დაგვტოვეთ.

ეტოკლესი და პოლინიკესი ვადიან.

ტირესიასი. დიახ, შენ სთხოვ შვილებს, მიგატოვონ, როცა არაფერი გაქვს მათთვის სათქმელი და შენი მეცნიერება უძლურია. შენ შეგიძლია მხოლოდ სიამაყე ასწავლო მათ. ყველა მეცნიერება, რომელიც მომდინარეობს ადამიანისგან და არა ღმერთისგან, არაფერი არ ღირს.

ოიდიპოსი. დიდხანს მეგონა, რომ ღმერთი მიმძღოდა.

ტირესიასი. ეს ღმერთი შენ თვითონ იყავი; დიახ, შენ თვითონ გაიღმერთე თავი.

ოიდიპოსი. ღმერთი, რომელზედაც მიმანიშნებ, რომ მის გარეშეც შემეძლო, გამეძლო.

ტირესიასი. ამ ყალბი ღმერთის გარეშე კი, შეგეძლო, მაგრამ ჭეშმარიტი ღმერთის გარეშე არა, იმ ღმერთისა, რომლის აღიარება არ გინდა, მაგრამ რომელიც ხედავს ყველა ნაბიჯს, ყველა საიდუმლო აზრს, ღმერთისა, რომელიც ის გიცნობს, როგორც შენ არ იცნობ საკუთარ თავს.

ოიდიპოსი. საიდან მოიტანე, რომ მე ჩემ თავს არ ვიცნობ?

ტირესიასი. იქიდან, რომ თავი ბედნიერი გგონია.

ოიდიპოსი. რატომ არ უნდა მეგონოს, თუკი ბედნიერი ვარ?

ტირესიასი. ავადმყოფს, რომელსაც თავი ჯანმრთელი ჰგონია, გამოჯანმრთელების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

ოიდიპოსი. მაშ, შენ მიგაჩნია, რომ მე ავად ვარ?

ტირესიასი. გაცილებით უფრო მეტად ხარ ავად, ვიდრე ეს წარმოგიდგებია. **ოიდიპოს,** შენ გგონია, რომ ღმერთი მოიცილევ, თუმცა არც იცი, ვინ ხარ. ვისურვებდი, გესწავლა თავის დანახვა.

ოიდიპოსი. შენ რომ გისმინო, გამოდის, რომ ჩვენ ორში ბრმა მე ვარ, შენ კი არა.

ტირესიასი. თუ ჩემი სხეულის თვალები დახშულია, იმისთვის, რომ სულის თვალები უკეთ გაიღოს.

ოიდიპოსი. ამ სულის თვალებით რას ხედავ?

ტირესიასი. შენს გაჭირვებას; მაგრამ მიპასუხე: რის შემდეგ შეწყვიტე ღმერთის პატივისცემა?

ოიდიპოსი. მას შემდეგ, რაც შეწყვიტე მის საკურთხევლებთან მიახლოება.

ტირესიასი. რა თქმა უნდა, რელიგიური პრაქტიკის გარეშე ჩვენი რწმენა ქრება; მაგრამ თუ რწმენა გაქონდა, რატომ შეწყვიტე საკურთხევლებთან მიახლოება?

ოიდიპოსი. რადგან სუფთა არ მქონდა ხელეობი.

ტირესიასი. რა დანაშაულით დასვარე ისინი?

ოიდიპოსი. გზაზე ღმერთიდან, რომელსაც რჩევა ვკითხვ, სფინქსამდე, რომელსაც შევებრძოლე, მკვლელობა ჩავიდინე.

ტირესიასი. და ვინ მოკალი?

ოიდიპოსი. უცნობი, რომელმაც თავისი ეტლით გზა გადამიღობა.

ტირესიასი. გზა, რომელსაც ღმერთთან მიჰყავ-

დი. გზა, რომელზედაც სფინქსს შეხვები, იგივე არაა; მაგრამ შენ იცოდი, რომ ღმერთი არ უპასუხებს მას, ვისაც ხელეობი დასვრილი აქვს.

ოიდიპოსი. სწორია, ამიტომ გადაწყვიტე არ მკითხა და წავედი სხვა გზით, რომელმაც სფინქსთან მიმიყვანა.

ტირესიასი. რა გინდოდა, გეკითხა ღმერთისთვის?

ოიდიპოსი. უნდა გამეგო, ვისი შვილი ვარ. შემდეგ გადაწყვიტე, არ მცოდნოდა.

ტირესიასი. მკვლელობის შემდეგ.

ოიდიპოსი. მე უფერად მივხვდი, რომ ეს არცოდნა ძალად უნდა გადამეცქია.

ტირესიასი. მე კიდევ მეგონა, რომ შენ სულ გინდოდა, ყველაფერი გცოდნოდა... სანამ გადაწყვიტე, უღმრთელობას მისცემოდი, ამისხენი, **ოიდიპოს:** რა კითხვა გინდოდა, დაგესვა ღმერთისთვის? რატომ იყო ეს შენითვის ასე მნიშვნელოვანი?

ოიდიპოსი. იმიტომ, რომ ორაკულმა იწინასწარმეტყველა, რომ მე უნდა... ტირესიას, შენ მე თავს მამბებრე და მეტს აღარ გიპასუხებ.

ტირესიასი. ორაკულმა ასევე იწინასწარმეტყველა, რომ ლაიოსს მოკლავდა მისი ვაჟი. **ოიდიპოს,** ოიდიპოს, ნაპოვნი ბავშვი! უღმერთო მონარქი! შენი წარსულის არცოდნა გაძლევს ამ თავდაჯერებულობას. შენი ბედნიერება ბრმაა. გაუხილე თვალი შენს სასწინარევეთას. ღმერთმა წაგართვა უფლება, ბედნიერი იყო.

ტირესიასი ვადის.

ოიდიპოსი. წაი! წაი! თითქოს ბედნიერება იყოს ის, რასაც ოდესმე ვეძებდი. ბედნიერებას გამოვექეცი მაშინ პოლიბოსთან, ოცი წლის ვიყავი, კუნთები დაძაბულია და მუშტები შეკრული მქონდა. ვინ იტყვის, რა ლამაზი იყო განათიადი პარნასოსის მთაზე, როდესაც მე ცვრიან ბალახზე მივისწრაფოდი, ველოდი წინასწარმეტყველებას, არაფერი არ მქონდა, ძალის გარდა, მაგრამ მდიდარი ვიყავი ჩემი არსების შესაძლებლობებით და ჯერაც არ ვიცოდი, ვინ ვარ მე. დიახ, ღმერთს პასუხისაგან დამოკიდებული იყო მაშინ ჩემი ბედისწერა და მე მას სიამოვნებით ვემორჩილებოდი. მაგრამ აქ არის რაღაც, რასაც ვერაფრით ვერ ვხედავდი. მართალია, რომ ამ წუთამდე, ამაზე ბევრი არ მიფიქრია... რომ დავიქრდე უნდა გაჩერებ. მაშინ კი მე მქრქარებოდა მომედება... როდესაც მე მივატოვე გზა, რომელსაც ღმერთისკენ მივავდი, მართლა იმიტომ მოხდა ეს, რომ ხელეობი არ მქონდა სუფთა? მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი. დღეს მეჩვენება, რომ სწორედ ჩემმა დანაშაულმა გამიკვალა გზა სფინქსისკენ. რა უნდა ეძებო ღმერთთან? პასუხები. მე საკუთარ თავს ვგრძნობდი ჩემთვის ჯერაც უცნობი კითხვის პასუხად. ეს იყო სფინქსის შეკითხვა. მე, გამჭირაბმა, იგი დავამარცხე. მაგრამ შემდეგ ჩემთვის ყველაფერი არ დაბნელდა? მაგრამ შემდეგ, მაგრამ შემდეგ... რა ჩაიღვინე, **ოიდიპოს?** გახევებულს ჯილდოსაგან, ოცი წელია, მომიხვ. მაგრამ ახლა, საბოლოოდ, ჩემში მესმის, რისი ახალი ურჩხული იძრა. დიდი ბედნიერა მელის, საღამოს ჩრდილებში შეყუყული. **ოიდიპოს,** სიმშვიდის ხანამ გაიარა. გამოფხიზლდი შენი ბედნიერებისგან.

მესამე მოქმედება

გვედრებით, ნუ მიყურებთ როგორც უკანონოს. სოფოკლე, "ოიდიპოსი კოლონოსში", სტრ. 141.

ოიდიპოსი, იოკასტეს სამეფო მანტიას ჩაჭიდებულო. არა, არა! მინდა, ვიცოდე! ნუ გამიზიზიხარ აჩრდილოვით. შენთან არ დამიმთავრება. მთელ სიმართლეს, რომელიც შენში შეიძლება ცოცხლობდეს, სანამ არ გაამიხმელ, მე შენ არ გაგიშვებ. ყველაფერ ამაში არის რაღაც არაცხადი, რაც უნდა გავიგო ნებისმიერ ფასად. ჯერ ერთი, როდესაც მე თებეში შემოვედი სფინქსზე გამარჯვების შემდეგ, შენ უკვე იცოდი ლაიოსის მკვლელობის ამბავი?

იოკასტე, როგორ შევპირდებოდი ტახტს სფინქსზე გამარჯვებულს, ჩემი ქვრივობის ამბავი თუ არ მეცოდინებოდა?

ოიდიპოსი. თებეს მეფე რომ გამხდარიყავი, საკმარისი არ იყო, სფინქსისთვის გეპასუხა. საჭირო იყო მეფის მკვლელობაც.

იოკასტე. რაში სდებ საკუთარ თავს ბრალს?

ოიდიპოსი. ო, არა; ო, არა. ძალიან სწრაფად მიდიხარ. მე უბრალოდ, მინდოდა მეთქვა: საჭირო იყო, ლაიოსი მომიკვდარიყო.

იოკასტე. მომისმინე. არ მახსოვს, რა მოხდა და არც რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ... კრეონს უნდა ახსოვდეს. ის გეტყვის...

ოიდიპოსი. რა საქმე მაქვს კრეონთან? იცი, რა მითხრა უკვე? რომ მე უნდა დავაჯილდოვო მკვლელი და არ უნდა დავსაჯო: მისი დანაშაულის გარეშე ხომ მეფე ვერ გავხდებოდი. მაგრამ მეფის სიკვდილზე, მითხარი, იოკასტე, იცოდი რამე?

იოკასტე. რა გინდა, ჩემო მეგობარო, როგორ უნდა მახსოვდეს ეს ამბავი? რატომ ინვალებ თავს? მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი, დაგინახე თუ არა მაშინ, შენი სურვილი გამიჩნდა.

ოიდიპოსი. ეს ტახტი და სარეცელი ხელში რომ ჩამგედო, ჯერ უნდა გათავისუფლებულიყო. მხოლოდ მეფის მკვლელობამ ჩამაგდებინა მე ისინი ხელთ. მაგრამ შენ ჯერ არ იცოდი, რომ თავისუფალი იყავი!..

იოკასტე. ჩემო მეგობარო, ჩემო მეგობარო, ნუ აქცევ ყურადღებას ამ საკითხს. არც ერთ ისტორიკოსს დღემდე ეს არ ალუნიწყნავს.

ოიდიპოსი. მაშინ მე ყველაფერს მიხვდები. შენ იცოდი... მეფის მკვლელო...

იოკასტე. გაჩუდი!

ოიდიპოსი. მკვლელი, ეს მე ვარ.

იოკასტე. ჩუმიად ილაპარაკე.

ოიდიპოსი. როდესაც სფინქსისკენ მივინვედი, ადამიანის სისხლი არ მქონდა შემშრალი.

იოკასტე. გაჩერდი!

ოიდიპოსი. ჩემი გაჩერება უნდოდა. მისმა ეტლმა გზა გადამიღობა. ჩხუბი დავუწყე, მოუთხოვე, გავეტარებინე და მოვკალი. ეს უსუნობი გვირგვინს არ ატარებდა, მაგრამ ეს იყო...

იოკასტე. რად გინდა, იცოდე?

ოიდიპოსი. ძალიან მჭირდება.

იოკასტე. შენი ბედნიერება არ გეცოდება?

ოიდიპოსი. არაფერი არ მეცოდება. ბედნიერე-

ბა, აგებული შეცდომასა და არცოდნაზე, მე არ მჭირდება. ეს ხალხისთვისაა კარგი! რაც შემეხება მე, მე არ მჭირდება ბედნიერება. მორჩა! ამ მოოქრული ჯადოქრობის ღრუბელი იფანტება. შეგიძლია შემოხვიდე, ტირისიას.

კრეონს შემოჰყავს ტირისიასი.

ტირისიასი. მე გჭირდები?

ოიდიპოსი. ჯერ არა. ჯერ მინდა ჩავიდე სულ ქვემოთ, უფსკრულის ძირას. ეს მეფე, მე რომ მოვკალი, მითხარი... მაგრამ არა, არ თქვა. ყველაფერს მიხვდები. მე მისი შვილი ვარ.

კრეონი. აპ! რას ამბობ!.. როგორ! რა მესმის? ჩემი და დედამისია? იოდიპოსი, რომელსაც დავუახლოვდი! ამაზე მეტი საზიზღრობა რა წარმოვიდგინო? აღარ ვიცი, ჩემი სიძეა თუ ჩემი დისშვილი!

ოიდიპოსი. გინდა თავი მომახეზო ნათესაობის პრობლემებით? თუ ჩემი ვაყები ჩემი ძმებიც არიან, მე ისინი კიდევ უფრო მეყვარებიან.

კრეონი. ნება მომეცე, გრძნობათა ეს აღრევა მეტისმეტად მძიმედ მივიჩნიო. ამას გარდა, როგორც ბიძას, გარკვეული პატივისცემა მეკუთვნის.

ოიდიპოსი. ო, სამინდელი ჯილდო გამოცნანისთვის! როგორ? აი, სფინქსის მეორე მხარეს რა იმალებოდა!.. მე კიდევ მიხაროდა, მშობლებს რომ არ ვიცნობდი!.. ამის გამო დედა შევირთე ცოლად, ვაი! ვაი! და მასთან ერთად მთელი ჩემი წარსული. ახლა ვხვდები, რატომ ეძინა ჩემს ღირსებას. ამაოდ მომიხიზობდა მომავალი. იოკასტე უკან მექაჩებოდა... იოკასტე, რომელიც ამაოდ ცდილობდა აეცილებინა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო, შენ, რომელიც მე მიყვარდი, როგორც მეუღლეს და, ისე რომ არ ვიცოდი, როგორც შვილს... დროა. დამტოვე! ეწყვეტ კვანძს... და თქვენი, ბავშვებო, ჩემი ძილის თანამგზავრებო, ჩემი ასრულებული სურვილების ამღვრეულობა, თქვენს გარეშე უნდა შევიდე ჩემს საღამომში, რომ ადვანსურული ჩემი ბედისწერა.

ტირისიასი. იოდიპოს, შეცდომისა და ცოდვის შვილი, ხელახლა იშვი! აღორძინებისთვის გაკლდა ტანჯვა. მოინანიე! მიდი ღმერთთან, რომელიც გელის. შენი ცოდვა მოგტყევა.

ოიდიპოსი. დანაშაული დაკისრებული ჩემს გზაზე ჩასაფრებელი ღმერთისგან. სანამ დაგინობდები, მახე უკვე გამართული იყო, რომ მე მასში გავბმულიყავი. რადგან ან შენი ორაკული ცრუობდა ან მე თავის გადარჩენა არ შემეძლო. გამოჭერილი ვიყავი.

ტირისიასი. გამოჭერილი ღმერთის მიერ, რომელსაც ერთადერთს შეუძლია, საკუთარ თავს შეგარიკოს და ცოდვითავე გაგათავისუფლოს. სხვა გამოსავალი მან აღარ დაგიბოჯა. არ იქნებოდა კარგი, ხალხი გავფრთხილებინა? ისინი რომ უბედურებისგან გეხსნა, შენ თვითონ ალუთქვი დამანაშაული სასჯელი, უფლის მოთხოვნის მიხედვით.

ოიდიპოსი. ნაღი! გააფრთხილე, ვინც გინდა. მინდა, ყველამ გაიგოს ყველაფერი. ჩემი შვილებიც მოიყვანე. მაგრამ მათ თვითონ აუხსენი, ყველას აუხსენი, მე ვერ შევძლებ, რომ ვუთხრა, ეს დანაშაული, რომელსაც არ ვიცი, რა უნდა დავარქვა.

ტირისიასი ვადის.

იოკასტი. აჰ! რატომ უნდა გავამძლავროთ საყოველთაოდ, რაც შეიძლება ჩვენ შორის დარჩეს? არავის არაფრის ეჭვი არ ექნება. დრო კიდევ გვაქვს. დანაშაული დავინებებოდა. მას ხელი არ შეუშლია, მან შესაძლებელი გახადა შენი ბედნიერება. არაფერი შეცვლილა.

ოიდიპოსი. როგორ! არაფერი არ შეცვლილა? ხომ ხვდები, ან ვერაფერი ვერ დააბრუნებს ადრინდელ უცოდველ მდგომარეობას, სანამ თვალში სინათლე მიდგას? ჯერ ერთი, გამოდის, რომ მეფის შვილი ვყოფილვარ, თუმცა არ ვიცოდი. არანაირი საჭიროება არ მქონდა მკვლელობისა, რომ მეფე გავმხდარიყავი, უნდა მომეთმინა მხოლოდ.

იოკასტი. ღმერთებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს. **ოიდიპოსი.** ამგვარად, რაც ექვნი, არ შემძლო, არ მექნა. დიანაც, მეგონა, რომ ღმერთი მიმიძღოდა ნინი! ამ რწმენაზე ავაგე ჩემი ბედნიერების რწმენება. მაგრამ მალე მისი რწმენაც შევწყვიტე, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე ვყოფილიყავი დამოკიდებული. მაგრამ ახლა ჩემს მოქმედებაში საკუთარ თავს ვერ ვცნობ. და არის ერთი, სისხლიანი, ჩემ მიერ ჩადენილი, რომლის უარყოფას ვისურვებდი, რადგან მისი იერი შეიცვალა... ან, სულ ცოტა, ჩემი მზერა შეიცვალა; და ყველაფერი სხვაგვარად მეჩვენება.

იოკასტი. მაშინ შენ ღმერთმა დაგაბრმავა.

ოიდიპოსი. ღმერთო, შენ ამბობ. საკმაოდ ძვირად ვგრძნობდი თავს, თვით ღმერთისთვისაც რომ გამენილა წინააღმდეგობა. მინდოდა, მისთვის ზურგი შემეძვრა, როდესაც სფინქსისკენ მივემართებოდი. ეს ახლა უკვე მესმის. მე თანახმა ვიყავი, დავმორჩილებოდი ღმერთს, სანამ მას დედებისკენ მივყავდი; მაგრამ არა დანაშაულისკენ, რომლის საშინელებებს მე მიმალავდა... ღმერთის ღაწრული ღალატია, ამის ატანა შეუძლებელია. და ახლა, განა ისევ ტყვე არა ვარ? ორაკულმა იწინასწარმეტყველა, რა უნდა მექნა ახლა? ისევ რჩევა უნდა ვკითხო? ნეტავ, ტირისიას, რას იტყვიან შენი ფრინველები?.. აჰ! მინდოდა თავი დამეხსნა ამ ღმერთისგან, რომელიც შემომხვია. არ ვიცი, რაღაც გმორული და ზეადამიანური მანამებს. მე მინდა გამოვიგონო რაღაც ახალი ტკივილი. გამოვიგონო რაღაც გიჟური უესტი, რომელიც ყველას გაგაოგნებთ, რომელიც მე თვითონაც გამაოგნებს და ღმერთებსაც.

ოიდიპოსი ვადის.

იოკასტი. გააჰყევი მას, კრეონ. არ მიატოვო ერთი ნამითაც.

კრეონი ვადის.

იოკასტი. ო, უბედურო ოიდიპოს! რად გინდოდა, რომ გცოდნოდა? მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, რომ შემეშალა, გაეფხრინა საფარი, რომელიც ჩვენს ბედნიერებას იცავდა. შენგან უკუგდებოდა, ახლა საზარლად გამომვლებოდა, როგორ უნდა გეჩვენოთ შენ, ჩვენს შვილებსა და ხალხს, რომლის მოახლოებასაც ვგრძნობ... ოჰ! ო, როგორ მინდოდა, უკან დავბრუნებულიყავი და მიხედარი მოუმხდარად მექცია, დამეჩინებოდა სამარცხვინო სარცეული და მიცვალებულთა წინაშე, რომლებიც მელოდებიან, ვყოფილიყავი მხოლოდ ლაიოსის მეუღ-

ლე, რომელითაც დროა, ნავიდე...

ორი ნახევარგუნდი შემოდის. იოკასტი ვადის.

ნახევარგუნდები. - სად ნავიდა დედოფალი? - იმალება, ღმერთმანი! - სად არის ოიდიპოსი? - იმალება ისიც. რცხვენია. - დედსთან დანვე და ბავშვები გააჩინო... - ეს ყველაფერი ოჯახის ისტორიაა; ეს ჩვენ არ გვაქვება. - ღმერთებს ენება და ისინი მისიხანებენ. - და ბოლოს, ლაიოსის მკვლელობა, რომელიც ოიდიპოსმა, მისმა შვილმა, ჩაიდინა. - რომელზე შურისძიებასაც ოიდიპოსი თავად დაგვიბრდა. - შეიძლება ითქვას, რომ შავ დღეში ჩაიგდო თავი. - მსაჯული საკუთარ თავს უნდა მოუბრუნდეს და საკუთარ თავზე მითუითოს, როგორც მსხვერპლზე. - სწორია, ოდნავ მაინც რომ დამცხრალიყვნენ ღმერთები, სულ ცოტა, მეფე იყო საჭირო, იმდენად საშინელ დღეში ვართ. - სხვათა შორის, განა უბედური არაა, რომ მევენ თავისი ხალხისთვის თავი განიროს? - დიან, თუ ეს მსხვერპლი ჩვენ უბედურებისაგან დაგვიხსნის.

ორივე ნახევარგუნდი ერთიანდება.

გუნდი. ოიდიპოს, რომელსაც თავი ბედნიერად მიგაჩნდა, მაგრამ სისასძალოს სარეცელზე იწევი, ნეტავ არასოდეს არ გვცნობოდი! შენ ჩვენ სფინქსისგან დაგვიხსენი, ეს მართალია; მაგრამ ღმერთებისადმი შენმა ზიზღმა ჩვენ უამრავი უბედურება მოგვიტანა, რომლებსაც შენი სიკეთე ვერ გამოიყოფიდა. ყველა ბედნიერება, ღმერთების გვერდის ავლით მოპოვებული, უსამართლოა და ადრე თუ გვიან ღმერთები საზღაურს მოითხოვენ. ეს აზრები ხმამაღლა გამოვთქვით, რადგან აი, მოდის ტირისიასი.

შემოდის ტირისიასი ოიდიპოსის ბავშვების თანხლებით.

ტირისიასი. ბავშვებო, თქვენ იცით, სად იპოვოთ თავშესაფარი, როდესაც მამისეული დაცვა აღარ გექნებათ. ეს დაჩქარებს ცხოვრებაში თქვენს გამოსვლას. ოიდიპოსმა იკისრა პირობა, რომ შურს იძიებდა ლაიოსის სიკვდილის გამო.

ეტეოკლესი. მას აღარ შეუძლია, თებეს ტახტი დაიკაოს.

პოლინიკესი. მას არ აქვს უფლება, ქვეყანაში დარჩეს.

ტირისიასი. ნუ იტყვიან სასტიკი სიტყვებს, რასაც მოისმენენ ღმერთები და თქვენ წინააღმდეგ წარმართავენ.

ეტეოკლესი. ჩვენ მამის მაგალითს მივბაძავთ.

პოლინიკესი. მაგრამ ტახტი რომ ხელში ჩავიგდოთ, ამისთვის მამის მკვლელობა არ გვჭირდება.

ანტიგონე. მამამ თავისი ცოლდა უნებურად ჩაიდინა.

ეტეოკლე. ჩვენ არ მოგვინევს ჩვენი ცოდვის გამოსყიდვა.

ყვირილის ხმა ისმის.

გუნდი. რა ყვირილის ხმაა?

ისმენე. გემინია.

ანტიგონე. ჩემთან მოდ.

კრონი გამოდის სასახლიდან.

კრონი. სასჯელის საშინელებამ გადაფარა დანაშაული. იოკასტე, დედათქვენი, აღარაა. სანამ ოიდიპოსს მივყვებოდი, თავი მოიკლა. "ის, რაც ჩემს თვალებს არ უნდა ეხლა (როგორც ოიდიპოსმა თქვა) ვი რომ დავინახე". ჩემმა უბედურმა დამ თავი ჩამოიხრჩო. და შემდეგ, იმავე წამს, როდესაც მის გადარჩენას ვცდილობდი, ოიდიპოსი წინ გაიჭრა, აიღო საბეჭო მანტია, გახსნა ოქროს გულსამაგრები და თვალებში ჩაარჭო, ასე რომ, სითხისა და სისხლის შუფები მეც მომესხა და მის სახეს დაედინა. ყვირილი გესმოდათ? ეს ოიდიპოსი ყვიროდა ჯერ საშინელუბისგან და ბოლოს ტკივილისგან.

ტირესიასი. ხმა აღარ ისმის.

კრონი. ალბათ გული თუ წაუვიდა.,

გუნდი. არა. აგერაა. ბარბანტებს.

ანტიგონე, *მიატოვებს ისმენებს და მივარდება ოიდიპოსს.* მამა!..

ოიდიპოსი. ეს ანტიგონეა, ვის თმასაც ახლა ვეხები? შენ ხარ ჩემი და და ასული.

ანტიგონე. ნუ მახსენებ ამ სირცხვილს! მე არავინ სხვა არ ვარ, მხოლოდ თქვენი შვილი.

ოიდიპოსი. შენ ჩემთვის არასდროს ტყუილი არ გითქვამს, უთხარი მას, ვინც ველარ ხედავს, სად არის აქ ტირესიასი.

ანტიგონე. აქ, თქვენ წინაშე, მამაჩემო.

ოიდიპოსი. ისე ახლოს, რომ ჩემს ხმას გაიგონებს?

ტირესიასი. დიახ, მე მესმის შენი. ჩემთან ლაპარაკი გსურდა?

ოიდიპოსი. ეს იყო, რაც გინდოდა, ტირესიას? ჩემი სინათლე შეგპურდა და ლამემი მიმოყვანე? შენსავით ახლა მეც დღეთაებრივ წყვიდად ვუმზერ. მე დავსაჯე ეს თვალები, რომლებმაც ვერ შეძლეს ჩემი გაფრთხილება. დღეიდან ვერ შეძლებ ბრმის უპირატესობით ჩემს დაჩაგვრას.

ტირესიასი. ამრიგად, სიამაყემ გაიძულა, თვალები დაგეთხარა. ღმერთი შენგან არ ელოდა ამ ახალ ცოდვას ძველი დანაშაულის გამოსასყიდად, არამედ მხოლოდ მონანიებას.

ოიდიპოსი. ახლა, როდესაც მშვიდად ვარ და ცხრება ტკივილი საკუთარი თავისადმი გაღიზიანებასთან ერთად, შემიძლია გეკამათო, ტირესიას. აღფრთოვანებული ვარ შენი წინადადებით, რომელიც მონანიებას მოითხოვს, როცა სწორედ შენ მიგაჩნია, რომ ღმერთებს მივყავართ და ბედის არჩევა ჩემს ხელთ არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ჩემი ეს მსხვერპლიც გათავალისწინებულია, ისე რომ, მე მასაც ვერ გავცეცივდი. სულ ერთია. სიამოვნებით ვწირავ თავს იმ წერტილამდე მივდი, რასაც ვერ გადავიდოდი, საკუთარ თავს რომ არ დავცემოდი.

კრონი. მე ძალიან მიხარია, ჩემო ძვირფასო ოიდიპოს, რომ შენი ტკივილი, ზოგადად, ასატანია, რადგან მორეც, ასევე მტკივნეული ამბავი უნდა გამცნო. მას შემდეგ, რაც მოხდა, რაც ხალხმა გაიგო დანაშაულის შესახებ, შენ თებუმი ველარ დარჩები.

გუნდი. გავცა ვითხოვთ, რომ შენ, ღვთის ნების მიხედვით, ჩვენათავისუფლო შენგან და ჩვენი უბედურებისგან.

კრონი. ეტიოკლესი და პოლინიკესი უკვე ტახ-

ტზე ოცნებობენ. თუკი ისინი მეტისმეტად ახალგაზრდები არიან, მე ისევ რევენტი ვიქნები.

ტირესიასი. ის, რომ შენმა ვაჟებმა შენი შეგონებებიდან სათანადო დასკვნა გააკეთეს, მგონი, ეს არ გაკვირვებს?

ოიდიპოსი. სიამოვნებით ვუტოვებ მათ, მათდა საუბედუროდ, დაუმსახურებელ და დაუპყრობელ სამეფოს. მაგრამ ჩემი მაგალითისგან მათ მხოლოდ ის აიღეს, რაც სიამოვნებად, - ნებართვა და ლიცენზია, საუკეთესოსა და რთულს თავი აარიდეს.

ანტიგონე. მამაჩემო, მე ვიცი, რომ თქვენ ყველა შესაძლებლისგან ყველაზე უფრო ღირსეულ გამოსავალს ნახავთ. ამიტომ მე თქვენ არ მივატოვებთ.

ტირესიასი. შენ უკვე ღმერთს ხარ შეპირებული, ამიტომ შენ თავს არ ელოდ.

ანტიგონე. არა, მე ჩემს პირობას არ დავარღვევ. შენგან განთავისუფლებული, ტირესიას, მე ღვთის ერთგული დავრჩები. ის კი არა, ასე მგონია, უკეთ მოვემსახურები მას, თუ მამას გავყვები და შენთან არ დავრჩები. დღემდე შენ მელაპარაკებოდი ღმერთზე, მაგრამ კიდევ უფრო ღვთისწიერად მოვუსმენ ახლა ჩემი გონებისა და ჩემი გულის შეგონებებს. მამა, დამადე ხელი მხარზე. მე არ მოვიხრები. შეგიძლია, დამეყრდნო. მე ეკლებს აგარადებ გზაზე. მითხარი, სად გინდა, რომ წავივდი.

ოიდიპოსი. არ ვიცი. პირდაპირ... დღეის იქით უსამშობლოდ, უოჯახოდ...

ისმენე. თქვენს ასეთ წასვლას რომ ვხედავ, ვწუხვარ... სამეფოიარო სამოსისთვის მინდა დრო და ცხენით დაგეწვიოთ.

ტირესიასი. სანამ გაუშვებთ ოიდიპოსს, ისმინეთ, რას მალწყებენ ღმერთები. დიდი დალოცვა ელის იმ მიწას, რომელშიც მისი თვლები აღმოჩნდება.

კრონი. კარგი, მოიცა!.. შენთვის ამკარად უკეთესია, დარჩე ჩვენთან. ყოველთვის შეიძლება რაღაცის მოხერხება.

ოიდიპოსი. მეტისმეტად გვიანაა, კრონი. ჩემმა სულმა უკვე დატოვა თებე და ყველა ძაფი, რაც წარსულთან მაკავშირებდა, განწყვეტილია. მე ვეფე აღარ ვარ; მე მხოლოდ უსახელო მოგზაური ვარ, რომელმაც უარი უთხრა ქონებას, დიდებასა და საკუთარ თავს.

გუნდი. დარჩი ჩვენთან, ოიდიპოს. შენზე კარგად იზრუნებენ, ნახავ. გაისხენე, რომ ოდესღაც დიდი სამსახური გავცივნი. თუ შენმა დანაშაულმა ღმერთები ჩვენზე განარისხა, შენ მათ სრულყოფილად შენი თავით გადაუხადე. იფიქრე შენს თებელებზე, შენს ხალხზე. რაში გადარდებს ასე, ვინც არც კი გიცნობს?

ოიდიპოსი. ვინც უნდა იყვნენ, ადამიანები არიან. ჩემი ტანჯვის ფასად ჩემთვის ტკბილია მათთვის ბედნიერების მოტანა.

ტირესიასი. მათი ბედნიერება კი არ უნდა ისურვო, არამედ მათი სხნა.

ოიდიპოსი. შენთვის მომინდვია ამის ხალხისთვის ახსნა. მშვიდობით! წამოდი, ჩემო გოგო. შენ ერთადერთი ხარ ჩემი შვილებიდან, რომელშიც მინდოდა, თავი დამენახა და რომელსაც ვენდობი. ანტიგონე, უშინდესო, მხოლოდ შენ შეგეძლება ამიერიდან ჩემი წაყვანა.

დავით გაბუნია

“საბას” დრამები



საუკეთესო
პიესა

პრემია

საბა 20



ხშირად ჰგონიათ, რომ ეგზუმრობთ დრამატურ-გები, როდესაც დრამატურგიას ლიტერატურის გერს ვეძახით. არა, მეგობრებო, ეს ძველი დება-ტია ლიტერატურის თეორიაში, არის თუ არა დრამა “ბოლომდე” ლიტერატურა, “წმინდა” ლიტერატურა და ა.შ. და არც ჩემი და არც თქვენი დაწყებული არაა ამ საკითხზე მსჯელობა. მთლად უარესს გეტყვით, არც დამთავრებულა და, ალბათ, ვერც დამთავრდება. ერთი რამ კი ცხადია, ვინც არ უნდა მოგატყუოთ ან როგორც არ უნდა მოგატყუოთ, დრამა არის ლიტერატურის გვარი, რომელსაც კონკრეტული დანიშნულება აქვს და ჰქონდა ყოველთვის - დადგმულიყო თეატრის სცენაზე და არა ფურცლიდან (თუ რაზედაც წერდნენ ან კანარავდნენ) ეკითხათ, როგორც რომანები, მოთხრობები, პოემები და ა.შ. ცხადია, ლიტერატურის ისტორიის მცოდნეები სასწრაფოდ შემოგვედავებინან, რომ არსებობს ე.წ. “საკითხავი” დრამებიც, მაგრამ აქ სწორედ რომ მნიშვნელოვანია ეს ნაწილაკი “ც”, კი, არსებობს ასეთებიც, მაგრამ დრამატურგიული ტექსტების ძალიან დიდი ნაწილი სწორედ სცენისთვის იწერებოდა და იწერება ახლაც. დღევანდლობაში კი, როცა დრამა, პირდაპირი გაგებით, მრავალსაუკუნოვანი ტრანსფორმაციები გამოიარა და თეატრის ცვლილებების კვალობაზე, ცხადია, ისიც იც-

ვლებოდა, ტექსტი, რომელიც დღეს თეატრისთვის იწერება, ათასგვარია, ზოგი არის დრამა, ზოგი - არა. ერთი სიტყვით, ლიტერატურა, თუ არ არის ბოლომდე ლიტერატურა, დრამა თეატრის გარეშე არ არსებობს. ამიტომ, დრამის განვითარება და მისი შეფასება/რეცეფციაც სათეატრო პროცესის განვითარებასა და შეფასებასთან ერთად ხდება ხოლმე, როგორც წესი, რაც მის “წმინდად ლიტერატურულ” შეფასებას, ცოტა არ იყოს, ართულებს.

ამ შესავალს მოვრჩეთ და საქმეზე გადავიდეთ, რთულ და სახიფათო საქმეზე - გავისწინოთ ნომინაცია წლის საუკეთესო დრამატურგია ლიტერატურული პრემია “საბას” ისტორიაში. ყველაზე მინიჭებულიც (არც მთლად სამართლიანად, მაგრამ ამაზე მოგვიანებით) და პრობლემურიც.

2003 წელს პირველი გამარჯვებული გახდა დათო ტურაშვილის პიესა “ორი კუნძული შავ ზღვაში”, რომელიც, როგორც ყველაფერ ახალს შეეფერება, კარგი ეგზურსისი უფროა, დრამატურგიაში ძალების მოსინჯვა ავტორისგან, რომელმაც მეტწილად დოკუმენტური პროზით გაითქვა სახელი. ალბათ, ტურაშვილის, როგორც აღიარებული ფიგურისთვის 2003 წელს ამ პრიზის გადაცემა სულ არ იყო მოულოდნელობა, კარგი იუმორი და სიუჟეტის მოულოდნელი შემოტ-

რილებები დრამატურგიას უყვარს და მაყურებელს/მკითხველს - მით უფრო. თან ტურაშვილია.

2004 წელს კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, დაიწყეთ ქართული თანამედროვე დრამატურგიის კანონის შექმნა. ვინ როგორადაც არ უნდა აღიქვამდეს ლამაზ ბუღაძის საზოგადოებრივ საქმიანობას, მის პოლიტიკურ პრეფერენციებსა თუ საჯარო გამოსვლებს, ლიტერატურული "უსინდისო" იქნება, მის ტალანტს თუ ვერ ან არ შეიმჩნევს (ხშირად ხდება ხოლმე). სხვათა შორის, ლამაზ ბუღაძე ერთადერთი ცოცხალი ქართველი დრამატურგია, რომლის ერთი პიესა მანაც დადგმულა ყველა (!) ქართულ თეატრში. იმ წლის ლაურეატა პიესა - "ნუგზარი და მფისტოფელი" ბუღაძის ერთ-ერთ საფირმო ტექსტად იქცა, დაოსებამდე სასაცილოა, როცა აკვირდები, თბილისელ ლუზერთან ბედის უკუღმართობით აღმოჩენილ მეფისტოფელს რა დღე დაადგება. ქართული სტერეოტიპების ასეთი დახვევაა, ორსამ რეპლიკაში ასე ზუსტად დაჭერილი პერსონაჟების ხასიათი და კიდევ ბევრი სხვა რამ - ბუღაძეს ერთმნიშვნელოვნად და უპირობოდ აქცევს უახლესი ქართული დრამატურგიის ჩემპიონად. სატირა ის სტიქიაა, რომელშიც ბუღაძე ყველაზე კარგად დაცურავს და უნდა ითქვას, რომ უამრავი უკან ადევნებული ავტორიც ჰყავს ამ გზაზე. უბრალო ეპიგონებებიც და კარგებიც.

2005 წლის გამარჯვებული გახდა ირაკლი სამსონაძის პიესა "ბებო მარიამი", პასტორალური მონათხრობი, მოხუცი სოფელი ქალის გულში ჩამსვდომი და სევდიანი ამბავი. საინტერესოა, რომ ეს პიესა სამსონაძე-დრამატურგის ტექსტს ნაკლებად ჰგავს და სამსონაძე-პროზაიკოსის სტილთან უფრო ახლოს დგას. თავისი ბუნებოთაც ტექსტს სინამდვილეში ერთი ვრცელი ნარატიული მონოლოგია, საციფიკურად დრამატურგიული მასში დიდად არაფერია და, ალბათ, ამიტომაც; და თუ გადავხედავთ სამსონაძისვე სხვა, უფრო ცნობილ პიესებს, შეუძლებელია, თვალში არ მოგხვდეთ განსხვავებული ენა, სულ სხვანაირი იუმორი, საკმაოდ ხშირად გროტესკიც და კარნავალურობაც, "ბებო მარიამი" კი სულ სხვა ამბავს ჰყვება და სულ სხვანაირად. დროს გავსუნრებ და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ირაკლი სამსონაძე შემდგომ წლებშიც არაერთხელ იყო ნომინირებული საუკეთესო დრამატურგისათვის, თუმცა ეს პრიზი მეორედ აღარ აუღია. ასე მოხდა.

2006 წელს კიდევ ერთი აღიარებული ახალი ავტორის "კორნაცია" ხდება, პრემიას იღებს ბანა ჯანიკაშვილი პიესების კრებულისათვის. მართალია მთლად ბუღაძის კალბრის და ელფერის სატირა არა, მაგრამ ასევე მიდრეკილი მძაფრი სოციალური და პოლიტიკური თემების ირონიული აღწერისკენ. შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში ეს ორივე ავტორი დაახლოებით ერთსა და იმავე ნაფი იფიდა. საინტერესოა ისიც, რომ ნო-

მინაციაში ჯანიკაშვილი შედარებით უფროსი თაობის და უკვე კარგა ხნის აღიარებულ დრამატურგთან, ლამაზ ბუღაძეშვილთან ერთად იყო. უფრო ამჯერად ახალი ხმის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი.

და აი, 2007 წელს იწყება დრამატურგიის ნომინაციის წყველა - ნომინანტები იყვნენ ლამაზ ბუღაძე, ნუგზარ შატიძე, ირაკლი სამსონაძე და გურამ ბათიაშვილი. პრემია არ გაიცა. იმ წელს ეს ამბავი უმტიკივნიულოდ გადაგორდა. ეს ხომ რომანი არ არის ან მოთხრობების კრებულს. არადა, რამდენ არც ისე კარგ რომანს მიუღია "საბა" და არც ისე კარგ მოთხრობების კრებულს. მაგრამ დრამატურგია გერია, დრამატურგის გამოტოვება მოსულა. დაინარჩუნების - დემონიმა დაგვიფაროს. როგორ ვაღიარებთ, რომ წელი ისე გავიდა, ერთი კარგი რომანი არ დანერგია. არადა, გულზე ხელი დავიდოთ.

2008 წელი, პრემიას იღებს დათო ტურაშვილი პიესისთვის "შავი კედები", ალბათ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ლიტერატურულმა ჟიურიმ ტექსტში მეტი ღირსება დაინახა, ვიდრე თეატრალურმა სამყარომ, რადგან პიესა, სამწუხაროდ, ვერ იქცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თეატრალური დადგმების წყაროდ. სხვა ჟანრებში აღიარებული ავტორისადმი რევერანსიც შეიძლება დავინახოთ ამ გადაწყვეტილებას. ან არა? არაფერი, უბრალოდ იმ წელს ჟიურიმ ასე გადაწყვიტა.

2009 წელს პრემიას კვლავ ლამაზ ბუღაძე იღებს პიესისთვის "ნაფტალინი", რომელიც ფრიად მოურიდებლად დატყინის ქართულ პანთეონშიანას, ისევე სატირა, ისევე განუმეორებელი ტიპაჟები - ამჯერად ნაფტალინის სურნელით - სასაცილოა ეს ყველაფერი, უაღრესად სასაცილო და ისევე საფიქრო სატილი - შეუდარებელი ენის გრძობა, პერსონაჟი იწყებს ლაპარაკს და ორი-სამი წინადადებით ყველაფერი ვასაგებია - ვინ არის, სად დაიბადა, სად იზრდებოდა, ჭამდა თუ არა ხიზილალას ზედვგობაში, ემსახურებოდა თუ არა მამისს ვოლგა და ა.შ.

2010 წელს ქართული თეატრების კიდევ ერთი ფავორიტის, თამარ ბარათიას ჯერად დგება, მას პრემია გადაეცა პიესისთვის "მთავარი როლი". ბართაია პირველი ქალი დრამატურგია, რომელმაც ამ ნომინაციაში გაიმარჯვა და ალბათ, შემთხვევითი არ არის ისიც, რომ არა მხოლოდ ეს ტექსტი, არამედ მისი თითქმის ყველა ძირითადი პიესა სწორედ ქალის ბედს, ქალურობას, ქალთა გამოცდილებას უტრიალებს. ვფიქრობ, ბართაიას, როგორც ქალი ავტორის გამარჯვებას ამ ნომინაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, თითქოს მამაკაცებით დომინირებული, მოჯადოებული წრე გაარღვია. თუმცა, ასევე დარჩა ერთადერთ ქალ დრამატურგად, რომელმაც "საბა" მოიპოვა.

2011 წელი ყველაზე პარადოქსული წელი იყო



ამ ნომინაციის ისტორიაში. პრემია გადაეცა თამაზ ექვთიმიშვილს პიესად გადაკეთებულ მცირე მოთხრობისთვის "პუანტები"... ჭკუშმარტივად პარადოქსული ვადანყვეტილება იყო, თუ გადავხედავთ ნომინანტებს. 2011 გამოდგა იშვიათად პროდუქტიული წელი ქართული დრამატურგიისთვის, ამდენი ნომინანტი აქ არასოდეს ყოფილა - ლაშა ბულაძე, თამარ ბართაია, მანანა დოიაშვილი, ირაკლი სლომანაშვილი, ზურაბ კანდელაკი, შოთა იათაშვილი და ამ წერილის ავტორიც, დავით გაბუნია. ვის აღარ უნინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას და ჩემი პირადი და გასაგები მიკერძოებულობა რომ გვერდით გადავდოთ, ასე ვიტყვოდი: სწორი და სამართლიანი იქნებოდა ნებისმიერი ნომინანტის გამარჯვება, ექვთიმიშვილის გარდა, რადგან ყველა დანარჩენმა პიესა ან პიესები დაწერა, გამარჯვება კი წილად ხვდა რამდენიმეგვერდიან მოთხრობას. თუმცა დიდი სკანდალი და გარჩევა ამას არ მოჰყოლია, ეს ხომ დრამატურგიის ნომინაციაა, ლიტერატურის გერის. პოდა, ჩვეულებრივად ჩაიარა. დრამატურგია ყოველთვის იყო ნომინაცია, რომელიც დიდად არავის აინტერესებდა ან ალღუვებდა ათიოდე დრამატურგის გარდა ან ავტორების, რომლებიც მხვა ნომინაციებს მოიღვდნენ და საერთო გადანაწილებაში იმ წელს დრამატურგის პრიზს წაიღებდნენ სახლში. ერთიც და მეორეც უკვე ვნახეთ წინა წლების გამოცდილებებში.

2012 წელს "საბას" მერილ სტროპი, ლაშა ბულაძე იღებს პრემიას პიესისთვის "ნავიგატორი", რომელიც მანამდე ბიზისის რადიოპიესების კონკურსის გამარჯვებულზე გახდა და ბრიტანელი მსახიობების შესრულებით გადაიკა კიდევ ამ არხზე. სხვათა შორის, ცნობილი ამერიკული ფილმი "HER" შედარებით გვიან გამოვიდა და არარსებული ქალის ხმაზე შეყვარებული მამაკაცი ბულაძეს უფრო ადრე ჰყავდა, ვიდრე ხოაკინ ფენიქსი ასე გადაეშვებოდა მიჯნურობაში. თუმცა, რას ვიზამთ, თემები და მოტივები ხომ ვირუსებივით ტრიალებს ჰაერში, ხან ვის შეეყრება და ხან ვის... ერთი სიტყვით, ლაშა ბულაძის მესამე "საბა" დრამატურგიის ნომინაციაში მოსალოდნელი იყო და ზუსტად აღწერს ლაშას, როგორც წარმატებული თეატრალური ავტორის მნიშვნელობას. თეატრებში მის პიესებს ისევ ისე მონდომებით დგამდნენ, როგორც ადრე.

2013 წელს ახალი ხმის ჯერი დგება, პრემიას იღებს ალექს ჩიღვინაძე მოკლე პიესების კრებულით "ქალაქის მერის ცოლის საყვარელი" და თან მასზე გაცილებით გამოცდილ და ასაკოვან ავტორებთან კონკურენციაში. ეს თამამი, შეიძლება ითქვას, თავხედური ტექსტები ამოვარდნილი იყო საერთო სურათიდან, აქ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ავტორი ცდილობს, რაღაც გამაღვიანებელ ნერვს მიაგნოს, ტექსტები თითქოს მაჭირივითაა და პრემიაც ამ ახალი ხმის, ამ დუღილის-

თვის გაიცა, ალბათ. შემდგომმა განვითარებამ დადასტურა, 2013 წლის ფიურნიმ ძალიან სწორი არჩევანი გააკეთა, ჩილენისაჲ დღესდღეობით ნამდვილად ყველაზე საინტერესო ავტორთა შორისაა ქართულ დრამატურგიაში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მცირედმა ავანსმა ძალიან გაამართლა.

2014 წელს ნომინაციაში ამ სტატიის ავტორმა, დათო ვაბუნიამ გაიმარჯვა "დიოგენეს" მიერ გამოცემული პიესების კრებულით. საკუთარ ტექსტებზე ვერ ვილაპარაკებ, თუმცა, ორ მომენტს აუცილებლად აღვნიშნავდი - პრემია უშუალოდ მანაა დღიამატივად გადმოცემა, ჟიურის წევრმა და სრულიად უსამართლოდ დაჩაგრულმა, ძალიან კარგმა დრამატურგმა და მეორე - ობიექტურობის ღმერთი რომ არ გამინაწყენდეს, უნდა ვთქვა, რომ იმ წელსაც ლაშა ბუღაძეს ეუთვნოდა ეს პრემია პიესისთვის "პრეზიდენტის სტუმრად მოვიდა", მაგრამ, ალბათ, გაუმართლა ამ სტატიის ავტორს და ჟიურიმ ჩათვალა, რომ სამჯერ გამარჯვება ერთი ავტორისთვის უკვე საჭიროა და მოდი, ახლა სხვა დაეჯილდოოთ. სხვათა შორის, ბუღაძის პიესა დაიდგა ლონდონის როიალ ქორთ თეატრში, იმიტომ, რომ კარგი პიესაა. თუ დამეჯილდოება, ღირს მისი ხელახლა გადაკითხვა.

2015 წელს - პრემია არ გაიცა. უკვე მეორედ. ნომინანტები იყვნენ, მაგრამ პრემია არ გაცემულა.

2016 წელი - მთლად კატასტროფა - ჟიურიმ ნომინანტებიც კი ვერ აარჩია შემოსული ტექსტებიდან, არათუ - გამარჯვებული. ძალიან საგულისხმო ამბავია, რადგან ყველა წარდგენილი ტექსტის წამოიხაზვობას ვერ დაივიწყებ, მაგრამ იმ წელს გამოვიდა ოთარ ქეთამაძისა და პაატა ციკოლიას ერთობლივი პიესების კრებული, ვფიქრობ, არც მთლად ხელნაწილაკრავი, მაგრამ, როგორც ჩანს, ჟიურიმ ვერ დააფასა ავტორთა პოსტდრამატული ტენდენციები და ეს ტექსტები უბრალოდ ტყუილ ან არ დაინახა. სამწუხაროა. მაგრამ ისევ - ეს ხომ დრამატურგიაა, დიდი ამბავი, თუ სამი კაკალი თეატრის მოყვარული განაწყენდება.

2017 წელი, იმარჯვებს კლასიკა, ომაჟი დრამატურგს, რომელიც ასე ძალიან უყვარდა და დღემდე უყვარს ქართველ მაყურებელს, ლაშა თაბუკაშვილის "სადაც, ცისარტყალას მიღმა". რომსტიკა არსადაც არ ნახულა და ისევ ის სწყურია ყველას, მაყურებელსაც და, როგორც აღმოჩნდა, იმწვევანდელ ჟიურისაც.

2018 წელი განსაკუთრებული იყო, საქართველო ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე მიიწვიეს საპატიო სტუმრის სტატუსით და "საბაჯ" იქვე, ფრანკფურტში ჩატარდა. დრამატურგია სეკვესტრში მოყვა, იმ წელს ასეთი ნომინაცია საერთოდ არ ყოფილა. რატომ? იმიტომ.

2019 - კიდევ ერთი ახალგაზრდა ხმა ჯილდოვდება, ალექსანდრე ლორთქიფანიძის კრებული "დისტოპიკები", შედარებით მოკლე და სხვადას-

ხვა ფორმით, ესთეტიკითა და თემატიკაზე შემნილი პიესების კრებულად, ახალ, განსხვავებულ და აღმოსაჩენ ავტორს სთავაზობს ქართულ თეატრს. სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ ალექსანდრე ტელენაშვილმა და პოეტობასთან ერთად, სულ პირველი პროფესიით მსახიობა, ორგანული კავშირი აქვს თეატრთან, ტექსტებზეც ისაზნება. ასეა, ტექსტს ყოველთვის ეტყობა, რომ ავტორმა იცის, რა სჭირდება თეატრს და აქედან ამოდის, რადგან დრამატურგია მხოლოდ ლიტერატურული ამბიციის დაკმაყოფილების საპარეზი ნამდვილად ვერ იქნება ავტორისათვის.

2020 წელი - ალექს ჩილენაძის "მარინა რევიკა", ტრადიციული, კლასიკური ფორმით აწყობილი ტექსტი, რომელიც უკვე სამჯერ დაიდგა სხვადასხვა ქართული თეატრის სცენებზე და სამივეჯერ დიდი წარმატებით. ჩილენაძეს ქართულ თეატრზე უკვე ყველა იცნობს და "მარინა რევიკა" სწორედ ის ტექსტია, რომელმაც ასეთი საერთო აღიარება მოუტანა. თემურ ჩხეიძის სახელსწრში შექმნილი პიესა ციხიდან მრავალი წლის შემდეგ გამოსული ქალის ამბავს გვიყვება, ქალის, რომელიც ცდილობს, ანუ უკვე გაზრდილ და დაოჯახებულ შვილებს ისევ დედად მოველინოს. ტრადიციული წარსული და საიდუმლოებები კი ამ ყველაფერში ხელს უშლის. ეს უკვე ძლიერი, გამართული "საბაჯ" დრამატურგისთვის და ვერაფერს დაგვავყვადრებს, რომ ნომინაცია სუსტი იყო და პრემია უნდა გაეცათ, თორემ სკანდალი მოხდებოდაო (ასეც უთქვამთ, ხანდახან).

2021 წელი - აქაც ვერ ავდებთ სუბიექტურობას, რადგან სტატიის ავტორი ამჯერად ჟიურის წევრი იყო. პრემია გადაეცა პაატა ციკოლიას პიესისთვის "მედეა სეზონი 01, ეპიზოდი 06", თვისებრივად განსხვავებულ, არავის მსგავს ავტორს ქართულ დრამატურგიაში, რომელიც სულ დიუნების საწინააღმდეგოდ მიცურავს ხოლმე. ეს ტექსტიც ასეთია, ამაზრზუნად სასტიკი, ნატურალისტური, არ მიჰყვება დრამატურგიულ კონვენციას, გაჯერებული ეპიკური ელემენტებით და მედეას მითის ისეთ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, რომელიც მას სადღევრძელობიდან ან პროვინციული "ქართველი ქალი ამას არ იზამდა" დისკუსიიდან აგდება. იზამდა, თან როგორ იზამდა. ვერ წარმოადგენთ, რისი მაქნისი იყო და ამის მიზეზი სულაც არ იყო იასონი. ერთი სიტყვით, ორი მედეა შეხვდა აქ ერთმანეთს - ბუღაძის "ანტიმედეა", როგორც თანამედროვე ევროპული სიმამრაციო პოლიტიკის მწვავე კრიტიკა და ციკოლიასი, როგორც მითების მსხვერვე და უსიამოვნო ემოციების სახეში მოხლა. ჟიურის გადაწყვეტილებით გაიმარჯვა მეორემ.


ვენახით, რა მოხდება 2022 წელს, ამ ტექსტის წერისას ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული წლევანდელი მოკლე სია, ასე რომ, პროგნოზებს ვერ გავაკეთებთ.

ანდრეი პლატონოვი

ადამიანებთან შესახვედრად

ერნესტ ჰემინგუეის რომანებზე
“მშვიდლობით, იარაღო!” და “ქონა თუ არქონა”

რუსულიდან თარგმნა ნორიკ ბალოიანმა



ამერიკელი მწერლის, ერნესტ ჰემინგუეის რამდენიმე ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ჩვენ ერთ-ერთ ნაწარმოადგენს აზრი ადამიანური ღირსების პოვნაზე, სწრაფვა ჭეშმარიტი ადამიანის აღმოჩენისკენ, ადამიანის, რომელიც არც თავს იტანჯავს და არც სხვებს ტანჯავს და, ამასთანავე, ჩვენი თანამედროვეა.

ჰემინგუეისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის გამოკვევა, თუ რაში მდგომარეობს თანამედროვე ადამიანის ჭეშმარიტი ღირსება, ანუ აღმოჩენა და გამოსახვა იმ ადამიანისა, რომელსაც სხვებიც შეინყნარებდნენ და რომელიც თავის თავს აიტანდა.

ჰემინგუეი ფიქრობს, რომ ასეთ ადამიანს არ სჭირდება რამე განსაკუთრებულად ამალღებულ, რამე ზედმეტი, მდარე, არც განზრახ მშვენიერი ან ხასიათის მხრივ რამე საგანგებო: ყველაფერი, რაც ძნელად განხორციელებადია, არ უნდა უშლიდეს ხელს ამ ადამიანის წარმოშობას. საჭიროა მხოლოდ რაღაც შესაძლისი, საკმარისი, მაგრამ, ამავედროულად, ისეთი, რაც ადამიანთა თანაარსებობას ასატანს და მიმზიდველსაც კი გახდის. ეს ბოლო - მიმზიდველობა - შეიძლება, მიღწეულ იქნას ადამიანის ისეთი თანშობილი ან შექმნილი თვისებების გამოყენებითა და განვითარებით, როგორებიცაა სიყვარულის გრძნობა, მწარმოებლური შემოქმედებითი შრომისკენ სწრაფვა, მოგზაურობის, თავგადასავლენისა და სპორტის ჟინი, ფაქიზი გონებრივი შრომისა და გონებამახვილობისკენ მიდრეკილება და მისთ. მთავარი კი - ღირსება - ჯერ კიდევ საპოვნელი, აღმოსაჩენია სადაღაც სამყაროში, სინამდვილის სიღრმეებში, ის უნდა მოვიპოვოთ (შეიძლება მიძობო ბრძოლის ფასად) და ჩაუყურებოთ ეს ახალი გრძნობა ადამიანს, აღვზარდოთ და გაამყაროთ იგი ჩვენს თავში.


აქედან მოდის ჰემინგუეის ინსტიტუტური შიში თავისი ნებისმიერი გმირის დახასიათებისას უხამსობაში, უტაქტობაში ჩაგარდნისა, რაც მკითხველთა უმრავლესობის მიერ მისი ნაწარმოებების მაღალ ლიტერატურულ-ფორმალურ ღირსებად აღიქმება.

ალბათ, ეს ასეც არის: ჰემინგუეის ლიტერატურული ოსტატობა მაღალი დონისაა. მაგრამ ამ ოსტატობის ახსნა უნდა ვეძებოთ მწერალთან ტაქტის გამძაფრებულ შეგრძნებაში, ხოლო ტაქტის შეგრძნება ჰემინგუეის შემოქმედებაში უხამსობასთან, ფარულ ალვიარახსნილობასთან, ფარისველობასთან, მესუთამ დათრგუნვასთან, მაღალი ფენების თითქმის დემონსტრაციულ გამოყვეჩებასთან და ევროპული დასავლეთისა და ამერიკის ცხოვრების სხვა გარემოებებთან ბრძოლის საშუალებას წარმოადგენს. და თუ ტაქტის

ეს მძაფრი შეგრძნება არ დაეხმარება მკითხველს, არ ჩაენერგება, როგორც აზროვნებისა და ყოფაქცევის წესი, იგი, უსათუოდ, დაიცავს ჰემინგუეის გარემოს იმ თვისებებით დასწეულებისგან, რომლებიც მისთვის, როგორც ჩანს, აუტანელია. აი, რატომ აქცევს ჰემინგუეი ასე ხშირად ეთიკას ესთეტიკად; მას ერჩევენა, რომ ადამიანში ჰეროიკული საწარფევის უშუალო, პირდაპირ, აშკარა გამოსახვას ერთგვარი სენტიმენტალიზმის, ვულგარულობის, უგემოვნობის, მხდალი სისუსტის სუნი უდის. და ჰემინგუეი ირიბ გზას ირჩევს: იგი "აცივებს", "აკეთილშობილებს" თავის თემებსა და სტილს ლაკონიურობით, ცინიზმით, ზოგჯერ უხეშობითაც; მწერალს სურს ადამიანში ეთიკურობის დამტკიცება, მაგრამ მხატვრულ მიზეზთა გამო რცხვენი, დაარქვას მას თავისი სახელი და მთუკერძობლობის, დასაბუთებულობისა და ობიექტურობის გულისთვის, თხრობისას წინდად ესთეტიკურ საშუალებებს იყენებს. ეს კარგი ხერხია, მაგრამ მას ერთი ცუდი თვისება აქვს: მოცემულ შემთხვევაში, ესთეტიკას დამხმარე, სატრანსპორტო როლი ენიჭება, მას მიაქვს ავტორის მხატვრული ძალები, რომელთაც, თავის მხრივ, ეთიკად არ აქცევს. თუმცაღა, ესთეტიკა, რომელიც აქ ავტორიდან მკითხველზე გადამცემი საშუალებაა, მსგავსად მაღალი ძაბვის ელექტროსახისა, ბევრ ენერგიას ხარჯავს თავის თავზე, და ეს ენერგია საშუადაოდ იკარგება მკითხველ-მომხმარებლისთვის.

ჰემინგუეის ერთ-ერთ საუკეთესო რომანში, "მშვიდობით, იარაღო!" გამოსახულია ლეიტენანტ ჰენრისა და ქეთრინ ბეკლის პირველი შეხვედრის ეპიზოდი, ქეთრინის, რომელიც შემდეგ მთელ მის გულსა და სიცოცხლეს აავსებს და იმპერილისტური ომის გადატანისა და მისგან თავის დაღწევის შესაძლებლობას მისცემს.

"ერთმანეთს შეხვედით სიბნელეში. ძალიან ლამაზი მომჩვენდა და მისი ხელი ავიღე. არ გამძალიანებია და ახლა ნელზე მოგვიყე ხელი. "ნუ", - თქვა მან. მე არ გამიშვია ხელი. "რატომ?" - "არ გინდა". - "მინდა, - ვუთხარი მე, - ნუ დამიშლით". სიბნელეში მისკენ გადავიხარე საკოცნელად და უცებ რაღაც საშინლად აქენდა. მწარედ გამიწანა სილა. ცხვარ-პირში მომხვდა და თვალები დამციცხლა. "უკაცრავად", - თქვა მან. ვიგრძენი, რომ რაღაც უპირატესობა მივიღე. "ახი იყო ჩემზე. ძალიან მწყინს", - თქვა მან... სიბნელეში მომცქეროდა და მათვალეებდა. გული მომდიოდა. მაგრამ წინასწარვე ვიყავი დაჯერებული, თითქოს ჭადრაკის ყოველი სვლა ადრევე მქონდეს მოფიქრებული". ყველაფერი უსუსტად ისე მოხდა, როგორც ახლახან სილაგანულმა ჰენრიმ ივარაუდა. ორ ნუთმი ქეთრინმა უთხრა: "ძა-



ლიან კარგი ხართ". - "სულაც არა". - "ხართ. კარგი ხართ. მე თვითონვე გააკოცებდი, თუ ნებას მომცემთ". თვალბეში ჩაგხედე, ხელი ნელანდელივით შემოვხვიე და ვაკოცე... უფრო ნებარად მივიკარი მკერდზე, გვრძნობდი მისი გულის ცემას, ტუჩები გაეხსნა, თავი უკან გადასწია, მხარზე დამაყრდნო და ატირდა. "ო, ჩემო ძვირფასო, - თქვა მან, - ხომ მუდამ კარგად მომექცევი?" - "რა უბედურებაა?" - გავიფიქრე გულში. თმაზე ხელი გადავუსვი და ბეჭებზე მოვუთათუნე. ტირილია".

თბრობის ცინიკური, მოუხეშავი ლაკონიზმი, ქალის მიერ განწული სილის "ვაჟკაცური" არად ჩაგდება, "მრავალნაცად" დარწმუნებულობა მოახლოვებული კოცნისა, "რა უბედურებაა" და ამისთანა ატრიბუტები - ეს ყველაფერი აუცილებელია ჰემინგუეისთვის, რათა დამალოს ქალის მიმართ ჰენრის სიყვარულის პირველი ან თითქმის პირველი, განცდისგან მოგვრილი მღელვარება, რათა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ნებისმიერ ფასად იპოვოს გამოსახვის ახალი, არაშაბლონური ფორმა, რომელიც მკითხველზე იმოქმედებს. ახალი ფორმა ნაწილობრივ მიიღწევა, მაგრამ მისი "კედლები", მისი ნყობილება იუღინთება ზედღებში შინაარსით, და ეს შინაარსი იკარგება მკითხველისთვის. მართალია, ჩვენ არ ვიცით, როგორ შეიძლება ამ ეპიზოდის უკეთ დაწერა, მაგრამ არც იმაში ვართ დარწმუნებულნი, რომ "ვაჟკაცური", ლაკონიური, ცხოველური მოთმქნელობის ელფერით სიყვარულის აღწერა საუკეთესოა, რომ ეს ხერხი უფრო ზუსტ ნარმოდგენას გვიქმნის ადამიანური გრძნობის არსზე, ვიდრე სხვა. სენტიმენტალიზმი აქ, ალბათ, უფრო ცული იქნებოდა, მაგრამ მწერლის მიერ გამოკვეთილი ადამიანური სიყვარულის მექანიკურობაც ხომ არ არის ზუსტი ჭეშმარიტება; იგი მხოლოდ ლიტერატურული, ნატიფი ხელოვნურობაა. მაგალითად, იმ ეპიზოდში, როცა დაჭრილი ჰენრი ჰოსპიტალში წევს და მასთან ქეთრინი მოდის, რათა პირველად დაწებდეს, საქმე ამგვარადდა გამოსახული:

"ნუ, - მითხრა მან, - ჯერ კარგად არა ხარ. - "კარგად ვარ. მოდი. - "არა. ჯერ ჯანზე არა ხარ". - "ვარ. როგორ არა ვარ. კარგად ვარ. მოდი, ძვირფასო". - "ვიყვარვარ?" - "ნამდვილად მიყვარხარ. ლამის გამაგიჟო. მოდი, ძვირფასო". - "გესმის, როგორ ცემს ჩვენი გულები?" - "გულებს რა თავში ვიხლი. შენ მინდისხარ. ლამის ჭკუიდან შემაპო!" - "მართლა გიყვარვარ?" "...კარები დააკეტე. - "არ შეიძლება. შეუძლებელია". - "მოდი. ნუღარ მეღაპარაკები. მოდი, ძვირფასო". მცირე ხნის შემდეგ: "ქეთრინი სასთუმალთან

მეჯდა, საკმაზე. დერეფნის კარები ღია იყო. სიგითვე გაიარა და ისე კარგად გვრძნობდი თავს, როგორც არასოდეს".

მარტივი და ცხადი მექანიკა, მაგრამ ამ მექანიკის შესრულებისთვის და შემდგომი სასიამოვნო შეგრძნებისთვის ადამიანად ყოფნა სულაც არ არის აუცილებელი. ასეთ დროს, ალბათ, ცხოველებიც ბედნიერები არიან. ჰემინგუეი თავდაცვ სხედება შეყვარებულთა ამგვარი ურთიერთობის ნაკლოვანებას ან უკმარობას. ის ეძებს და პოულობს იმ საშუალებას, რომლითაც ქეთრინისა და ჰენრის სიყვარული ბოლოს ადამიანურდება. ეს საშუალება ქეთრინის მშობიარობა და სიკვდილი აღმოჩნდება. "მე დერეფანში ჩამოვჯექი. ერთიანად გამოვიფიტე. არაფერზე არა ვფიქრობდი. ფიქრს თავს ვერ ვუყრიდი. გვრძნობდი, რომ კვდებოდა და ვლოცულობდი, ნუ მოკვდება-მეთქი. ღმერთო, ნუ მოკლავ. გვეყვდები, ნუ მოკლავ, ღმერთო. რასაც გინდა გავიკეთებ, ოღონდ ნუ მომიკლავ. ღმერთო, ღმერთო, ღმერთო, ნუ მომიკლავ, ღმერთო. ღმერთო დიდებულო, ნუ მოკლავ. გვეყვდები ღმერთო, ღმერთო, ნუ მოკლავ. ღმერთო დიდებულო, ნუ მომიკლავ". ქეთრინი მოკვდა, მისი სასიკვდილო სარცელიდან ჰენრი იმისაგან განსხვავებულ ადამიანად წავიდა, ვიდრე უკანასკნელ პაემანზე მოსვლისას იყო. თავისი სიცოცხლის ფასად ქეთრინმა, როგორც ჩანს, მიაღწია ჰენრის, როგორც ადამიანის, ერთგვარ გაუმჯობესებას - ჩამოხსნა საკუთარი ცხოველური ინსტინქტებით დათრგუნულად ყოფნის ტვირთი. ჯერ ბავშვისა და შემდეგ ცოლის სიკვდილმა აიძულა ჰენრი, უსუსური, ბავშვური ლოცვისთვის მიემართა, შეარყია და დაარღვია მისი "ვაჟკაცური", ცხოველური ბუნება. მაგრამ საიდანაა გაჩნდა ახალგაზრდა მამაკაცის ეს ჯიუტი "ცხოველურობა", ვინ შეპყარა მას საკვების, ღვინის, ქალისა და უსაქმურობის ეს გააფთრებული ვნება? გავიხსენოთ, რომ რომანში გვერდების უმრავლესობა სწორედ ამ საგნებს ეძღვნება.

ცხადია, ადამიანის ამგვარი დაკნინების მიზეზს იმპერიალისტური ომი წარმოადგენდა. ომმა და მისმა თანამედროვე შედეგმა - ფაშიზმმა დაიწყეს დასაფლავებელი ადამიანის ყოველმხრივი, მათ შორის ფიზიკური, ლოკვიდაციის საქმე, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება. თუკი ადამიანს დიდი ხნით წაართმევ რამე საჭიროებას, ის, ბუნებრივია, შეპყრობილი ხდება ამ საჭიროების დაქაყოფილების ყინით.

ჰენრიმ გადაიტანა ომი - და შედეგად ქეთრინთან ერთად მთელ სამყაროს შევიცარიულ ქოხში დაეძალა. მათი განმარტობა და თითქმის

1 ციტატები მოყვანილია შემდეგი გამოცემიდან: ერნესტ ჰემინგუეი, მშვიდობით, იარაღო!, აღმოხდების მზე (ფიესტა), ქონა თუ არ ქონა. თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ. თბ., "საბჭოთა საქართველო", 1976.

ავადმყოფური ნეტარება, რომელსაც პრიმიტიული სექსუალური სიყვარული, უსაქმიურობა და უხვი საკვები ანიჭებდათ, აიხსნება სიცილითა და სიკვდილის საფრთხით, რომელიც რეალურად არსებობს მთელ იმპერიალისტურ სამყაროში.

სხნა არსად არის, როგორც კი მაგრად ჩაეხუტებიან ერთმანეთს, უნდა იჩქარონ, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლება, ძალით დააშორონ და გაანადგურონ. ამ თვალსაზრისით, შეიძლება, გასაგები და მხატვრულად გამართლებული იყოს ჰენრის მანიაკური, მექანიკური, ტლანქი სწორხაზოვნება. ის მამაცურად ცდილობს, დაიცვას იმპერიალიზმისგან თავისი ადამიანური უფლებები, საჭიროებები და დღისება - თუნდაც ამას მხოლოდ უმარტუბეცის, თითქმის ცხოველური ელემენტებით ახერხებდეს, მაგრამ მის ძლიერამოსილ მოწინააღმდეგეს მისთვის ხომ აბსოლუტურად ყველაფრის წართმევა უნდა - სიცოცხლის; თუ მცირედის დაცვა და შენარჩუნება ხერხდება - ეს უკვე დიდი გამარჯვებაა. მაგრამ ბუნება და ისტორია არსებობს და გრძელდება იმპერიალიზმის მიუხედავად.

იბადება მკვდარი ბავშვი, კვდება ქეთრინი, ჰენრი მიდის საავადმყოფოდან ლამით, წვიმაში, თავის მომავალში, რომელიც უკვე ვეღარ და აღარ იქნება ისეთი, როგორც მისი წარსული იყო. მაგრამ ეს ჯერ კიდევ მხოლოდ იმედი და დაპირებაა, რომანი კი მთავრდება.

ტრაგედია რომანისა "მშვიდობით, იარაღო!" შემდეგში მდგომარეობს. თუ მოსიყვარულე ადამიანები გაურბიან თავიანთ გრძნობაში ერთგვარი არასასიყვარულო, პროზაული ფაქტების შეტანას, თუ შეუძლებელი და არასასურველი იქნება საკუთარი გენების შეთავსება რომელიმე საქმესთან, ადამიანთა უმრავლესობა რომ ასრულებს - სიყვარული თავისთავს მალევე სანსლავს და ქრება. სიყვარული იდეალური, წმინდა ფორმით, ჩაკეტილი თავის თავში - ასეთი სიყვარული თვითმკვლელობის ტოლფასია, იგი გამოწვევლის სახით არსებობს და დღემოკლეა. სიყვარული, პარადოქსულად ვიტყვით, უყვარს არასასიყვარულო, ის, რაც მას არ ჰვავს. ამის მტკიცებულება არის კიდევ რომანში "მშვიდობით, იარაღო!"

ჰენრისა და ქეთრინის სიყვარული, რომელიც დასაწყისიდანვე "ჯარისკაცურ", ხარბად პრიმიტიულ ფორმებს იღებს, რომანის ბოლოს სულ უფრო ავადმყოფურ თვისებებს იძენს, გადაჯვარდება რა ერთურთითა და განმარტოებული ცხოვრებით, შეყვარებულთა თითქმის განუწყვეტელ, დამორჯუნველ ტკობად, - და ეს ცხოვრება, ჩვევად ქცეული, უფერულდება თავისი თავის გამეორებისგან, მის მასაზრდოებელ გარესამყაროსთან კავშირის განწყვეტისგან. ჭეშმარი-

ტი ცხოვრებისთვის, როგორც ჩანს, მხოლოდ დაბადება არ კმარა; გარდა ამისა, საჭიროა თითქმის ყოველდღიურად აღდგომა - და მაშინ ჩვენი დედა ხდება დედამინა, ყველა თანამედროვე ადამიანი... ამგვარად, ჰენრისა და ქეთრინის სიყვარული საკუთარ დილეგში აღმოჩნდა გამომწყვდეული. მაგრამ საიდან შეიტანდნენ სინათლეს თავიანთ სულ უფრო და უფრო ბნელ საპყრობილეში, თუკი გარე სამყაროში, მათ მიღმა, ომის წყვილადი ჩამომდგარიყო, თუკი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავად სინამდვილე, ანუ არასასიყვარულო, "პროზაული" ძალა, რომელიც შეიძლება, აუცილებელი და სასარგებლო ყოფილიყო მათი ბუნებრივი გაგრძელებისთვის, იმპერიალისტურ ომს, წამებასა და სიკვდილს წარმოადგენდა? მაშ, რაში უნდა მივლით მონანილეობა ჰენრისა და ქეთრინს, თუ ერთმანეთს მიწყებოდნენ, მაგრამ მაინც არ დააშორებდნენ დიდი ხნით თავიანთ მოსიყვარულე ხელებს? მათ არ ჰქონდათ სხვა გამოსავალი, ომი ორივე გამოიარა და იცოდნენ, რაც არის. ისინი მხოლოდ იმ სამყაროში შესვლას დათანხმდებოდნენ, რომელიც სამარეშად შეინახავდა მათ გრძნობას, და არა იმაში, რომელიც სხეულზე ნაკუნებად დაუგლეჯდა. თუკი მისთვის რამე უცხო, არასასიყვარულო "უყვარს" - სიყვარული ამას მხოლოდ თავისი ეგოისტური მიზნებით სჩადის - საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნებისა და გახანგრძლივებისთვის.

რომანს "მშვიდობით, იარაღო!" შეიძლება, და, სხვაგვარი დასასრული ჰქონოდა: ქეთრინის სიკვდილის ნაცვლად - ჰენრისა და ქეთრინის სიყვარულის მიხედვით ან გაგრძელების ისტორია, - მაგრამ მაშინ რომანი საერთოდ ვერ დასრულდებოდა, ხოლო შეყვარებულთა ცხოვრება დამეგვანებოდა ერთ ადგილზე სირბილს, მანკიერ, მოჩვენებით მოძრაობას (რომანის ტექსტში ეს უკანასკნელი ტენდენცია უკვე აშკარად გამოიკვეთა: თემა თითქმის გაჩერდა, დაილოცა ჩანასცვლა მოქმედება, რომანის რეალური შინაარსი სულ უფრო იმპრიტიბოდა, ეულმა შეყვარებულებმა, საერთო ნიადაგიდან თიხის ქოთანში გადარგულ მცენარეებს რომ ჰკავდნენ, უკვე გამოფიტეს ის გოჯი მიწა, რომელზეც იდგნენ - მტრული სამყაროდან "მოპარული" ბედნიერება - და ჭკნობას უახლოვებოდნენ). და მაშინ ჰემინგუემ რომანში შემოიტანა კატასტროფა, ორმაგი სიკვდილი - ქეთრინისა და მისი ბავშვის - და ამით დაასრულა თავისი ნაწარმოები... შეიძლება, თუ არა რომანის უყუთესი დაბოლოების სივრცე შეიძლება. ჭეშმარიტი სინამდვილე, რომლის უკმარისობის გამოც მალულად იტანჯებოდნენ ქეთრინიცა და ჰენრიც, ცდილობდნენ რა მის ჩანაცვლებას პათოლოგიური სიყვარუ-

ლით, ნათელი დღეებისაგან სანოლში, შავნელ ღამეში ჩამალეთ - ეს ჭეშმარიტი სინამდვილე მაშინაც კი არ შედგებოდა მხოლოდ იმპერიალიზმისგან, უამრავი ადამიანი ზურგშიც და ფრონტებზეც დაფარულად და ცხადად უკვე გრძნობდა და შეიცნობდა იმპერიალიზმის არსს, - მათ შეიგნეს თავი იმპერიალიზმის მტრებად და გადანყვიტეს სინამდვილის გარდაქმნა. მოვლენათა ჭეშმარიტი არსი მდგომარეობდა სწორედ მომაკვინებელი იმპერიალიზმის მოძრაობაში თავისი გარდაუვალი მარცხისკენ, რომელსაც გალატაკებული, ნახევრად განადგურებული, სასოწარკვეთილი ხალხები მოუტანდნენ. ჰენრისა და ქარკინის ჩართვა ამგვარ საერთო ცხოვრებაში მათ ბედნიერებას შესძენდა სიღრმეს, მუდმივ-განახლებად სიქორფესა და დაუმრეტელ უკვად-ვეებას, იმიტომ, რომ მაშინ მათი მასაზრდოებელი და მხარდამჭერი იქნებოდა მთელი სამყარო და არა ორი შეშინებული, თითქმის ბავშვური და მთრთოლარე გული. მაგრამ, როგორც ჩანს, ავტორისგან ზედმეტად ბევრს ვითხოვთ. უფრო სწორად, ზედმეტად ბევრს კი არა, ზედმეტად ადრე. მოგვიანებით თავად ჰემინგუეიც მჭიდროდ მიუახლოვდება რევოლუციური სინამდვილის ნებისმიერ სხვა სინამდვილეზე აღმატებულიობის შეგნებას.

ახლა ჩვენ უკეთ შევძლებთ ჰემინგუეის სტილის თავისებურებების გაგებას. ჰემინგუეი მაღალეს თავის ახალგაზრდა გმირს ნიეტრალურ ქვეყანასა და სიყვარულში, რათა იხსნას იგი დაეღუპვისა და ომში გაველურებისგან, - იხსნას, უპირველეს ყოვლისა, მისი სიცოცხლე, გამოხატული თუნდაც თავდაპირველი, ელემენტარული ინსტინქტებით, შემდეგ კი თავად სიცოცხლე იზრუნებს თავის ღირსებაზე და მოიპოვებს მას, თუ ადამიანს, საერთოდ, შესწევს ღირსების უნარი და ესწრაფვის მას. იძულებული, მოახვედროს ადამიანი ისეთ ვიწრო გარემოში, როგორიცაა "სამარის კარამდე სიყვარული", საჭმელი, ძილი და სასმელი, - იძულებული ომის იმპერიალისტური გარემოებებით, - ავტორი ხვდება, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ იმპერიალისტური არმიის მესანგრე ჯარისკაცის სურვილების ასრულებაა. ისღა დაგრჩენია, ატირდე და ამოიბატავლო ადამიანის ბედზე, ანუ მიმართო არამხატვრულ საშუალებებს. ამიტომ უნდა დამალო შენი გოდება, გადააკვირო მდუმარებად, შენიღბო ცრემლები ციციხისხლიანობით, ან - რაც უმჯობესი და უფრო საიმედოა - ცინიზმითა და ტლანქი სექსუალური გულახდილობით. ახლანდელი კამიტალისტური სამყარო თავისი პრიმიტივიზმითა და სისასტიკით უფრო მეტად გაუ-საძლისია, ვიდრე ჯეკ ლონდონის არქტიკული

ზონები, და ჰემინგუეისა და ლონდონის გმირები დაახლოებით ერთნაირად იქცევიან, ისინი დაახლოებით ჰგვანან კიდევ ერთმანეთს. მათი ქცევისა და ხასიათის სხვაობას განსაზღვრავს გარემოსა და დროის სხვაობა, ამასთან ერთად, გარემოცა და დროც ჰემინგუეისთან უფრო მძიმედ და სახიფათოა, ვიდრე ლონდონთან. მაგრამ ყველანი ვგრძნობთ, რომ ლონდონისა და ჰემინგუეის უხეში სიტყვებისა და ქცევის, დაუნდობელი მოქმედებების უკან იმალება ადამიანური, კეთილი, ნაღვლიანი სული, და ჩვენ ვხედავთ, როგორ დასტირის ჯარისკაცი - ცინიკოსი, მექალთანე და ლოთი - თავისი საყვარელი ქალის ცხედარს, უფრო მწუხარედ, ვიდრე ნებისმიერი წესიერი, ერთგული ჯენტლმენი.

ტრავიკული მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლება იყოს ან უნაყოფო უბედურება, გამოხატული სრულიად მიუღებელი ლიტერატურული ბნედიანობით, ანდა - აქტიური მოქმედება, ჭეშმარიტი გამოსავალი, მაგრამ ამ გამოსავალს ვერ მოიგონებ, ის უნდა აღმოაჩინო პირდაპირი დაკვირვებით მასობრივი, მშრომელი ადამიანის ბრძოლაზე თავისი ღირსეული მომავლისთვის, ან უკეთესი - ამ ბრძოლაში თანამონაწილეობით. ზოგჯერ კი, სანამ ჭეშმარიტი გზა არ არის ნაპოვნი, ხოლო ზუსტი ლიტერატურული გემოვნება არ გაძლევს მელნის ნაცვლად ცრემლებით წერის უფლებას, უნდა შეიზღუდო თავი ციციხისხლიანი, ნიეტრალურ-ვაჟაკური მიდგომით: "მოდე დავლოთ" - და გადავიტანო, "როგორმე გადავაგაორებო", - დავლიოთ, რომ დავაუძღუროთ ჩვენი აუტივიარი გონება, დაე, ყველაფერი დაავინყვეს და თავადც მიეცეს დავინყვებას. ეს, რასაკვირველია, მოცემული მდგომარეობიდან გამოსავალი და დასმული პრობლემის ჭეშმარიტი გადაჭრა კი არა, არამედ გადაჭრისთვის გვერდის ავლაა მახვილგონივრულ-ნატიფი ლიტერატურული ხერხის საშუალებით, ესაა ზრდასრული, შეძრწუნებული ადამიანების ნევროზი და მათი თავდაცვა, რომელიც იმისათვის სჭირდება, რომ საბოლოოდ, სასიცოცხლოდ არ დაეღუბნონ. ამ მდგომარეობიდან ჭეშმარიტი გამოსავალი იქაა, სადაც ახლა იმყოფება ჰემინგუეი - რესპუბლიკური ესპანეთის ფრონტზე. დიდი ალბათობით, იქვე იპოვის იგი თავისი თემის - როგორც უნდა იცხოვროს ადამიანმა ამ წუთისოფელში - იმაზე უფრო ღრმა გადანყვიტას, ვიდრე ის, რომელიც არის რომანში "მშვიდობით, იარაღო!". იქნებ, სულაც არ ღირდა იარაღთან დამშვიდობება, საუკეთესო ადამიანები შეუიარაღებენი რომ არ დარჩენილიყვნენ და არ აღმოჩენილიყვნენ კვლავ დამცირებისა და განადგურების რისკქვეშ.

მალხაზ ხარბედია შეთხზული “მე” - მწერალი და ავტობიოგრაფია

ბაზრძილა, ღასაწყისი იხ. არილი, N2, 3, 2022

შესავლები და დასკვნები - კრძალვა და თავის დაძვრენა

ავტორთაგან, ვისი ტექსტებიცაა შესული ამ დიდ ორტომეულში, უმრავლესობას არასდროს უმუშავია ავტობიოგრაფიის და მის მიმდებარე ჟანრებში, არც დღიური უნარმოვებია და არც მემუარები დაუნერია. გიორგი ქუჩიშვილი პირდაპირ წერს შესავალში: “დღიურების წერა არ მიწარმოვებია. ამის უმთავრესი მიზეზი ის მოსაზრება იყო, რომ ჩემს პირად ცხოვრებას უგულებელს ვკყოფდი”-ო. ეს ბიოგრაფიები ერთგვარი ვალდებულებაა, CV, კურიკულუმ ვიტე, რომელსაც ზოგი მშრალად ავსებს, ზერელედ, სხვები კი თავს არ ზოგავენ, ბოლომდე აღწერენ ყველაფერს. ბევრს პირველად მიეცა გულახდილობის შესაძლებლობა, ფრთებს შლიან და ცდილობენ, ხმა დაიჭირონ, სტილი ჰქონდეს მათ მონათხრობს. სხვა როდის მიეცემა კიდევ ასეთი შანსი?

ცხადია, გულახდილობა აქ პირობითადაა ნათქვამი. თითქმის ყველა ეს ავტობიოგრაფია საბჭოთა პერიოდშია დაწერილი და სისტემის ან რელიგიური გრძობების შესახებ ან, თუნდაც ზოგიერთი პრინციპის გამო, იქ თითქმის არაფერია ნათქვამი, ნებადართულ “პრინციპებს” თუ არ ჩავთვლით.

არიან ისეთები, ვისაც დღიურის წარმოება ან ავტობიოგრაფიის წერა ეხმარება საკუთარი წარსულის გააზრებაში. ისინი საკუთარ გრძობებში, ფიქრებში ერკვევიან, ბოლო-ბოლო უკეთ წერას სწავლობენ, აზრის გამოხატვას ეჩვევიან, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საკუთარი მე-ს წარმოჩენისთვის ან მასთან გასამკლავებლად იწერება ასეთი ტექსტები. შესაძლოა მეც, როცა ამ წიგნს ვწერ, ჩემს მე-ს ვუმკლავდები სხვისი მაგალითებით.

არ დაგვაინწყდეს, რომ ამ ავტობიოგრაფიების ავტორები მწერლები არიან, მათმა უმრავლესობამ წერა იცის, ზოგიერთი ძალიან კარგადაც წერს და ამიტომ ამ მშრალ ბიოგრაფიაში, CV-ში ბევრი მაინცდამაინც არ ინდომებს. არ ცდილობს. ზედმეტ ენერგიას არ ხარჯავს. თუმცა არიან ისეთებიც, ვინც ძალიან ინდომებენ, განსხვებში ეფლობიან, შეიძლება ითქვას, პირველად უფიქრდებიან თავიანთ ცხოვრებას.



ძირითადად, საკუთარ ღვაწლსა და სხვა მა-
ლალ-მაღალ რაღაცეებზე ლაპარაკობენ. ერთეუ-
ლები არაფრად აგდებენ ამ განვლილ გზას, უმ-
რავლესობა კი ძალიან უფროხილდებან ყველა ნა-
ბიჯს. ისინი, ვინც ხშირად რჩებოდნენ საკუთარ
თავიან მარტონი, ვინც დღიურებს წერდნენ, თავს
ესაუბრებოდნენ, მათთვის ასეთი სავალდებულო
ავტობიოგრაფია არაფერია, ხოლო ბევრი იმ ავ-
ტორთაგანი, ვისაც მწერალთა კავშირმა თუ სხვა
უწყებამ შეუკვეთა ეს ტექსტები, შესაძლოა პირ-
ველად აღმოჩნდა საკუთარ თავთან. მწერალიც კი,
შესაძლოა ისეთი რიტმით ცხოვრობდეს და წერ-
დეს, რომ ვერ იცლიდეს საკუთარი თავის გააზრე-
ვისთვის, წარსულის გადახედვისთვის. ამიტომ, ძი-
რითადად, ფაქტებს შეხედებით ამ ტექსტებში,
თუმცა განსჯებით ხშირია. განსჯები საკუთარ
თავზე და, ზოგადად, ავტობიოგრაფიაზეც, აღსა-
რებითობაზე, გულახდილობაზე.

ამ თვალსაზრისით კლასიკური სანდრო შან-
შაიძლის ავტობიოგრაფია, სადაც მას "აღსარე-
ბის" ცნება შემოაქვს და მასში სისწორით, შეულა-
მაზებლად, გამოგონების გარეშე წერას გულის-
ხმობს:

“...რასაც იზრახავდი და ვერ შეასრულე, ან და
შეასრულე მაგრამ შესრულებული შენვე შეგ-
ზიზღებია - მოკლედ, მომხდარ ფაქტებთან ერ-
თად რომ გააშინებო შენი საკუთარი სული და
სხვისთვის დასანახი გაჰხადო თავის ღირსება-ნაკ-
ლოვანებით - ეს დიდი ვაჟაკობაა - ამას შეს-
ძლებს მხოლოდ დიდი ადამიანი (დიდბუნებოვანი)
ან მხოლოდ რეჟენი, რომელსაც არ გაეგება რა
შეფასებას აძლევს თავის თავს.”

ამ მიზეზით მისთვის ავტობიოგრაფია სიც-
რუეა, სიყალბე, “მაიშუნის პრანჭობა”, თავის მოჩ-
ვენება, შეთხზული ამბების თხრობა, ლამაზი სიც-
რუე და ლამაზი ლეგენდები:

“თვით ისეთი ადამიანიც-კი, რომელსაც თავის
ცხოვრების მანძილზე ბოროტების, ავაკაცობის,
მკვლევლობის და ათასნაირი სხვათა დამლუბველი
მახინაკიების მეტი არაფერი გაუკეთებია-რა, ავ-
ტობიოგრაფიაში ისე გამოილაშაურებს თავს, რომ
მასთან შედარებით რომელიმე წმინდა მოციქუ-
ლი ჩრდილქვეშ მოექცევა.”

ამიტომ ავტობიოგრაფია, იმ ნაწილის გარდა,
სადაც აღნიშნულია დაბადება და სიბერე (ხანდა-
ხან ეს ნაწილიც კი) უმეტეს შემთხვევაში საეჭ-
ვოა”.

და, რაც მთავარია, ავტორს მიაჩნია, რომ დი-
დი განცდების, თავგადასავლების, მწუხარებისა
თუ სიხარულის, დაბრკოლებებისა და სიკვდილ-
თან ბრძოლის გარეშე ვერც მწერალი შედგება
მწერლად, ხოლო მისი ნაწარმოებები “ღარიბ, ცალ-
მხრივ და ფუქსავატ” ნაწარმოებად დარჩება. დას-
კვნა ასეთია: “მწერლის ავტობიოგრაფია უმთავ-
რესად მისი ნაწარმოებია”, რომელიც ან მჭლე და
ლარიბულია, ან სიცოცხლითაა სასესე.

საკუთარ ნაწერებთან ასეთი გადამისამართე-
ბა ხშირია ავტობიოგრაფიებში. გამოუქვეყნებლ
ტექსტებსაც იმორჩებენ, ისე, თითქმის ყველასთვის
ხელმისაწვდომი იყოს. სხვები კი მის შესახებ და
წერილ კრიტიკულ წერილებთან თუ რეცენზიებ
თან გვაგზავნიან. ეუხერხულეზობათ საკუთარ თავ-
ზე საუბარი და ამბობენ, რომ ყველაფერი მათ
ლექსებშია თქმული. დავით კლდიაშვილი საერ-
თოდაც, ყაზარ კარაპეტინცის მიერ თარგმნილ,
სომხურ ენაზე გამოქვეყნებულ თავის ბიოგრაფი-
აზე მიუთითებს დაამკვეთს, ის თარგმნის ისე ქარ-
თულად და გამოგადგებათო. ბიოგრაფიიდან გაქ-
ცევის და ე.წ. თხრობის გადავადების ყველაზე ხში-
რი შემთხვევა მაინც სანდრო შანშაიძლითაა
აღბათ. ხშირად გვხვდება: “ამაზე ოდესმე შემდეგ,
თუკი დამცალდა”, “ამ ამხანაგებზე ცალკე მოვი-
ლაპარაკოთ”, “აღარ მოვიტხრობთ ჩემს დაქორ-
წილებას”, “ამაზე სხვა დროს”, “ამაზე შემდეგ”,
“ამის მოთხრობა გრძელია და სხვა დროისთვის
გადავდეთ” და ა.შ.

საკუთარ თავზე წერა უჭირს ია ეკალაძესაც,
ასე მიმართავს მწერალთა ფედერაციის პრეზიდი-
უმს: “ანა, როგორ უნდა ვსთქვა ჩემს თავზე, რომ
ერთ დროს მოწინავე და სახელოვან მწერლად
ვითვლებოდი და დიდი გავლენაც მქონდა საზო-
გადოებაზე”.

ჩვენს ორტიმულში მესამე პირში დაწერილი
ავტობიოგრაფიებიც გვაქვს. ან დაკვეთა იყო ასე-
თი, ან თავად ავტორების არჩევანია ეს. ზოგი კი
ცდილობს, გაექცეს პირობითობას და ორიგინა-
ლურად იწყებს თხრობას, სტილურად გამორჩეუ-
ლი ფრაზებით და აბზაცებით.

მაგ. ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი თავ-
ვის დაბადების თარიღზე ამბობს, “როგორც ოჯა-
ხის სახარებაზეა აღნიშნული, მე დავიბადე...”. დღეს
ეს გამოთქმა ბევრს შეიძლება უცნაურად ეჩვენოს
მშრალ ავტობიოგრაფიაში, მაგრამ მე-19-20 საუ-
კუნეთა მიჯნის ტექსტებისთვის ჩვეულებრივი ამ-
ბავია.

შესავლებს ხშირად ზოგადი აზრებისთვის იყე-
ნებენ. შალვა დადიანის ავტობიოგრაფია ამის ერთ-
ერთი მაგალითია. იგი ტიცვან ტაბიძისადმი მი-
მართული იწყება (როგორც ჩანს, მან დაუპყვეთა
ავტობიოგრაფია 1929 წელს):

“ჩემს ცხოვრებაში, საყვარელო ტიცვან, ცოტა
რამ უცნაურიც ურევია და ამითი თუა საინტერე-
სო ჩემი ავტობიოგრაფია.

მე თუ ამ ყაბად რასმე წარმოვაგდენ, ეს იმდე-
ნათ ჩემი ბრალი არ არის, რამდენათაც ჩემი წი-
ნაპრებისა.

მე თითქმის მემართა, ვალდებული ვიყავ თუ
რჩეულთაგანი არა, აუცილებლათ სასარგებლო
მოქალაქე მაინც ვყოფილიყავ”.

ამას მოსდევს ოჯახის ბრწყინვალეობის, ხარისხისა და ჯიშინაობის აღწერა. მას სწამს ევგენიკა. თავისი დროისთვის შესაფერისი კულტურისობით გამოარჩევს თავის ოჯახს, მონინავე რიგებში ღირსეულად დგომის საუკუნეობრივ ტრადიციასაც ახსენებს და მას თავის ტვირთად მიიჩნევს. უკვირს, რატომ არაა იგი თავად უკეთესი და სიხარულით იხსენებს ყველა იმ ადამიანს, ვინც უწინაპროა და თავად შექმნა თავისი თავი:

“და რამდენათაც ნაკლებია აღზრდა ესეთი პიროვნებისა, რამდენათ დაბალ-ხარისხოვანია ის წრე, სადა იგი ვაჟკაცდებოდა, იმდენი მეტი დიდების ღირსია, მეტი განცვიფრების და აღტაცებისა.

აქ მოსჩანს ადამიანის გონების მართლა სიდიდე, რის წინაშეც მე მუდამ ქედს ვიდრეც”.

შემდეგ ქვეთავს ასეც ჰქვია, “თვით შექმნილინი”, სადაც შალვა დადანი ტიციანს მიმართავს, რომ სწორედ ასეთების ბიოგრაფიაა საინტერესო, თუ “როგორ გამოჰქვეყნეს თავის თავი”. კითხულობ ტექსტს და გგონია, რომ ავტორი სხვებზე ამბობს, შორიდან შეზარის მათ, არადა აღმოჩნდება, რომ იგი შემოვიღო გზას გადის და ბოლოს “თვით შექმნილებს” საკუთარ თავსაც უერთებს.

ხშირია ნუხილი და ამ ნუხილს, როგორც ნეხი, ტექსტის დასაწყისში მოაქცევენ ხოლმე, მეტი ყურადღებისთვის. მაგ. დავით ნახუცრიშვილი (დ. 1874 წ.):

“მართალია, ჩემი ავლადიდება - კურდღელს აკეიდება”, მაგრამ რაც შემძლება და სადაც საჭირო ვყოფილვარ, ყველგან თავდაუზოგავად მიმუშავნია საზოგადო საქმეში. და მგონია, ის კი წსროვ უნდა დაფასდეს, რომ კაცს ამდენიც უეუძლიან, თუკი იმდენს ვააკეთებს. მაშასადამე, მას თავის მოვალეობა მოქალაქისა პირნათლად შეუსრულებია და არც უგულვებელყოფილ უნდა იქნეს ასეთი ადამიანი. ხშირად კი ვერ არ ხდება. სამწუხაროდ, მე ჩემს თავზე გამოვცადე “ასეთი ბედის ტრიალი”. ზოგისა ბაბუა ჩხრაილებს, ზოგს გადამეტებულად ყურადღება აქვს მიქცეული, ზოგს - უბრალოდ კი არა. ზოგი ზნეობრივადც დაემაყოფილებულია და მატერიალურადც დიდად უზრუნველყოფილი, ზოგი კი იხრჩვევა ყოველდღიურ ლუკმის შოვნაში, ენერჯია იხარჯება კანცელარიის საწყობში, რაც დაუწერია ვერ გამოუყენია უსახსრობის გამო. რის დაწერაც უეუძლიან, ვერა სწერს სამსახურის სამუშაოთი დატვირთვის გამო. თუმცა ძალიან მერიდება, მაგრამ იძულებული ვარ, ქვემოთ მოვიხსენიო მცირეოდენი ცნობები ჩემი წარულის შესახებ”.

ბევრს მართლაც ეწოთრება ავტობიოგრაფიის წერა, სხვებს კი უბრალოდ ეზარებათ და არც ამთავრებენ ბოლომდე ტექსტს. შალვა რადიანი, საერთოდაც, ბენვენუტო ჩელინის სიტყვებით

იწყებს ავტობიოგრაფიას, შემდეგ აღწერდ დე მიუსეს სიტყვებს ურთავს და თამამად აცხადებს, რომ არ სურს საკუთარი ამბის თხრობა, არამედ სხვების შესახებ სურს საუბარი.

ჯანმრთელობაზე ჩივილიც არაერთხელ გვხვდება შესაუბლებში, ხანდახან კი დასკვნით ნაწილშია მათი ადგილი. მაგ. ალექსი მირიანაშვილის ბიოგრაფიაზე ბაგრატი მირიანაშვილის მინაწერი გვხვდება, სადაც ვკითხულობთ, რომ მწერალი ბოლო 4 წელი “გულის ასთმით” იყო დაავადებული და მცირე ავტობიოგრაფიის წერას 3 წელი მოანდომა.

დავით კლიაშვილიც უჩივის ჯანმრთელობას, მისი აღრესატი ივანე გომართელია, რომელსაც ებოდიშება ტექსტის დაკვირვების გამო ავადმყოფობაზე საუბრობს, რაც გამხდარა კიდევ ამ დაკვირვების მიზეზი. ტექსტი 1907 წელსაა დაწერილი. აი ფრაგმენტი:

“კაცი გამზადებული ახალი ცხოვრებისთვის, - რადგან მე ვაპირებ სამსახურიდან გამოვსვას, - ისეთიანად უძღურე, ავადმყოფი შევიქნე, რომ ახლაც გგონია, რომ ჩემი სიცოცხლე გათავებულია და რაიმე გამობრუნება არ მეღირსება; შიში მკლავს, იმისა, რომ არ მომესპოს უნარი შრომისა, განსაკუთრებით იმ ჩემთვის ძვირფას შრომისათვის, რომლისათვის მასალა შემზადებული მაქვს და ერთგვარი იმედებიც შედგენილი. ნუ თუ ბედი ჩემი ისეთია, რომ იძულებული ვიქნები შევეწყვიტო შრომა იმ დროს და იმ ადგილას, როცა იგი უფრო საინტერესო და საყურადღებო ხდებოდა?! აი, ამის შიში სისხლს მიშრობს და ტყინს მიღალავს. უკანასკნელმა წლებმა იმდენი არყიყს ჩემი ნერვები, ისეთი შრომა ხვდებოდა მათ, რომ ჩემმა სუსტმა აგებულებამ მეტი ვეღარ შეიძლოდა უძღურე შექმნა. ოჰ, ღმერთო, ნეტავი თუ კიდევ ერთრივად გამოვბრუნდები და მეღირსება დაწყებულ შრომის გაგრძელება!”

ალექსანდრე მიქაბერიძე “გულის სიგანვიერთა” და რეგმატიზმითა დაავადებული და პენსია 200 მანეთი არ ჰყოფნის (1936 წელი). ითხოვს გაზრდას, რაც არა მკურნალობის საშუალებასაც მისცემს.

ჯანმრთელობას უჩივის ია ეკალაძეც, ვისაც 1926 წელს ზურგის სიმსივნე აღმოაჩნდა და 8 ოპერაციის გადატანა მოუხდა, თუმცა თავს მხნედ გრძობს და იმედებს აქვს, რომ ტექსტი 1930 წელსაა დაწერილი, ავტორი ამ დროს 58 წლისაა) კიდევ დიდხანს იმუშავებს კულტურულ ფრონტზე და მოესწრება, როგორც თავისი ნაწერების გამოცემას, ისე იდეალების განხორციელებას.

იაკობ ფანცხავა გულისტკივილს გამოთქვამს, რომ მთელ ძალ-ღონით მწერლობაში არ იყო ჩაფლული:

“ვასილ წერეთელი სწერს, “როგორც ტარიელი იტანჯებოდა ნესტან-დარეჯანის უნახაობით,



ისე ჩვენი მწერალი იტანჯება სულიერად, რომ თავის სატროს, ლიტერატურას, შორიდან ემსახურება და არ შეუძლია, მთლად თავისი სული, გული, თავისი განუზომელი სიყვარული ანაცვალოს. ამ დიდს სულიერ ტანჯვას გაიკებს მხოლოდ ის, ვინც მიწოდებით მწერალია... - ესთქვი და ამით სული და გული დავიწყნარე, დავიმშვიდე. *Dixi et animum levavi!*"

ლევან მეტრეველი (დ. 1885) თავიდანვე აცხადებს, რომ კარგი ავტობიოგრაფია, ამავე დროს, კარგ რომანს ნიშნავს, თუმცა იგი არ აპირებს ამ რომანის დაწერას, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ხატოვნად აღწერს ამ "რომანის" შეუძლებლობას:

"ძნელია არა დაწერა, არამედ შარავგაზზე გამოტანა იმ ხელმეორედ მოუპოვებელ დოვლათისა, ურომლისოდაც გეზარება მიწაზე სიარული.

ყველაფრის აღწერა, ასე მგონია, ვეარგავე ყველაფერს, გაძარცული კი ძნელი არის როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი.

ჩვეულებრივ სახით ჩოცემული ავტობიოგრაფია შედეგ უზადრუკი წარჩო არის მდიდარ სურათზე შემოვლებული.

მე შემიძლიან ქვეყნად მოვლენის გზა-სავლიონად ვადმოვაჯდო ჩემი არსების ყველა ძვლები, მაგრამ რა სხეული აერთებდა მათ? რა სული თითოდა, რა გული ფთქავდა, რა სისხლი ჩქეფდა, რა იდუმალი ძალა გრგვინავდა მთელ არსებაში? ამის სრულყოფილი აღწერა ჩემს ხელთ არ არის, როგორც ჩემ ხელთ არ არის ჩემი შობა და ჩემი სიკვდილი.

ჩონჩხით კი შეიძლება ადამიანის ვაცნობა - პა, გამიცანით!

ქვეყნის წინაშე გამოშვლება, ადამიანის წინაშე მე შერიდება როგორც ვაჟკაცს. გამოშვლება კი შეუძლია მხოლოდ სხეულს. ჩემი ჩონჩხი კი უსხეულია. ვაპ, რა ღირები მასალა ადამიანის ვაცნობად."

უზარმაზარი შესავალი აქვს ალიო მირცხულავას (დ. 1903) ავტობიოგრაფიაში, სადაც ვერ შეხვედებით განსჯებს პირადი ამბების თხრობაზე, ავტობიოგრაფიის თეორიულ გააზრებას, თუმცა პირად ჩანანერებს კი ეხება ეს შესავალი. აქ ავტორი ერთ არასასიამოვნო ამბავს იგონებს, 1930 წელს მომხდარს. თურმე მისი 7 წლის ნაპროში დღიურები ერთ მის "მეგობარ" კრიტიკოსს წაუღია დიდი ხვენწა-მოდარის შემდეგ და აღარ დაუბრუნებია. გასულა ხანი და ეს დღიურები რუსთაველის თეატრის დარბაზში მიმდინარე კომკავშირის აქტივის კრებაზე ამოტივტივებულა, თანაც ვისი, "ხალხის მტრის", ლ. ლოლობერიძის ხელში აღმოჩენილად და ტრიბუნლიდან აუფორიალებია. როგორია, ზის არხებდავ ალიო მირცხულავა პირველ რიგებში, კომკავშირელი, პროლეტპოეტი, მწერალთა ფედერაციის პ/მგ მდივანი და ამ დროს ცეკას მდივანი ხსნის პორტფელს, იღებს მის დღიურებს და იწყებს

კითხვას. თან კითხულობს, თან ამითარახებს ახალ-გაზრდა ავტორს.

ალიო მირცხულავა შიშისგან უფსკრულს სტუმრობს, შინა უსკდება, არ ახსოვს როგორ გამოდის დარბაზიდან, განადგურებულია. არადა იმ დღიურებში ფილიპე მახარაძეც გაუკრიტიკებია პოეტს. როგორ ვაბეჭდ? არ მოსონდა თურმე მისი მედიოვრი, უქმენი ხასიათი, ხედავდა, როგორ არ უყვარდა მას ახალგაზრდობა, პროლეტპოეტი, სამაგიეროდ ხელს აფარებდა ისეთ საეჭვო და თავუხეხელაღებულ მწერლებს, როგორებიც ს. ქიქოძე და ფ. ნაროუშვილი იყვნენ, ვისაც "კაციაშიური" ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული კლასიკოსების, პირველ რიგში კი, ილიას წინააღმდეგ. იხსენებს იმ შემთხვევასაც, 1926 წელს ნახევარ საათზე მეტი როგორ ალოდინეს ფილიპე მახარაძის კართან, ვისაც "მნათობიდან" მისი წერილის ამონაბეჭდი მიუტანა საკორექტოროდ. დღიურებში ყოფილი რევოლუციური მწერლებს, 1924 წელს დახვედრილი ვაის ცეხაძის სახლიდან ალექსანდრე აბაშელის მიერ მის გამოსახლებასაც აღწერს, რომელსაც "შაჯიოხელი" მწერლებიც დაურაზმავს და კოლექტიური საჩივრით მიუმართავს ფილიპე მახარაძისთვის. აბაშელმა ს. ორჯონიკიძესთანაც გაავაზვნა საჩივრის წერილი, წერს მირცხულავა. ბოლოს იგი იძულებული გამხდარა, სასტუმრო "პალასში" გადასულიყო საცხოვრებლად, ცაბაძის ნაბინარში კი შინაურული სასადილო გაუხსნათ, სადაც აბაშელის მეუღლე დიასახლისობდა თურმე.

ამ შესავალში კიდევ ერთი "ხალხის მტერი" ჩნდება, "ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორი დავით ვოლსკი. მის ხელში გაუყვია დღიურებს და მისი დამსახურებით მოხვედრილა იგი ლოლობერიძესთან. შედეგი კი ის გახლდათ, რომ ალიო მირცხულავა მედიონიდან გადაუყვებიათ.

ეს შესავალი საუკეთესო მაგალითია ამ ეპოქის დასახასიათებლად, თანაც, გარკვეულწილად, კავადელულებაც ახლავს თან ტექსტს, რადგან ჯერ კიდევ 1952 წელია, თუმცა ალიო მირცხულავა, როგორც ჩანს, საკუთარი სტატუსითაც სარგებლობს ამ დროს, ანდა სულაც თარიღია შეცვლილი, რადგან ანექტა 1956 წელსაა შევსებული, ხოლო ბიბლიოგრაფია კი 1957 წელსაა შედგენილი (ორველის სამდივნოს გამგე ნ. თოფჩიშვილი ადასტურებს). ერთი სიტყვით, მხოლოდ ასეთი ვრცელი შესავლის შემდეგ ეძლევა აზრი ბიოგრაფიის მოყოლას, თუმცა იგი კიდევ ერთხელ უბრუნდება დღიურებს და ნაწილს მის განათხორცებას: ვინ იცის, რამდენი საინტერესო მასალა გაქრა მისი ცხოვრებიდან ამ დღიურებთან ერთად, "ასე, ერთბაშად კი ძნელია ავტობიოგრაფიის დაწერა."

მწერალი გიორგი ქავთარაძე პირველივე აბზაცში აცხადებს, რომ 1907-1908 წლებშია დაბადებული, დაექმბერში, მეტრიკაში კი 17 აპრილი უნდა. უცნაური დადასწყისია არა? თუმცა მწერალი იქვე დასძენს:

"მთავარი მწერლისთვის ის არის, თუ რას დაუ-

ტოვებს იგი სამშობლო, შთამომავლობას, და არა ის, თუ სინამდვილეში როდის დაიბადა”.

მე კი სიტყვაში ხორცქესხმას ცოცხლებივით მე-ვედრებიან”.

გულახდილობითა და უშუალობით გამოირჩევა გრიგოლ ჩიქოვანის შესავალი, სადაც იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მის ბიოგრაფიაში არანაირი მნიშვნელოვანი მომენტი არ ყოფილა, გარდა მისი პირველი მოთხრობა და ვაჟის, ოთარ ჩიქოვანის მედიცინის მეცნიერების კანდიდატობაზე დისერტაციის ბრწყინვალე დაცვისა. იგი ახსენებს თავის 60 წლის იუბილესაც და ამბობს, რომ თურმე 15 მარტს დაბადებულია, მანამდე კი ეგონა რომ 18 სექტემბერს იყო დაბადებული და 60 წლის იუბილეს ამ თარიღით აღუნიშნავს.

სტილის თვალსაზრისით გამოირჩეულია ქართველ-გერბაული მწერლის, სამეფო მოძღვრების შესავალი. მასაც ეძნელება ავტობიოგრაფიის წერა, თითქოს მტკივანი ხელით ლოდსა წევდეს. არ სიამოვნებს თარიღების აღწერა და, საერთოდაც, მიანიხი, რომ პოეტის ავტობიოგრაფიას არ უნდა წერდეს. მისი ცხოვრება მხატვრულ ქმნილებებში უფრო “ღრმად და ბუნებრივად მყლავნდება”.

და უცეც, ამ პოეტურ-მისტიკური დისკურსის შემდეგ იგი ახსენებს მასზე ნიჭიერ ქართველ ებრაელებს, რომლებიც საქართველოს დალოცვლად მიწას ამოფარდნენ და ამბობს, რომ ისიც, მათი პატარა სამომავალი შვილებოდა უსახელოდ გამქარაიყო, ახალ საქართველოს რომ არ მოენათლა პოეტად.

ტექსტი 1970 წელსაა დაწერილი და ადვილი მისახვედრია რას ნიშნავს აქ “ახალი საქართველო”, რატომ გამოურია ამ მხურვალე სტრიქონებში ეს გამოთქმა. თუმცა ავტობიოგრაფიის ფინალური მონაკვეთი სწორედ ამ ნახავითაა საინტერესო, რაღაც ზედროულია და ნახავიად ხელშესახები დროის ნიშნების შეერთებით.

ბოლოს ვკითხულობთ:

“ჩემი მსოფლმხედველობა, ბუნებასა და საზოგადოებასთან დამოკიდებულება, სულში აღბეჭდილი ცხოვრებისეული მოვლენები და ეპიზოდები შეძლებისამებრ ვაგაჟმელაგენ მხატვრულ თხზულებებში, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ-ჯერობით გამოუქვეყნებელია”.

შესავლის დასკვნა ნახეთ როგორ ჩახვეულია:

“პოეტის შემოქმედება სხვა არაფერია, თუ არა გარემო სინამდვილესთან გარკვეულ კონტაქტში მყოფი პირადი სულიერი ცხოვრების განზოგადებული ფორმები მხატვრული სიტყვით გაცხადება”.

ყველასგან განსხვავებულია ვლადიმერ თორდუას (დ. 1914) ავტობიოგრაფია, ირონიით, სიმწრით და უცნაურობებით სავსე. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ასეთი ავტობიოგრაფიის ავტორები საერთოდ ცოტას წერენ, ან უჯრამი წერენ (ყოველ შემთხვევაში თავად ასე აღნიშნავენ). იგი პირველივე აზნაცში ამბობს, რომ ტოლი არაჰყავს ქალაქის ეკონომიაში, წერს მოკლე და აქვს თანდაყოლილი შიში თავი არავის მოაბეზროს, ამიტომ ან ხმას არ იღებს, ან ცოტას ამბობს. შემდეგ კი თავისებურად უღრმავდება ავტობიოგრაფიის მნიშვნელობასაც.

ასეთივე ავტობიოგრაფიის ბოლო აზნაცებიც, სადაც იგი პოეტურ რიტორიკას თავისი დროის ნიშნებს ურევს და შედეგად უცნაურ ნახავს იღებს. ძირითადი სამშულო დღის განრიგს, ვაჟუნებს, რომ, აღწერადად, დილის საათებში მუშაობს და ვაცილებით მეტს წერს, ვიდრე ბეჭდავს: “ჩემში ვილაც მძლავრად ვალობს ან აზროვნებს”.

“...ავტო, მოგვხსენებათ რთული სიტყვის პირველი ნაწილია და იგი წინ უძღვის ბევრის, ასე ვთქვათ, სწორხაზოვან ავტობიოგრაფიას: ჩაისახა; განვითარდა; იწვა; ძუძუ აწოვებს; გაზარდეს; სკოლაში შეიყვანს - დაამთავრებინეს; სამსახური უშოვებს; ცოლი შერთეს; შვილები დააზრდევინეს და ა.შ. თუ რამ ზიგზაგი შეიმჩნევა ცხოვრების ამ ლარივით სწორ ხაზზე, ეს არის სტუბულება, ავარაკები, მოგზაურობა, გატობა...”

იგი ბევრს კითხულობს, მუდამ თან აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნიგნი. ლექსებს იზებირებს და გულში იმეორებს, “როგორც მორწმუნე ებრაელი ლოცვებს”, ახსენებს მუზას, მის განუურელ მეგობარს და მფარველს, რომელიც სამყობოსთან აკავშირებს და ებრძვის წარმავლობას:

“სამყაროში სიცოცხლე ჩემთვის საცნაურია, სიკვდილი კი - უცნაური. მძაფრად განვიციდო მოკრიალებულ ცაზე ახალი მთვარის გამოჩენას, ბაღაბის ამოსვლას, კვირტის გახსნას, ტალღის რხევას. ვგრძნობ არსისა და მოვლენის წარმოშობისა და გაქრობის იდუმალ საწყისებს...”.

ჩემი ბიოგრაფია უფრო ავტონომიურია: ჩავისახებ; განვითარდი; ვიშვი; ძუძუ ვწოვე; მერე, ძუძუ რომ გამაშვებინეს და მჭადზე გადავედი, ისე აიბურდა ჩემი ცხოვრების გზა, როგორც ჩემი ბავშვობის დროის თეკლათის ლობებში ჩახლართული ეკალბარდი, საიდანაც ჩიტს კურკანტელი ვერ გამოჰქონდა”.

ამ საწყისებს იგი ლადო გუდიაშვილის ზოგიერთ ნამუშევარში ხედავს:

“ცხოვრების გზებზე მრავალი ადამიანური სახე და ხასიათი აღმებეჭდა სულის ფრთებზე. ამათ-გან უკვე ბევრის მზე ჩაესვენა ბუნებაში, მაგრამ

ეს ტექსტი სახეებითაა გადავსებული და თავად მთხრობელი, შიძლება ითქვას, რომანის გამ-

ზადებული პერსონაჟია, იმდენად გამოკვეთილი ხმა აქვს: აქაა ქარი, გრძნეული მოხეტიალე მუსიკოსი, რომელიც თავის ქალაში სტვენს, რაღაც "შემადრწუნებელს, სამგლოვიარო-სალამქრო მარშს" ნივის. მისთვის ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებიდან ავტობიოგრაფიის ამოღება მღელვარე ზღვიდან პეშვით წყლის ამოღებასავითაა. ახსენებს რკინის ნიაღვრებს, თავს ჰაპიროსის ქალადღს ადარებს, პერგამენტს, შემდეგ უცებ თავის წონასაც გვეუბნება (48 კგ.), ჩივის, რომ ასადულებულ რძესავით ყარაულობენ, რომ ვერავის აჯობოს, არავის აცდეს, არ გადმოვიდეს. ფრთხილად დადის თავის დანაღმულ გზაზე და თავს ისე გრძნობს, თითქოს სასტუმროშია:

“...დუმობის ტყვიით განგმირული და უმადურობის ცივ სამარეში ჩადგებული შევიქენი. ჩემი ღონიანი მედუმობიანი ყოველ მოშურნეს ნებას აძლევდნენ, ჩემთვის თავში წაეთაქებინა და მერე მასვე შემოფოთებით ეკითხებოდნენ, ხელი ხომ არ გატყინა ამ საძაგლის თავმაო. ეს მარიფათიანები არ იძურებდნენ ჩემს კონიდარზე მაზუთის ვადასხმას, რკინიგზის ღიანდაგზე ჩამოშვდარსაც გვერდით მიშის კუბებოდნენ და იდაყვსა მკრავდნენ, გაიჩოჩეთ;

ვიღვეწოდი, ვიღვეწოდი, ვიღვეწოდი - ვიწვოდი პატარასავით, მაგრამ საქმე გაძვრომაზე რომ მიდგებოდა, იმხელა ვხდებოდი გარეთ ვრჩებოდი.”

საკუთარ მწარე წარსულთან მიკარება უჭირს, თითქოს საყვარელი მიცვალებულის ნეშტი საფლავიდან ამოეღოს - სხვაგან გადასასვენებლად, ხელახლა დასატირებლად... და კალამი ხელიდან უვარდება.

“ვისთვისაც კი გამიზიარებია, რა ცეცხლი მწვავდა, ჩემს ხანძარზე ხელი მიუფიცებია, და იქიდან აღებული ნაღვერდობით თავისი ყალიბი გაუჩაღებია.

ქვები!
ცხოვრებამ მასწავლა, ჩემკენ ნასროლი ქვებისგან სახლის აგება”.

აქაც, მიელს ტექსტს რაღაცის ვერ მოსწრება, ვერ თქმა, ვერ შეძლება გასდევს, “ამიტომაც, რაც ვერ შევძელი, სევდით მახრჩობს, რაც შევძელი - უქმარიობით”.

გალაკტიონის ავტობიოგრაფია ცალკე განხილვის, უფრო ზუსტად კი, ცალკე გაცოცხლების ღირსია, რადგან მასში ერთმანეთშია შერწყმული მშრალი თარიღები და მძაფრი, ექსპრესიული სტილი, ზმწური ფორმების მომართული ნაკადი, რომელიც განსაკუთრებულ დატვირთვის იძენს ამ, ერთი შეხედვით, სახელდახელო CV-ში. აი უბრალო ჩამონათვალი ამ ზმნებისა, ანმყო დროში, რომელშიც პუბლის ავტობიოგრაფიის ამოკითხვა შესაძლებელი:

“ვიყოფები / ვსწერ (პირველ ლექსს) / ვიწვებ (შთაბეჭდილებათა დღიურს) / ჩავყავართ / ვმონაწილეობ / ვკითხულობ / ვთარგმნი (ოღისეას, სრულად) / მოვიხიზვ (წიგნის გამოცემას) / ვებმარები (ილიას მკვლელობას) / ვამთავრებ / ვიგზავნები / ვიმარჯვებ / გამოვცემ / მიწვევებ / თავს ვანებებ / მივედივარ / ვხდები / ვთანამშრომლობ / ვივებ / ვიწვებ / ვიწვებ გამოვდივარ / ვმოგზაურობ / მაღიარებს (აკაკი აღიარებს) / ვწერ / ვხვდები (ისევ აკაკის) / ვესწრები / ვბეჭდავ / ვცხოვრობ / მივემგზავრები / ვხვდები / ვეცნობი / მივემგზავრები / ვბრუნდები / მონაწილეობას ვიღებ / მაპატიმრებენ / ვახერხებ თავის დაღწევას / ვცხოვრობ / გამოვდივარ (მიტინგებზე) / ჩამოვიდვარ / ვხვდები / ვეცნობი / მივემგზავრები / მონაწილეობას ვიღებ / ვხვდები / მივემგზავრები / მოწმე ვხდები / ვბრუნდები / ვხდები (ცენტრი ხდება) / მაცხადებენ (მეფედ აცხადებენ) / ვაწყობ / ვმუშაობ / ვკითხობს / ვაქვეყნებ / განვაგრძობ / ვაწყობ / ვაარსებ”

უცებ, სადღაც 1927 წლიდან ზმნათა რიგი იცვლება:

“იცემა / იბეჭდება / იმართება...”

რის შემდეგაც დროებით ისევ ბრუნდება ძველი ფორმები და 1936 წელს დასკვნასავით უღერს: “გალაკტიონი დაჯილდოებულია ღონისის ორდენით”.

ზოგიერთ ავტობიოგრაფიაში საერთოდაც არაფერია ბიოგრაფიული. მაგ. რევაზ ჯაფარიძის ავტობიოგრაფია მხატვრული ტექსტია, სადაც ომიდან დაბრუნებული ახალგაზრდა სხვებზე წერს, გამქრალ წარსულზე, დაკარგულ ადამიანებსა და საკუთარ მოწოდებაზე, იყო ამ ადამიანების მესაიდუმლე, მათი მწერალი, “მათი ჭრისა და ლხინის მოზიარე”. ზემოთაც ხომ მოვიყვანე რამდენიმე მაგალითი, სადაც მწერალს სხვაზე სხვა ურჩევნია. ვინც საკუთარ თავზე წერას ახერხებს, შესაძლოა ისინიც გარკვეულწილად სხვასავით უყურებენ თავს.

სხვათა შორის, ერთხელ მეც წამიცდა ხელი და ავტობიოგრაფიული ტექსტი დაწერე. შეკვეთა იყო, ევროპულ ღირებულებებზე რაიმე სტატია უნდა დამწერა და გადავწყვიტე, ჩემი სწავლის პერიოდი (ბოლო კლასები და სტუდენტობა) და დასავლურ ფასეულობებთან პირველი ზიარება დამეკავშირებინა ერთმანეთთან. გადავწყვიტე, ერთ-ერთ თავად შემეტანა ამ წიგნში, ვნახოთ, რა გამოვიდეს. თან სამართლიანიც იქნება სხვებს ავტობიოგრაფიების ანალიზთან ერთად, ჩემი თავიც გავიმეტო გასაანალიზებლად, მითუმეტეს წიგნი ამ ტიპის ავტობიოგრაფიული ტექსტების გაჩენასაც ისახავს მიზნად, რაზეც ბოლო თავებში უფრო კონკრეტულად ვილაპარაკებ.

(ბაბრაკელაა შიმდუა ნომირი)


ლიტერატურული პრემია „საბას“ 2022 წლის ფინალისტები:

წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი



მარიამ გურგენიშვილი „მარგალიტები“

წლის საუკეთესო რომანი



გიორგი ხარაიშვილი „ბნელია გზა - პირველყოფილი წყვდიადი“

წლის საუკეთესო პროზაული კრებული





რათი რატიანი (ნინო სურამელაშვილი) - „მკვლელობა სადგურის უბანში“

ნდა, მარტო დავრჩე. ნადირივით სადმე საფრთხოდ შევიყურო. ავამუვლდე და კმთვის, მარტომ მოვილოკო ქრილობა. სტლებივით იწყებენ ჩვენიან ფუფუფის ამუბობლო თუ სანათესაო. ზღვა ხალხი ზღვის, ზღვა ხალხი მოდის, ყველანი სხის ხოკვით და მოთქმა-გოდებით, ბითქოს ჩვენ ჩვენი უბედურება არ ვეყოფოდეს. გვიან საღამოს მხოლოდ ჯახის წევრები და ციცოლა ვრჩებიო ამზარეულოში. ყველანი ხელეზბი ახერარეულები ჩამომხსდარან, ოღონდ, ბუქის ნაცვლად, ჩვენს ბელს ასტირიან.

ძველ დროზე სევდა მისი ლამაზი, მშვიდი სიბერის განუყოფელი ნაწილი გახდა. უკვე რამსიგრძეზე გამოიარა ბნელი გზა. მოახერხებდნენ ამდენს მისი შვილები? შვილიშვილები? ცხოვრების ისეთ ნაწილს აგემოვნებდა, უმეტესობა საერთოდ რომ ვერ ახერხებდა მიღწევას. და ცხოვრებასაც ასეთი გემო ჰქონდა, მშვიდი და წარსულზე სევდით გაჯერებული.

ახალგაზრდები და ასაკიანები სხვადასხვანაირად დუმდნენ. ახალგაზრდები – გაოგებისაგან, მათ შეხედვარე ასაკიანებს კი თავიანთი ბნელი ღამეები – სველი მიწის, სარდაფების ნესტის, სვვისი ქმრების სუნ ახსენდებოდათ. მადლობა ღმერთს, სირუბე სულ ცოტა ხანს გასტანს, მერე წყალი დაიწმინდება და მესხიერების ფსკერზე დამარხული თავგადასავლების სურნელს ისევ შლამში დაედება. გაოგნებას სიბრაზე შევცვლის.



„სულაკაურის ნიგნის მაღაზიის“ მისამართები:

- ქავჭავაძის გამზ. 15
- ცინცაძის ქ. 2
- „გალერია თბილისი“, -1 სართული
- „სითი მოლი საბურთალო“, 1-ლი სართული
- „ისთ ფონითი“, მთავარი მოედანი
- „გლდანი მოლი“, G სართული
- „აქსის თაურსი“, -1 სართული
- „რუსთავი მოლი“



**სულაკაურის
ნიგნის მაღაზია**

www.sulakauri.ge
(+995) 32 291 11 65